



ისტორიული მამკვიდრობება

სამათებელო-კონფლიქტის შემცირები, 2016 წ. აპრილი, №4(67), ფასი 3 ლარი

გილოზავთ აღდგომის ბანისაძეალი დღესასწაული

14 აპრილი დედამიწის დღე



«ქართული ენოთ
ყველაფერი გამოითქმება,
რაც დედამიწაზე გაიცლება
გამოითქმას რა გილეა რა
ენოთ. აზრი არ მოიკოვება
არც ერთ ენაზე რასეთის
აც დასავლეთ ევროპისა,
რომ არათუ ქართულება
სავსებით გამოითქმას,
არახედ მხატვრობით
ყალიბში ვერ ჩამოისხას...
ასე მდიდარია ქართული,
გაიცლება ითქვას, შინაგანი
თვისებები მსოფლიოში».

4

სამოზიანე-
12 ლაპი და
სალერსები
რასეთ-
საქართველოს
უთირაობები

20 ბორის
პასტერნაკი:
ეს არსად
მივღივარ,
ეს თქვენს
სახლი
დავჩინ!

22 მოსკოვის
ქართველთა
საზოგადოება

28

რატომ
ჟარება
სტალინი
პირს
«ქართველის»
34 დადგა?

39 არესესატი

დარიგებანი
მართლ-
გადიდებულები
ოჯახის
41 შასახებ

43 ივანე
ჯავახიშვილი:
საქართველოს
ვითარება
ხათებისა
საკუთრები

ფილიმონ ქორიძე:

«ყოველი მამულიშვილი ვალდებულია,
თვისი ხალობა მოჰვიცოს და
გააჩირჩდოს თავის ქვეყანაში»



ფილიმონ ქორიძე და მისი ქორო



არძიშვილონები: ელგუჯა აჩაშვილი და ნოდარ მგალობლივილი

სარჩევი

ო, ენავ ჩამო...	
■ 14 აკილი დაზუანის დღეა – ბექო გარი და ქართული ცა	4
გოგონება	
■ ისკონი მაცხოვანილი: მოძეა ცელით, ნეფელი გულით და სამოგლოს დაუგრადოს სიცვარეები...	9
გზა ცსისა	
■ სამოციანებები და საღსრულობის რასეთ-საქართველოს ურთიერთობაზე	12
საქართველოს ეგზოგრაფი	
■ პორტს უსტირესები: ევ არსად მივდივარ, ევ თქვენს სახლში დავრჩი!	20
ქართველების რუსეთში	
■ მოსკოვის ქართველთა საზოგადოება	22
კვალი ცალილი	
■ მოძეა ფილიმონ გელოგელი – ერისათვის თავდაწესებული	28
მართალი ისტორია	
■ ასტონ აქებალა სტალინის პირს „პათუას“ დადგენა?	34
ფოტოებატიანი	
■ ქველი თბილისი	37
უდიდესი სიჭარე	
■ არეოსტო	39
ჩვენი ეპლენი	
■ დარიგებანი მართლავაზოგანური რჯახის გასახებ	41
ჩვენი ისტორია	
■ ივანე ჯვარიშვილი: საქართველოს ვითარება მათებთანაც საუკუნეები	43
თვალსაზრისი	
■ პარგამინდებული სოფლის გარეობა – მომავლის მოძალი	48
გამოსათხოვარი	
■ ნანა მჭადლიძე – არაჩვეულებრივი იუმორის აუზისრი და მსახიობი	50

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია
პასუხისმგებელი რედაქტორი დარეპარ ანდრიაძე
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უაკ) 050 (479.22)
0-892



14 აპრილი დაღაცის დღეა

ნიკო მარი და ქართული ენა

ნიკო მარს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ენათმეცნიერების კვლევაში. იგი ძლიერ აფასებდა ქართულ ენას, მიიჩნევდა, რომ ქართული ენით ნებისმიერი აზრის გადმოცემა შეიძლება და ბევრ განვითარებულ ევროპულ ენას არ ჩამორჩება. ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 1930 წლიდან სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი ნიკო მარი იყო ენციკლოპედიური განათლების მეცნიერი.

ნიკო მარმა წამოაყენა პიპოთეზა, რომ ქართული ენა ენათესავება სემიტურ ენებს და ქართველურ ენებს იაფეტური ენები უწოდა. მოგვიანებით მან მიიჩნია, თითქოს იაფეტიზმი დასტურდება მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაში და ამიტომ იაფეტური ენები გამოაცხადა მეტყველების უძველეს საფეხურად, ხოლო ენათა ოჯახის ცნება უარყო. ნიკო მარი მიიჩნევდა, რომ ათასწლეულების წინ იაფეტური (ქართველური) ენები მოიცავდა მსოფლიოს ვრცელ რეგიონს. ამ დროისათვის, მისი აზრით, ქართველური ენები გავლენას ახდენდნენ ფუძე ინდოევროპულზე, ურთიერთობა ჰქონდათ სემიტურთან.

გთავაზობთ ამონარიდას შოთა ძიძიგურის წიგნიდან „ნიკო მარი — ქართული კულტურის მკვლევარი“.



1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით „ბუნება და თვისება ქართული ენისა“. ამ დროიდან მოყოლებული, ნიკო მარმა გამოაქვეყნა ექვსასამდე მეცნიერული წამრომი, მათ შორის ბევრი დიდტანიანი წიგნი, დამადასტურებელი ავტორის გასაოცარი შემოქმედებითი ნაყოფიერებისა და დაუშრეტელი ენერგიისა. „მხოლოდ იმ პირებმა, რომელიც მასთან დაახლოებული იყვნენ, იციან, რომ მარის წამრომების მარაგი არამც თუ უკვე გამოქვეყნებულით არ იწურება, არამედ მას ერთი-ორად და სამად მეტიც გამოუცემელი უწყვია, მათ შორის, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ძეგლიც. გადაუჭარბებლივ შესაძლებელია ითქვას, რომ მისი სამწერლობლო საგანძურო ამ მხრივ რამდენიმე მეცნიერთათვისაც კი სამყოფი იქნებოდა...“

„ვინც კი აკად. ნ. მარის წამრომების თუნდაც მარტო სიას გადასინჯავს, შეუძლებელია მისი შე-

მოქმედების ნაყოფიერებით მის-დამი განცვიფრებისა და პატივისცემის გრძნობა არ აღეძრას. ხოლო, ვისაც ეს წამრომები წაკითხული აქვს, მას ისიც ეცოდინება, რომ მის ენათმეცნიერულ ცოდნისმოყვარებას საზღვარი არ უჩანს: მისი კვლევა-ძიების თემათა მრავალფეროვნება სწორედ რომ გასაკვირია. იმ წამრომებში აც კი, რომელთა ზოგად შინაარს-სა და დასკვნას ადამიანი ვერას-გზით ვერ დაეთანხმება, არაერთი გონებამახვილი შედარებაა გაფანტული და არაერთი საინტერესო პარალელია წამოყენებული, რომელთა სისწორის დამტკიცება სულ სხვა გზით, სხვა საბუთიანობით შეიძლება.

ნიკო მარის უმთავრეს დვანლს ქართული ფილოლოგის შექმნა შეადგენს ისევე, როგორც იგია ქართული ენათმეცნიერების დაუცხრომელი კვლევა-ძიების წამდვილი სულისჩამდგმელიც. ვინც გაითვალისწინებს, რასაც ეს დარგი ნ. მარამდე წარმოადგენდა,

მისთვის ცხადი შეიქნება, რომ ქართველთა მცოდნეობის ისტორიაში ნ. მარის სახელი სამარადისოდ აღიბეჭდება“, — ასე აფასებს დიდი მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილი, თავისი სახელოვანი მასნავლებლის — ნიკო მარის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

ნიკო მარი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა საქართველოში სამეცნიერო ცენტრის შექმნისათვის. უთუოდ ისტორიული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ მარი ჯერ კიდევ 1905 წელს შეუდგენია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პროექტი-წესდება (ინახება მეცნიერის არქივში, გამოქვეყნდა 1934 წელს). ამ დოკუმენტის პირველ მუხლში წათქამია, რომ „ქართველთა სამეცნიერო აკადემიას მიზნად აქვს, განავითაროს ქართველ ერში ისტორიის, ფილოსოფიის, სამართლის, პოლიტიკის, ეკონომიკის, არქეოლოგიის, ფილოლოგიისა და ბუნებისმეტყველების დარგებით. ერთ-ერთი მუხლი ით-



ვალისწინებს იმ საზღვარგარეთელი მეცნიერების ("მიუხედავად გვარტომობისა") წაქეზებანახალისებას (სპეციალური პრემიების დაწესებით), რომლებიც ევროპულ ენებზე აქვეყნებენ ქართველოლოგიურ შრომებს, თუნდაც ისეთ არასპეციალურ გამოკვლევებს, სადაც აღძრულია საქართველოს საკითხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია წესდების მუხლი, სადაც გათვალისწინებულია იმ პირთა მომზადება, რომლებიც შექმნიან ორიგინალურ სახელმძღვანელოებს ანდა იმუმავებენ სახელმძღვანელოთა თარგმანზე ცოდნის სხვადასხვა დარგში. საგულისხმოა წესდების ის ადგილიც, სადაც ნათქვამია, რომ აკადემიამ თვალყური უნდა ადევნოს ნიჭიერ ქართველ სტუდენტებს უმაღლეს სასწავლებლებში, დაუნიშნონ მათ სტიპენდია, გაუწიოს ხელმძღვანელობა; საჭიროა, „ქართველთა სამეცნიერო აკადემია კვალდა კვალ მიმდევარი გახდეს წარჩინებული ახალგაზრდების მეცნიერული წვრთნისა და დაწინაურებისა, შემძლების კულტურულ მომზადებულ ძალთა შეძენისა თანამშრომელთა წრის და შემდეგ თვით აკადემიის შესავსებად და გასაფართოებლად“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებას იმ დროს გადაულახავი დაბრკოლებები შეხვდა. ისტორიამ შემოინახა მხოლოდ ექვს გაყვითლებულ ფურცელზე აღბეჭდილი წესდება-პროექტი, შემუშავებული მარის მიერ ქართული მეცნიერული აზრის აღმოჩენის სურვილით. ჩვენს მეცნიერულ თაობას მარ-



და სამუდამო დავინუების ფერფლით იფარებოდა.

„დროების“ ფურცლებზე ერთი გულშემატკივარი წერდა, ათონის ბერძნები ქართულ ხელნაწერთა ფურცლებისაგან ბოთლების საცობებს ამზადებდნენ.

1898 წელს ნიკო მარი მიემგზავრება ათონის მთაზე, რათა შეისწავლოს ხელნაწერები და გამოსცეს იქ დაცული ძველი ტექსტების მეცნიერული აღწერილობა.

ნიკო მარმა ათონის სამონასტრო ბიბლიოთის კაში აღმოაჩინა პირველხარისხის სამონასტრო ლიტერატურული ძეგლი

კორნელი კეკელიძე:

- საჭირო იყო ნიჭი, მოაზადება, ეთეუზიაზე, ეცესია და კაღისება გაცვალებულის აკად. 6. მარის, აღმა უეპანილი ქართველობის ის სკოლა, აღმა უეპანილი უსაძლებელი გახსა დასაცეის ნამდვილი მასიური მუშაობის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

თებს, იცოდეს ეს ამბავი და პატივისცემის გრძნობით მოიგონოს დიდი ამაგდარი მკვლევარი, რომელიც ოცნებობდა და იღწვოდა ქართული აკადემიისათვის რამდენიმე ათეული წლის წინათ.

განსაკუთრებით საშური იყო ქართული კულტურის ძველ საზღვარგარეთულ ცენტრებში — ათონზე, სინას მთაზე, პალესტინაში დაცული უმნიშვნელოვანესი ქართული ხელნაწერების შესწავლა, აღნერა, დღის სინათლეზე გამოტანა. იქაც ნადგურდებოდა უმდიდრესი კოლექციები

ბი, პევრი მათგანი გადმოხერა, მოგვცა ხელნაწერთა ზუსტი აღნერილობა. ამ საგანზე ის სამეცნიერო საზოგადოებრივი ინიციატივის წინაშე ნარცეგა ვრცელი მოსესენებით, ხოლო 1900 წელს დასტამპა კიდევაც ათონის აგიოგრაფიული ძეგლების სრული აღნერილობა.

უაღრესად მნიშვნელოვანი და მეცნიერული თვალსაზრისით პირდაპირ ტრიუმფალური იყო ნიკო მარის ექსპედიცია სინას მთაზე და იერუსალიმში, იქ დაცული ქართული ხელნაწერების შესწავლისა და კატალოგიზაციის მიზნით. სინას მთაზე ნ. მართან ერთად იმოგზაურა ივანე ჯავახიშვილმა, მარის უპირველესმა მონაფემ და ერთგულმა მეგობარმა. ეს იყო 1902 წელს.

აი, რას ამბობს ქართული მწერლობის ისტორიის დიდი ავტორიტეტი, პროფესორი კორნელი კეკელიძე: „ნაყოფიერი ხანა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის

**ნიკო მარის საცაოშენერო
ცაზრევი ცენტრალური აღგილი
უაღრეს საკუთრივ ქართული ენის
გრამატიკული აგებულების გასევას
— პირველი მასიური გრამატიკა
ქართული ენისა ეკუთვნის ნიკო მარ.**



შესწავლისა და ინტერესურებთ წოდებულმა პეტროგრადის სამეცნიერო სკოლამ აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით”; „აკად. ნ. მარს დიდი ღვანლი მიუძღვის ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულად დამუშავების საქმეში”; „საჭირო იყო ნიჭი, მომზადება, ენთუზიაზმი, ენერგია და კადნიერება განსვენებულის აკად. ნ. მარისა, რომ შექმნილიყო ქართველოლოგის ის სკოლა, რომელმაც შესაძლებელი გახადა დასაწყისი ნამდვილი მეცნიერული მუშაობისა ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც”.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ნიკო მარს იმთავითვე კარგად ჰქონდა შეგნებული ქართული ბიბლიის აკადემიური გამოცემის აუცილებლობა, რაც მტკიცე საფუძველს მოგვცემდა გენეტიური საკითხების პო-



ზიტიურად გადაწყვეტისათვის.

ჯერ კიდევ ათონზე ყოფნისას (1898წ.) ნ. მარმა ამოინერა ზოგი ადგილი ეზდრადან, მთლიანად გადმოწერა ორი პატარა წიგნი (რუთისი და იონასი) და გადაიღო ფოტოპირები ნეემიასი.

1910 წელს მისი თაოსნობით

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას გადაუწყვეტია ტექსტის მეცნიერული გამოცემა (ფოტოპირები ინახებოდა სააზიო მუზეუმში). როგორც ა. შანიძე გვაუწყებს, შემდგარა კომისია ქართულ-რუსული ლექსიკონის შესადგენად, რომლის ხელმძღვანელი იყო ნიკო მარი, ხოლო წევრები: ივანე ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე. სალექსიკონო მასალების ამოსაკრებად ერთერთი წყარო უნდა ყოფილიყო ათონის ბიბლია და ამასთან დაკავშირებით მისი გამოცემის საკითხიც დაისვა. საამისოდ მოწვეულ კრებაზე (1913 წლის შემოდგომაზე), განაგრძობს ა. შანიძე, პირველი სამი წიგნი მოსესი ასე განაწილდა კომისიის წევრებს შორის სასტამბოდ დამზადებისათვის: დაბადებისა — ი. ჯავახიშვილს, გამოსვლათა — ა. შანიძეს და ლევიტელთა — ი. ყიფშიძეს. გამოცემის დასაჩქარებლად, მოზრდილი წიგნები (მაგ., დაბადებისა, გამოსვლათა და სხვ.) შეიძლებოდა ცალ-ცალკე გამოსულიყო. განზრახული იყო, დაკლებული ადგილები მცხეთური ხელნაწერების ტექსტით შეგვევსო; შევუდექი კიდეც გადმოწერას და სასტამბოდ დამზადებას ჩემი ხევედრისას, რომელიც აკადემიის

სტამბას გადაეცა ასაწყობად; ომიანობის გამო შექმნილ პირობებში წიგნის აწყობა გაჭიანურდა, შემდეგ ბეჭდვა შეწყდა, რაღაც 1917 წლის დიდმა ამბებმა უსწრო და მე თბილის გადმოვედი სამუშაოდ“, — დასძენს ჩვენი მეცნიერი.

1910 წელს ნიკო მარის მეთავეობით დაწყებული საქმე ჩვენს დროში გვირგვინდება: ნიკო მარის ყოფილმა მოწაფემ, გამოჩენილმა მეცნიერმა აკაკი შანიძემ განახლა ბიბლიის გამოცემა და საზოგადოებას მიაწოდა სანიმუშოდ გამოცემული რამდენიმე ნაკვეთი ძველი აღთქმის წიგნებისა. 1947 წელს გამოსული ტომის I ნაკვეთის წინასიტყვაობაში პროფესორი ა. შანიძე წერს: „ამ ნაკვეთის გამოშვებით განახლებულია ოცდაათი წლის წინათ შეწყვეტილი მუშაობა ოშკური ხელნაწერის კრიტიკული გამოცემისათვის. რაგინდ სასიხარულოც უნდა იყოს ეს ამბავი, არ შემიძლია მაინც დიდი გულისტყვილით არ აღვნიშნო: ვაი რომ სამუდამოდ შესვენებულია ამ საქმის წამომწყები დიდი ნიკო და ორი მისი თანამშრომელი: დიდი ივანე და ნიჭიერი იოსები, რომელიც ადრე გამოეთხოვა წუთისოფელს. ამ სტრიქონების დამწერს ვალად აძევს, განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს მათი სანუკვარი საქმე“.

ცნობილი ენათმეცნიერი და რუსთველოლოგი პროფ. ვუკ. ბერიძე ასე ახასიათებს მარის უმთავრესად ლიტერატურათმცოდნეობითს შტუდიებს: „ნ. მარი არ

იყანე ჯავახიშვილი:

„ვაფეისტყაოსეის“ გაცემის ავტორის მსოფლეობაშის, მიზნისა და კონტური მრავალი მარცვანის განვითარების მოწოდების მომენტის აკად. ნ. მარის კალამის ეკუთვნილება. მისა ამ გამოქვეყნაში „ვაფეისტყაოსეის“

შესრულებული ასალი სას უამას, ხელო მსოფლიო ლიტერატურასთან კარალებას დამოუკიდებელი გამოყენების მომენტის განვითარების მოწოდების მიზნის ასასტამბოდ დამზადებას ჩემი ხევედრისას, რომელიც აკადემიის

ყოფილა უბრალო, ასე ვთქვათ, რიგითი მომუშავე; ყველგან საკითხის იშვიათი დასმა, ყველგან დაუნჯებულად მოცემული, მაქსიმალურად ამომწურავი პასუხი: მარისებური სიღრმე, მარისებური სიდიადე. ეს ხარისხით. რაც შეეხება რაოდენობას, **მთელი თაობაა საჭირო, ნ. მარის ეს მემკვიდრეობა რომ სათანადოდ დაამუშაოს და აითვისოს“.**

რუსთველოლოგია, როგორც გარემოებული ძალის მართვილობისა, სამაცნიერო ნიადაგზე სწორედ მარმა დააყენა. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებრიობის ყურადღება რუსთაველმა მიიზიდა უპირატესად ნ. მარის შრომების მეოქებით.

ასეთი ნაყოფიერი ხანა რუსთველოლოგიაში იწყება მე-20 საუკუნის დამდეგიდან.

მოვუსმინოთ აკადემიკოს **ივ. პავალიშვილის:** „**მხოლოდ მე-20 საუკუნის დამდეგიდან იწყება შოთა უკვდავი ქმნილების დინაზი და გალრმავებული შესწავლა. პროფ. ნიკო მარიდან მოყოლებული თანამედროვე ხანამდე ეს მუშაობა არ შეწყვეტილა. „ვეფხისტყაოსნის“ გენიოსი ავტორის მსოფლმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრნამსის შესახებ პირველი მშვენივრად დაწერილი მონოგრაფია აკად. ნ. მარის კალამს ეკუთვნის. მისმა ამ გამოკვლევამ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ახალი ხანა შექმნა, ხოლო მსოფლიო ლიტერატურასთან პარალელების წამოყენებამ შოთა რუსთაველის მნიშვნელობის წინანდელი ვიწრო, მხოლოდ საქართველოთი შემოფარგლული, საზღვრები გადაულახა და ცხად-**

ჰყო ის ადგილი, რომელიც ქართველი მგოსნის უკვდავ ქმნილებას კაცობრიობის პოეტური და გონებრივი კულტურის ისტორიაში ეკუთვნის“.

1910 წელს პეტერბურგში გამოდის ნიკო მარის ნიგნი, რომლის სათაურია „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესავლისა და დაბოლოების სტროფები, ქართული ტექსტი, რუსული თარგმანი განმარტებებით და ეტიუდით „ქალის კულტი და რაინდობა პოემაში“.

„ეს მშვენიერი გამოკვლევა გადაუქარებებლივ უნდა „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი მგოსნის სულისკვეთებისა და მსოფლმხედვე-



აკაკი წერეთელი:

ჩვენ, ეართველებას, გვერდები დიდებები

ნარსელი, არმალზებას ბევრი რამ

გაგვიგონია და მიგვიღია ჟაჟამონებებები...

ჩვენ ნარსელს ეჭირვებას გამტკიცვა, საჭირო

არიან გველევარები. გატონეა კადემიკოსა

ნიკო მარა გვიჩვენეა მაგალითი და მას

სხვების მიკაცენე. ამ ახალ გზაზე დგომა, ამ

კვალის ძაღლი თავის თავად კათილი მოვლენა

ლობის საუკეთესო გამომჟღავნებლად იქნეს მიჩნეული“ (ივ. ჯავახიშვილი).

ნიკო მარის საენათმეცნიერო ნააზრევში ცენტრალური ადგილი უშირავას საკუთრივი ერთული ენის გრამატიკული აგებულების შესწავლას — პირველი მეცნიერული გრამატიკა ერთული ენისა ეკუთვნის ნიკო. 1908 წელს გამოდის მარის ნიგნი

„**ველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები**“, რომელშიც მოცემულია ტაბულები: ბერძნეთკლასიფიკაციისა, ბრუნებისა (არსებითი სახელები, ნაცვალსახელები), უღვლილებისა.

ნიკო მარის კალამს ეკუთვნის ახალი ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოც, რომელიც გამოცემულია ლენინგრადის ცოცხალ აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის მიერ, როგორც სავალდებულო წიგნი ქართული ენის პრაქტიკული კურსის მსმენელთათვის. ივანე ჯავხიშვილთან ერთად ჩვენც ვიტყვით, რომ „**აქ ყველაფერი ნ. მარისათვის ისეთი ჩვეულებრივი ნიჭითა და მჭერმეტყველებით არის ნათევამი,** რომ არაფრის დამატება არ არის საჭირო, მაგრამ ამის შემდგომ ქართული ენის ნამდვილი რაბის შესახებ მსჯელობის გაგრ

ნიკო მარის კალამს ეკუთვნის ახალი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ცენტრალური, არმალის გამოცხავებების ცოცხალ აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის მიერ, არამედ სავალდებულო ცენტრალური ენის გრამატიკის ძაღლი თავის თავად კათილი მოვლენა



ძელებაც, ვგონებ, სრულებით ზედმეტი იქნებოდა“.

ნიკო მარი არაერთგან ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართული ენა მსოფლიოში ერთი უმდიდრესი ენათაგანია, რომ ქართული თავისი შინაგანი თვისებებით მსოფლიო ენაა.

მოვუსმინოთ თვით მარს: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამინაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოისხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ქართული ენა უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსაქსულად აგვინერს და არა ზოგად ცნებებზე მხოლოდ გადაიღებს საჭირო აზრს. ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებები მსოფლიურია“.

1911 წელს მარი სიამოვნებით აღნიშნავდა: „ბერლინში მსოფლიოდ ცნობილმა ჰარნაკმა პირადად მითხრა განმეორებით, რომ დარწმუნებული იყავით, ჩვენ დავაფუნებთ ქართული ენის კათედრების გახსნის აუცილებლობაზე ნიკო მარი მგზნებარე შემართებით, შეუცოვრობითა და ცხარე ტონით ქადაგებდა თავისი სამეცნიერო ნაშრომებში, პარიზში, ბელინში თუ სხვა ქალაქებში ნაკითხულ ლექციებში, საერთაშორისო კონგრესებსა და ყრილობებზე. როცა ერთ-ერთ მსოფლიო კონგრესზე მარმა განაცხადა, რომ დროა, უცხოეთის უნივერსიტეტებში ისწავლებოდეს და იყვლოდეს საინტერესო და მდიდარი აგებულების კულტურული ენა — ქართული, დიდმა ფრანგმა ლინგვისტმა, საერთაშორისო ავტორიტეტმა პროფ. ან. მეიერ მომხსენებელს რეპლი-

რებისათვის“. პარიზსა და ბერლინში ქართველ სტუდენტებთან ნაკითხულ ლექციებში მარი ამბობდა: „დარწმუნებული ვარ, მარჯორი უორდროპის ფონდი ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც ამერიკელი რობერტ ბლეიკი, ჩემი მონაფე, მინვეულია ძველი ქართული ლიტერატურის კურსის ნასაკითხად მაისში (ამ დღე-ებში), თავის ნაყოფს გამოიღებს; უნაყოფოდ არ დარჩება არც ვენაში დაფუნდებული მეაღმოსავლეთ სამკვლევო ინსტიტუტი, სადაც ქართულის შესწავლაში გართული არიან და განსაკუთრებით ლურსმულ ნარწერათა უძველესი ენების ასახსნელად გატაცებით ეტანებიან საზოგადოდ კავკასიურ ენებს“.

ევროპასა და ამერიკაში ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას და ამასთან დაკაშირებით, ქართული ენის კათედრების გახსნის აუცილებლობაზე ნიკო მარი მგზნებარე შემართებით, შეუცოვრობითა და ცხარე ტონით ქადაგებდა თავისი სამეცნიერო ნაშრომებში, პარიზში, ბელინში თუ სხვა ქალაქებში ნაკითხულ ლექციებში, საერთაშორისო კონგრესებსა და ყრილობებზე. როცა ერთ-ერთ მსოფლიო კონგრესზე მარმა განაცხადა, რომ დროა, უცხოეთის უნივერსიტეტებში ისწავლებოდეს და იყვლოდეს საინტერესო და მდიდარი აგებულების კულტურული ენა — ქართული, დიდმა ფრანგმა ლინგვისტმა, საერთაშორისო ავტორიტეტმა პროფ. ან. მეიერ მომხსენებელს რეპლი-

კა მისცა — თქვენ ცოტა აზვიადებთ ქართული ენის მნიშვნელობას, რაკიდა თვითონ ქართველი ბრძანდებითო. მარის პასუხი ასეთი იყო: „მე ვლაპარაკობ ქართულის დიდ მნიშვნელობაზე არა იმიტომ, რომ ნარმოშობით ქართველი ვარ, არამედ თავად ქართული ენა არის თავისი შინაგანი თვისებებით მსოფლიური“.

„ქართულს,.. ჩემთვის ყოველ ეჭვგარეშეა, ფრიადი პატივისცემა და ჩვენთვის ახლა ნარმოუდგენელი დიდება მოელის მეცნიერებაში. მაშინ, მე მნამს, მოზარდ თაობას, პანაზინა და მოზრდილ ქართველ ვაჟებსა და ქალებს მათი სამშობლოს მოტრფიალე დედები, მამები და ბიძები მეტის გულწრფელობით ნამდვილი გულის სიღრმიდან ეტყვიან: „პატივი ეც დედაენასა შენსა“, თან უფრო გამარჯვებული ჩაგონებით ზე დასძენენ: „და ისწავლიდე მას და ყოველთა მისთა მეცნიერულად და კეთილი გეყოს შენ“.

„ადამიანი კვდება ინდივიდუალურად სომატური სიკვდილით, მაგრამ არ კვდება საზოგადოებრივად; თავისი ქცევითა და შემოქმედებით ის გადადის ცოცხალ გარემოში — საზოგადოებრიობაში და განაგრძობს სიცოცხლეს მათში, ვინც ცოცხალი რჩება, თუ მართლაც ჭეშმარტად ცოცხლობდა სიცოცხლეში და არ მიემგვანებოდა მკვდარს, ცოცხალი კოლექტივი მკვდრეთით აღადგენს გარდაცვალებულთ“, — წერდა ნიკო მარი.

1965 წ.

«ქართული ენით ყველაფერი გამოითქმა, რაც დადამინაზე შეიძლება გამოითქმას რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიკრივა არც ერთ ენაზე რასეთის აც დასავლები ევროპისა, რომ არათ ქართულება სავსებით გამოითქმას, არამედ მხატვრებით ყალიბი ვერ ჩამოისხას. ქართული ენა, ეთუდრე ცოცხალი ქართული ენა უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დასენილ დაქსაქსულად აგვინერს და არა ზოგად ცხენებზე გეოლოგი გადაიღება საჭირო აზრის. ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებები მსოფლიურია».

იაკობ მანსვეტაშვილი

ცოდნა სულით, ნაფელი გულით და სახოგლოს დაუგრადით სიუვარული...

ჩვენი ხსოვნიდან არ უნდა ამოიშალოს ორი ქართველის სახელი, რომელთაც არა ნაკლები ლვანლი და სამსახური მიუძღვით ჩვენი ქვეყნის წინაშე, ვიდრე ილიასა და აკაკის. მართალია, ამათ არ ჰქონდათ ისეთი ბრწყინვალე, ნარმტაცი, მომადლებული ნიჭი, როგორც ილიას და აკაკის, მაგრამ სამაგიეროდ, სული ჰქონდათ წმინდა, გული — წრფელი და დაუშრეტელი სიყვარული სამშობლო ერისა. ეს სიყვარული შთანერგილი ჰქონდათ მათ პატარაობიდანვე. გაჭირვება, ტანჯვა, სილარიბე წიგნებიდან კი არ ჰქონდათ გაცნობილი, არამედ თვით ცხოვრებამ, თვით სინამდვილემ გამოატარა ესენი ამ ჭახრაკში.

ეს ქართველები იყვნენ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე. პირველი იყო დიაკვნის თუ მთავრის შვილი, ხოლო მეორე — სოფლის დარიბი მღვდლის შვილი. სილარიბეში დაბადებული, სილარიბეში აღზრდილი, ნახევრად მშეერ-მწყურვალი მაინც იმდენს მხნეობას იჩენენ, იმდენს ცდილობენ, რომ უმაღლეს სასწავლებელსაც კი ათავებენ: ორთავეს სასულიერო აკადემია ჰქონდათ დამთავრებული.

ამ გარემოებამ ისინი არ დააშორა თავის ხალხს. პირიქით, „გული წრფელი უფრო განიახლეს გვამსა თვისსა“ და შეუდგნენ საქვეყნო მოღვაწეობას. მათ თავის მოღვაწეობის საგნად დაისახეს ის, რაც ილიამ ასე საუცხოვოდ გამოსთვა: „რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონე მარტო ცოდნა და

განათლებაა, ღონე არ ექნება გაუნათლებელ კაცს თავის ჯაჭვის დასამტკრევად“.

აი, ამ აზრის განხორციელებას შეუდგნენ გოგებაშვილი და ცხვედაძე და სიცოცხლის დამლევამდე არ უღალატნიათ. პირველად ორთავენი მასწავლებლობდნენ სასულიერო სასწავლებელში. აქ დიდად ხელს უწყობდნენ სემინარიელების განვითარებას, მათ ნაციონალურ გრძნობის გაღვიძებას, სასულიერო მთავრობაშორთავენი არასაიმედოდ სცნა და სამსახურიდგან გააძევა.

აქ მათი გზები გაიყარა: ცხვედაძე ისევ მასწავლებლად შევიდა საქალებო ინსტიტუტში, ხოლო გოგებაშვილმა სრულებით სხვა გზა ამოირჩია: სამსახურს სამუდამოდ თავი მიანება და სავსებით საქვეყნო საქმეს შეუდგა სამოს-



იაკობ გოგებაშვილი

წავლო ასპარეზზე. განიზრახა ქართული სახელმძღვანელოებისა და სახალხო წიგნების შედგენა და გავრცელება. არ იფიქროთ, რომ ეს პატარა საქმე იყო. პირიქით, გოგებაშვილის მხრივ ასეთი ნაბიჯი უფრო ლვანლ-შემოსილებას, თავის განწირულებას ემსგავსებოდა. ნუ დაივინყებთ, რომ საცხოვრებლად მას არაფერი გააჩნდა, სამსახურიდგან გამოდევნის გამო ულუკმაპუროდ დარჩა, შემწეობას არსაიდგან მოელოდა, და არც მიიღებდა წყალობას: მეტად თავმოყვარე და ამაყი კაცი იყო. მაგრამ არ შეუშინდა სიმშილს, არ შედრეკა, მტკიცედ დაადგა ცხოვრების ეკლიან გზას და მედგრად გაუმკლავდა უმადურ წუთისოფელს, ოღონდ თავის დედა აზრისთვის არ ეღალატნა.

მხნეობამ, საქვეყნო საქმის სიყვარულით სულჩადგმულმა, თავისი გაიტანა. რომ იტყვიან: მხნე იყავ, გაძლიერდიო. და აკი გოგე-

**ვეჯვრბ, რომ ესართულ ცერა-კითხვის
გავრცელებაში გოგებაშვილზე ევტი ღვაცლი
მიუძღვოდას თუდო ილიას ან აკაკის. ამათი
ნაცერები თუ ათასობით ვარცელდება მთავ
საქართველოში, გოგებაშვილის ნიგენი
ათიათასობით ეფიცენტურ ჩვენს ქვეყანას.**



ბაშვილი მართლაც გაძლიერდა, გაძლიერდა ხალხის თვალში: რამდენი თაობა აღიზარდა მის „დედა ენაზე“ და „ბუნების კარზე“. სად მოიპოვებოდა ისეთი ალაგი იმერეთს თუ ამერეთს, მთელ საქართველოში, რომ გოგებაშვილის სახელი არ სცოდნოდათ. **ვეჭვობ,** რომ ქართულ წერა-კითხვის გავრცელებაში გოგებაშვილზე მეტი ღვანლი მიუძლოდეს თუნდ ილიასან აკავის. ამათი ნაწერები თუ ათასობით ვრცელდებოდა მთელ საქართველოში, გოგებაშვილის წიგნები ათიათასობით ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას. **მე დანამდვილებით ვიცი, რომ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია 1880-1890 წლებში ყოველ ცლივ ჰყიდდა: ოც-ოცდახუთი ათას ცალს „დედა ენას“ და ხუთ-ექვს ათასს ცალს „ბუნების კარს“.**

დიდი სამსახური გაუწიეს გოგებაშვილის წიგნებმა ქართველ ხალხს. დიდის ღირსებისა იყვნენ ეს წიგნები თავის დროზე, დიდის ნიჭით შედგენილნი, ყველას უნებლიერ ულვიძებდნენ მეტის ცოდნის სურვილს, სწავლის გაგრძელებას და გაძლიერებას. მე თითონ „დედა ენაზ“ და „ბუნების კარმა“ შემაყვარეს ქართული წიგნი, — გამაცნეს საქართველოს ისტორია, გეოგრაფია. მაშინდელ სკოლებში ხომ ქართული ენის ხსენებაც კი აკრძალული იყო, თორემ ისტორიაზე და გეოგრაფიაზე ვიღია რას იტყვის.

გაძლიერდა გოგებაშვილი ქონებრივადაც: **ყველა თავის წიგნის მიზანი ყოველ ცლიური მიზანი შემოსავალი პონდა სამი ათას-ოთხი ათას მანეთამდე. ეს ფული არამც თუ სავსეპით ჰყოფილ გილი, როგორც მარტოსელის, უცოლევილო კაცის არა დიდ მოთხოვნილებას, არამედ სხვა-ბსაც გევრს მიზანისად მისი აღმართობისა და სამართლებრივი მიზანისად.**

ილი სიკვდილის წინ თითონვე გაანაწილა სხვადასხვა დაწესებულებათა მისაცემად, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ასე გაატარა და დაამთავრა თავისი ცხოვრება ამ ერთგულმა გუშაგმა ქართულის ეროვნებისა. ჭიუა დიდი ჰქონდა, კალამიც კარგად უჭრიდა და არა ერთხელ გამკლავებია ქართულ თუ რუსულ უურნალ-გაზეთებში, ვისაც კი შეატყობდა ქართული ენის, ქართული მწიგნობრობის მტრობას, ღალატს. ბევრს ეხსომება, რა გაშმაგებით და სიმკაცრით ეომებოდა ერთის მხრივ იანოვსკის, ამ დაუძინებელს მტერს ქართველობისას და, მეორეს მხრივ, აძორდიებს და მისთანებს, რომელთაც თავისით თუ ზემოდგან შთაგონებით, განიზრახეს სამეგრელოდან ქართული ენის გამოდევნა და მეგრული ანბანის შედგენა.

ასევე მკაცრად ექცეოდა გოგებაშვილი, ვინც ნებსით თუ უნებლიერ, სასწავლებელში პედაგოგიურ გზას გადასცდებოდა და შემცდარ ნაბიჯს გადასდგამდა. თითონ დიდად განვითარებული და კარგი მცოდნე პედაგოგისა, შემცდარს ამხელდა და სწორ გზას უჩვენებდა.

როგორც ვთქვით, ცხვედაძე სხვა გზას დაადგა. ამან სამსახურს თავი არ დაანება, მაგრამ საქვეყნო საქმისთვის არც ამას უღალატნია. ამას არ ჰქონდა ნიჭი მნიშვნელობისა, არ იყო კალმის პატრონი, მაგრამ მხნეობა კი ჰქონდა უძლეველი, შეუდრეველი. თუ რაიმე საქმეს შეუდგებოდა, გზიდამ გადასვლა აღარ იცოდა, ჭირვეული იყო, ფანატიკოსი საქმისა. არ იცოდა, რა იყო დამცირება, არაკადნიერად მოქცევა, დაცინვა, — ყველას აიტანდა, ყველაფერს მოისმენდა, ოღონდ მიზნისათვის მიეღინა, განსაზღვრული საქმე საქმეზე მოეყვანა.

თუ დეს ჩვენ გვაძვს ის საუცხოვო, დიალი შენობა, რომელიც ვაკიდგან ამაყად ქალაქს დაჲყურებს და ამშვენებს, მთერს თვალებს უყენებს და მოყვარეს გულს უსარებებს, ის შენობა, სადაც დღეს

ჩართული უნივერსიტეტი იგურივას, — ეს უნდა დაუმაღლოთ ნ. ცხვედაპის, იმის მხერისა, იმის ერთგულებას, იმის თავის განვირვას.

საიდამ და როგორ დაიბადა აზრი ამ შენობის აგებისა?

როდესაც მოვახერხეთ და ჩვენი სათავადაზნაურო სკოლა საყოველთაო საშუალო სასწავლებლად გადავაკეთეთ, საკუთარი თავშესაფარი არ გვქონდა ამისთვის, კატის კუნტივით დავათრევდით ამ სასწავლებელს და ხან ერთ შენობაში გადავიტანდით, ხან მეორეში, მაგრამ ყველა ყოველ უვარგისი იყო, გამოუსადეგარი, სწავლებისთვის სრულიად მოუწყობელი. უნდა გვეფიქრა საკუთარი შენობის შესაძენად. შესაფერისი ტფილისში არაფერი მოიპოვებოდა. უნდა გვეფიქრა საკუთარ შენობაზე. ვაკეზე მიწის შეძენა მოვახერხეთ. ახლა შენობისათვის უნდა გვეზრუნა, მაგრამ საიდგან, რა ღონით, ფული სად იყო? გადავწყვიტეთ, ჩვენი საწყალი ჯიბები გადმოგვებრუნებინა და, რაც გვქონდა, ამოგვებერტყა. იყო შედგენილი სიები ქართველ მოხელეთა, მსახურთა და ასე გროშობით, სწორედ გროშობით შეკრებილი ფულით ჩავყარეთ საძირკველი. ამაზე ხომ ვერ შევდებოდით? გართულდა საქმე, ფული ბევრი უნდოდა. ჩვენი გროშებით და თუნდ მანეთებითაც ვეღარას გავხდებოდით. უნდა სხვა ღონები გველონა. აი სწორედ აქ იჩინა თავი ცხვედაძემ.

ამოილებდა ნიშანში, ვისაც კი რაიმე ქონებას შეამჩნევდა, შეუწინდებოდა და მინამ ფულს არ გამოალებინებდა, არ მოეშვებოდა. არც ერთი შეძლებული ქართველი არ გადაურჩებოდა ცხვედაძის ხარკს. ჩვენში იქნებოდა, რუსეთში თუ უცხოეთში, ყველგან ხელს მიანვდენდა, ყველას გამოამტინებდა რასმე. ხერხი იცოდა, ვისთან როგორ უნდა მისულიყო, ვისთვის საიდამ მოევლო. რაც უფრო მეტი მადა ეშლებოდა ჩვენს ნიკოს. ჯერ განზრახული იყო მხოლოდ ორ-სართულიანი



ნიკო ცეველაძე

შენობა, მერე მადა გაეხსნა და
ორი სართული ოთხად გადააქ-
ცია. ახლა კი წვრილ-წვრილად
მოგროვებული შემონირულებანი
ხარჯებს ვეღარ ჰყარავდა. უნდა
სხვა გზას დასდგომოდა და ამ
გზამ ნიკო მიიყვანა დავით სარა-
ჯიშვილთან და ჩევნს ბანკთან.

სარაჯიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უხვად გაშალა ხელი და არას ზოგავდა ამ საქმისათვის. მის თამასუექებს ანალებდნენ ხოლმე საკომერციო ბანკებში ასი ათასი მანეთობით. სარაჯიშვილის მეუღლე, გულკე-თილი ეკატერინე, მხოლოდ ერთს იხვეწებოდა:

„ნაიღეთ რამდენიც გნებავთ,
რის ეშმაკისთვის გვინდა ფული,
შვილი ჩვენ არ გვყავს, ძე ჩვენ არ
გვაბადია. მთელი ჩვენი ქონება,
ჩვენი სიკვდილის შემდეგ მაინც
ისევ ქართველ საზოგადოებას
დარჩება. მხოლოდ ერთს კი გეხ-
ვეწებოდით: ბანკის თამასუქებს
ფრთხილად მოექეცით, ვადაზე
გადაუხდელი არ დაგრჩეთ, ჩემი
ქმარი არ დაღუპოთ და სიცოცხ-
ლეშივე ულუკმა-პურიდ არ დაგ-
ვტოვოთ“.

სარაჯიშვილი მაინც იძლეოდა
და იძლეოდა ფულს. ჩვენი ბანკი
კი უფრო მაგარი გამოდგა. პირვე-
ლად ესეც ადვილად იძლეოდა
ფულს, მაგრამ როდესაც დაპხე-
დეს, რომ ხარჯი სულ მატულობს
და მატულობს, ბანკის პატრონი,
ე.ი. თავად-აზნაურობა, აჯანყდ-
ნენ. გაიძახოდნენ, სწორედ გიუია
ეგ ვიღაც ცხვედაძეა, გადარეუ-
ლა, ლამის მთელი ბანკის შემოსა-
ვალი სულ იმ შენობაში ჩაგვაყრე-
ვინოს. ილიას უსაყვედურებდნენ: შენ
აქებ იმ ვიღაცა ცხვედაძეს და
ისიც, რასაც უნდა, ჩადის. ჩვენ
ათასი გაჭირვება გვაქვს, ჩვენ
ყველაფერზე უარს გვეუბნები და
იქ კი უანგარიშმდ აბნევთ აუარე-
ბელ ფულს. ილია, ცოტა არ იყოს,
შეკრთხოდა ხოლმე და გასაგლე-
ჯად გაბრაზებულ თავადაზნაუ-
რობას /ცხვედაძეს მიუგდიბა:

— ნიკო! მოდი კრებაზე, შენ თი-
თონ მიეცი პასუხი და ანგარიში, —
ეტყოფდა ხოლმე ილია ცხვედაძეს.

გამოვიდოდა, თუმცა კარგად იცოდა, რამდენი უსიამოვნება მოქლოდა გაბრაზებული ყრილობისაგან, მაგრამ წარმოგიდგინეთ, ეს აღელვებული ხალხი ერთბაშად მიჩიუმდებოდა ხოლმე, როდესაც თვალწინ წამოუდგებოდა გულკეთილი, გულუბრყვილო, მუდამ მომლიმარი კაცი და დაინტებდა ლაპარაკს ტკბილად, როგორც მოკეთე, თანაც გატაცებული იმ აღმაფრენი რწმენით, რომ ეს საქმე საშვილიშვილოა, საჭიროა მთელი ქართველობისათვის და ხარჯს არ უნდა შეუშინდეთ, საქმეს არ ერალათგებაო.

— ეგ ცყველა კარგი, — ეუბნებ-ოდნენ აქეთ-იქიდგან, — მაგრამ მაგ უზარმაზარ შენობას რომ გა-მოუდექით და აუარებელ ფულსა ჰყრით შეგა, ნეტავ, რას აპირებთ, შიგ, რა გინდათ, მოათავსოთ?

— საჭიროა, მოვიხმართ, —
ისევ მომღიმარი სახით უპასუხებ-
და ცხვედაძე. დაგვიჯერეთ, არ
ინანებთ, მერე მადლობასაც
გვეტყვით. აგერ ხმები ისმის და
იქნებ კიდეც გამართლდეს, რომ
ტფილისში უნივერსიტეტის გახ-
სნის ნებას გვაძლევენო. დე, შე-
ნობა მზად გვქონდეს, იქნება რო-
დისმე ქართულ უნივერსიტეტ-
საც კილიონსოთ.

ამ სიტყვებით ბევრს მოინადი-
რებდა ხოლმე და ფულსაც აძლევ-

დნენ, მაგრამ იყვნენ ისეთი ავყი-
ებიც, რომელნიც ლანძღავდნენ,
ჭკუაზე შერყეულს ეძახდნენ, ბან-
კის დამღუპველად სთვლიდნენ.
ნიკო ამათ ყურადღებას აღარ აქ-
ცევდა, ფული მიეღო და სხვა კი
ამას არაფერი უნდოდა ამათგან.
მათი ქება-დიდება მისთვის საჭი-
რო არ იყო.

საცყალი ნიკო! ფართაზი-
ორს ეპახდეთ, გიჩს, ჟუზაზე
შევლილს. რად? რად და იგ-
ად, რომ ოცნებობდა ეპო-
ულ უნივერსიტეტზე. იქნება,
ეს ოცნება იყო. ოცნება ფან-
ატიკოლისა, რომელსაც მტკ-
იცედ სწავს, რომ ოდესაში ეს
ოცნება ასრულდება. დღეს
ხომ ვხედავთ, რომ ეს ოცნება სი-
ნამდვილედ გადაიქცა, ეგ არის,
რომ საწყალ ნიკოს არ დასცალდა
ამის ნახვა!

ნიკო, სულ იმავე საქმისთვის
ფულის ძებნაში, ერთხელ დიდის
ფეოდალის, **გენერალ ივანე მუხ-რანსკის** კარსაც მიადგა. გენერალმა ზრდილობიანად მიიღო,
ყურადღებით მოუსმინა რაც სათქმელი ჰქონდა ნიკოს, და მერე ასეთი პასუხი მისცა:

— კარგი საქმე დაგიწყვით. მეც მუხრანში ამ სანად დიდს სახლს ვაშენებ. კარგად მოგვივა საქმე: თუ მოვესწარით, მაგ თქვენს შენობაში პარლამენტი გავმართოთ, ტფილისი მაშინ პარიზი იქნება და მუხრანი — ვერ-საონ.

მელას რაც აგონდებოდა ის ეს-იზმრებოდაო. ამ მელია-მუხრანს-სკიმ ამ ლათაიებით მოიშორა თავიდან ცხვედაძე და ფული კი გროშიც არ მისცა. მერე მისმა შვილმა და მემკვიდრემ, ცნობილმა კონია მუხრანსკიმ, როგორც იყო გაიმტა და მგონი, ოთხასი თუმანი მისცა ცხვედაძეს, მაგრამ ყველას კი შესჩიოდა და წუნუნებდა, გამძარცვესო. ნუ დაივიწყებთ, რომ მუხრანსკი უშვილო იყო და ქონება და მამული კი ქალაქად თუ სოფლად თავზე საყრელი ჰქონდა.

იაპობ მასევეტაშვილი,
ნახული და გაგონილი,
1936 წ.

სამოციანელები და ხალხოსნები რესეტ-საქართველოს ურთიართობაზე

ილია ჭავჭავაძესა და ქართული სიტყვის სხვა დიდოსტატებს, რომლებიც რუსულსაც ბრწყინვალედ ფლობდნენ და კარგად ესმოდათ რუსული ენის მნიშვნელობა ქართველთათვის, შეიძლება ითქვას, ბრძოლა უხდებოდათ „ორ ფრონტზე“ — მეფის მოხელეებისა და ქართველი ფსევდოპატრიოტების წინააღმდეგ.

ენის პროგლემა

რუსული ენის ცოდნა, ილია ჭავჭავაძის თქმით, აუცილებელია „განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონიერაგასნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ღონეა, არამცუუ მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან“ (ტ. III, გვ. 424).

„ცხადია, — წერდა ი. გოგებაშვილი, — რომ რუსული ენის ცოდნა უდიდესი სიკეთეა ყველა კავკასიელისათვის, რადგან იგი შესაძლებლობას აძლევს მათ, იყონ დიდი სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქენი, ეზიარონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას და მთელი დედამიწის ერთ მექ-ვსედზე გაშლილი თავიანთი სამ-

შობლოს თვალუწვდენელ სივრცეზე თავს გრძნობდნენ როგორც საკუთარ ოჯახში. მაგრამ აქსიომას წარმოადგენს ისიც, რომ ამ ძვირფასი ცოდნის შესაძენად ყველაზე მიზანშენონილ საშუალებას მშობლიური ენა და მშობლიური წერა-კითხვა შეადგენს“ (ტ. III, გვ. 424).

1905 წელს ი. გოგებაშვილმა გაიღაშქრა იმ ცრუ პატრიოტების წინააღმდეგ, რომლებიც ქართული სახალხო სკოლებიდან რუსული ენის განდევნას მოითხოვდნენ. დიდმა პედაგოგმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ რუსული ენის ცოდნა საჭიროა არა მარტო ინტელიგენციისათვის, არამედ მუშებისა და გლეხებისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის.

„...ჩვენს ხალხს სურს, იცოდეს რუსული ენაც, ეს სურვილი, — უნდა მართალი ვთქვათ, — იმდენად საგრძნობელია, რომ სახალხო სკოლა, რომელშიაც რუსულს ენას ადგილი არ ექნება, ვერ მოი-



ნიკო ნიკოლაძე

პოვებს ჩვენის ხალხის სრულს სიმპათიასა, რა მიზეზითა?

ქართული ენა მეტყველ და მსმენელ არსებად ჰქონის ქართველს გლეხსა და მუშას მარტო ერთველთა შორის, ხოლო მათ იშვიათად არა აქვთ საქმე არაქართველებთანაც, რომელთაც ქართული ენა არ იციან. ამ შემთხვევაში ჩვენი მუშა და გლეხი ხდებიან ყრუდ და მუნჯად. მისი არაფერი ესმით და არც მას ესმის სხვისა. მათ ეს დიდ დაბრკოლებად მიაჩნიათ და უნდა თავიდან აიცილონ იგი, მაგრამ რა გზით? იმისთანა

ნიკო ნიკოლაძე:

...სიბრიუმვა, ერთი არმალისა ურიგო და უნიჭო კაში თბილისის მოედაზე უსაჩერებლოთ არათრემდეს, და თან ვინა მარმარელს და ხეირიანს პირს, არმალის პარიუს გიგლიოთიანი ურმობას, მარმარელის უსიყვარულობას აბრალებდეს მარტო იმისთვის, რომ სახალხო სკოლა, რომელშიაც რუსულს ენას ადგილი არ ექნება, ვერ მოი-



ენის საშუალებით, რომელიც მეტნაკლებობით იციან სხვა კავკასიის ხალხებმაც და რომელიც ხალხთა შორის ენას წარმოადგენს. ამისთანა ენა, როგორც მკითხველს მოეხსენება, არის ახლანდელს პირობებში რუსული ენა. ჩვენებური მუშა და გლეხი გრძნობს, რომ ამ უკანასკნელ ენის ცოდნა გამოიყვანს ვინრო კალაპოტიდან, სარბიელს გაუფართოებს. სხვა ხალხებთან დაახლოებს და გაუხსნის დიდ ბაზარსა...

...სახელმწიფო ენის სწავლა არა ხალხს არ მიაჩნია საშიშად თავის ნაციონალურ არსებობისათვის. მკითხველს მოეხსენება, რომ ბევრმა კერძო პირმა იცის რამდენიმე ენა, მაგრამ ეს გარემოება არა თუ არ ასუსტებს მათში მამულიშვილობას, არამედ კიდეც აძლიერებს" ...

ნაციონალისტურად განწყობილი ქართველი „პატრიოტები“ განსაკუთრებით მკაცრად ესხმოდნენ თავს ნიკო ნიკოლაძეს, რადგანაც გამოჩენილი პუბლიცისტი ხშირად საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობდა და რუსულ პრესაში აქტიურად თანამშრომლობდა.

6. ნიკოლაძეს არაერთხელ გაუცია დასაბუთებული საკადრიისი პასუხი ამ ვაკრიტიკულ სიტყვით მიმართა მან საქართველოს და ქართველ მკითხველს: „მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, — წერდა იგი თავის „სალამში“ 1876 წელს, — მე ერთი წადი-

ლის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა, მე შენ მიყვარდი, როგორც ჩემი ქვეყნის კაცი, ჩემი თანამემამულე და ძმა... მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და ნლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ყველფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა.

მე იმ პირებს არ ვეკუთვნი, რომელიც ფიქრობენ, რომ შენთვის სარგებლობის მოტანა მარტო შენს საკუთარ ენაზე შეიძლება, მარტო შენს საკუთარ სახლში, შენთან ჯდომით და ლაპარაკით.

...მიმაჩნია, რომ გინდ ქართულ ენაზე გემსახუროს შენ კაცმა, გინდ თათრულზე, ოლონდ კი შენი უფლებები დაიცვას, შენი მდგომარეობა გააუმჯობესოს, შენი ძალა ალადგინოს და შენს მტერს მეხი დასცეს, — სულ ერთია. ამ აზრით, მე სხვაგან და ჩვენში, მწერალი და გაჩუმებული ნიადაგ შენი ერთგული, შენი მსახური ვიყავი“ (ტ. IV. გვ. 361-362).

სხვა წერილებში („უკაურ მაჭახელას“) 6. ნიკოლაძე მთელ ქართველობას ორ ნანილად ყოფს: ერთი მხოლოდ თავისი ეგოისტური, პირადი სარგებლობისათვის ზრუნავენ, მეორეთ კი „საკუთარ სარგებლობაზე უმაღლებ გაუწყობს, ერთს ჩვენს ყმანვილს მაინც დაიფარავს და შემწეობას

გადო სიკეთე და მამულის სიყვარული მიუძღვით“. პირველი, სადაც გინდ ცხოვრობდნენ — გინდ ბორჩალოში და გინდ პარიზში, „ყველგან და ყოველთვის მუქითი მჭამლები და უხეირო წევრები იქნებიან თავიათი ქვეყნისათვის...“

...სიბრიყვეა, ერთი რომელიმე ურიგო და უნიჭო კაცი თბილისის მოედანზე უსარგებლოთ დაეთრეოდეს, და თან ვინმე მშრომელს და ხეირიანს პირს, რომელიც პარიჟის ბიბლიოთეკაში შრომობს, მამულის უსიყვარულობას აპრალებდეს მარტო იმისათვის, რომ საქართველოში ჩემსავით უსარგებლოდ რატომ არ დაღოლიალობსო. სადაც გინდათ იშრომეთ, სადაც გსურდეთ ისწავლეთ, რაც გინდა ჰქენით, ოლონდ კი თქვენი მამული გიყვარდეთ, ოლონდ კი მის სასარგებლოდ იშრომეთ, ოლონდ კი მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მისი სახელის გადიდებაზე, მისი კეთილდღეობის მოახლოებაზე იმეცადინეთ.

მართალია, ჩვენის ქვეყნისთვის ის უფრო ემჯობინება, რომ მისი ჩინებულად ნასწავლი და დახელოვნებული შვილები მასშივე მრომობდნენ, დანარჩენ მის შვილებს პირდაპირ ეხმარებოდენ, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მე ოცდაათს შინაურს უმეცარს ერთი „გასული“ ნასწავლი მირჩევნია. ...სხვა რომ არ იყოს რა, ჩვენებური კაცი, რუსეთში პროფესორად გამხდარი, ერთს ჩვენებურს სტუდენტს ხელს მაინც გაუწყობს, ერთს ჩვენს ყმანვილს მაინც დაიფარავს და შემწეობას

იაკობ გოგებაშვილი:

რასელი ენის ცოდნა უდიდესი სიკათა ყველა კავკასიოლისათვის,
რადგან იგი შესაძლებლობას აქვთ მათ, იყო ღილი სახელმიწოდების
სრულუფლებისა მოქალაქეები, ეზისარო გლიძარ რუსელი
ლიტერატურას და მთელი დადამინის ერთ მეცველზე გაულილი
თავიათი სამოგლოს თვალუცილებელ სივრცეზე თავს გრძელების
როგორც საკუთარ რჯახში. მაგრამ აქსიოდას ნარმალების ისის, რომ
ამ ქვირვასი ცოდნის უსაკანად ყველაზე მიზანებისილ საშუალებას
ემოგლიური ენა და ემოგლიური ნერა-კითხვას გადასახადეს.



მისცემს თავის გავლენით” (ტ. IV, გვ. 551-553).

თავის პოლემიკურ სტატიაში „მამულის სიყვარული და მსახურება“ ნ. ნიკოლაძე წერდა:

„**ნუთუ, მაგალითად, კარგს იზამდნენ იღ. ჭავჭავაძის მრჩევლები, 1856 წ. რუსეთში ნასვლა რომ დაეშალათ მის- თვის და ეთევათ, სჯობს ეართულად გამოიზარდო, რომ ეართველობის გრძელება არ დაგეპარგოს, ნუთუ ამ- ით სარგებლობას მოუთანდ- ნენ ისინი საქართველოს?**“

ასევე საღად და დამაჯერებლად მსჯელობს ნ. ნიკოლაძე ენის სა- კითხზე.

„კაცმა რომ თქვას მარტო რუ- სულ ან მარტო ევროპულ ენებზე უნდა ვსწეროთ, ქართული კი სრუ- ლიად მივატოვოთო, — ეს, რასაკ- ვირველია, სიბრივე იქნება. ჩვე- ნი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის მოყვარეთაგან ორგვარ შრომას მოითხოვს. ერთის მხრით ჩვენ უნ- და ვშრომობდეთ თვითონ ჩვენი ხალხის გასანათლებლად, მისი გონიერი გასახსნელად, მისი ხასი- ათის გასამაგრებლად. უფრველია, რომ ამგვარი შრომა მარტო ქარ- თულს ენაზე შეიძლება. მაგრამ ამასთანავე ჩვენე უნდა ვშრო- მობდეთ რუსულს და სხვა ენებზე- დაც. იმ აზრით, რომ სხვებს ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი საჭიროება და სურვილი გავაცნოთ.

...ჩვენი ქვეყნის ბედი რუსეთ- თან არის შეერთებული (...) ნუთუ სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათ- ვის, რომ რუსეთმა არ იცოდეს ჩვენი მდგომარეობა? ნუთუ სა- ჭირო არ არის, რომ ლირსეული აზრი ჩვენზე შეადგინოს არა თუ მარტო რუსეთმა, არამედ მთელ- მა ევროპამაც? მაშასადამე, ნუ- თუ საჭირო არ არის, რომ ქართ- ველები სწორდნენ რუსულ და ევ- როპულ ენებზე, აგებინებდნენ რუსეთს და ევროპას ჩვენს ხასი- ათს, ჩვენს მდგომარეობას, მი- მართულებას, სურვილს და ლხინსა და დარდს?“

ამგვარად, ჩვენმა სამოციანე- ლებმა და ხალხოსნებმა ბრნყინ- ვალედ გააშუქეს რუსეთ-საქართ-

ველოს ურთიერთობის რთული პრობლემები და უდიდესი როლი შეასრულეს ამ ურთიერთობათა განმტკიცებაში. ისინი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები, ყველ- გან და ყოველთვის თავიანთი სამ- შობლოს პროგრესის, მისი ანტი- სა და მომავლის ინტერესებიდან გამოდიოდნენ, იპროდნენ რუს ხალხთან, მოწინავე რუსეთთან ძმური კავშირის განსამტკიცებ- ლად, რის გარეშე მათ წარმოუდ- გენლად მიაჩნდათ საქართველოს წინსვლა და განვითარება.

ბით წერდა:

„იმპერატორის უნივერსიტეტი, საკუთრად წოდებული, არს ფრი- ად მაღალი სასიბრძნო ადგილი, რომელთაცა აქა აღრიცხვა შეუძ- ლებელ არს.“

1825 წელს პეტერბურგში სას- წავლებლად ჩავიდა მომავალი გა- მოჩენილი ფილოლოგი დ. ჩუბი- ნაშვილი, რომელიც უნივერსიტე- ტის ბრნყინვალედ დამთავრების შემდეგ — 40-იანი წლებიდან იმა- ვე უნივერსიტეტში შეუდგა პედა- გოგიურ-მეცნიერულ მუშაობას.

პეტერბურგის უნივერსიტეტში 1845 წელს შეიქმნა აღმოსავლუ- რი ენების ფაკულტეტი, არაბუ- ლი, სპარსული, ქართული, სომ- ხური და სხვა ენების კათედრე- ბით. ქართული ენის კათედრამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენი მეც- ნიერების განვითარებას.

მაგრამ სრულიად განსაკუთრე- ბული როლი შეასრულა „ჩრდი- ლოეთის პალმირამ“ და მისმა უნივერსიტეტმა 1856-1862 წლებ- ში. ამ დროს პეტერბურგში, რო- გორც ვიცით, თავმოყრილი იყო რუსული საზოგადოების საუკე- თესო ძალები — ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი და მათი თანამოაზრე რევოლუციო- ნერი დემოკრატები; აქ გამოდიო- და მათი მებრძოლი ბეჭდვითი ორგანო — უურნალი „სოვერემენ- ნიკი“ და, 6. შელგუნოვის სიტყ- ვით, აქედან, როგორც ბრნყინვა- ლე მზისგან, ეფინებოდა მთელი რუსეთის იმპერიას ახალი აზრი- სა და იდეების ცხოველმყოფელი სხივები.

„ჩერნიშევსკის პეტერბურგი“, რომელიც „რუსეთის მოაზროვნე თავი“ გახდა, თავისკენ უჩვეულო ძალით იზიდავდა იმპერიის მოწი- ნავე ძალებს. „ყველაფერი, რაც კი რუსეთში ნიჭიერი და გონიერი იყო და რაც ცხოვრების დამთრ- გუნველ, მომხიბვლელ ძალას უძ- ლებდა, ნიადაგ პეტერბურგისა- კენ ინევდა“ (ნ. ნიკოლაძე).

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ქართველ ჭაბუკებს სანატ- რელ ოცნებად გადაექცათ სა- ხელგანთქმულ უნივერსიტეტში სწავლა, ორმოცდაათიანი წლების

რუსული სკოლა- მეცნიერება

„**რუსულმა სკოლა-მეცნიერე- ბამ გაგვილო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონიერა- სა და გამოკვება ჩვენი აზრი მოძ- რაობის გზაზედ. თვითეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწავლებოდა ამ ორს ნყაროს თავის სულიერ წყურვილის მო- საკლავად“, — წერდა ილია ჭავ- ჭავაძე (ტ. IV, გვ. 369).**

როცა დიდი პატრიოტი-მწერა- ლი ამას ამტკიცებდა, მას, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა თავისი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი კულტურის მდიდარი ტრადიციე- ბი, მაგრამ XIX საუკუნეში საქარ- თველოში არ იყო არც უმაღლესი სასწავლებლები, არც სამეცნიე- რო-კულევითი ინსტიტუტები, ხო- ლო რუსეთში იმ დროს „სკოლა- მეცნიერებამ“ და საზოგადოებ- რივმა აზროვნებამ ერთ-ერთი პი- რველი ადგილი დაიკავა მთელ მსოფლიოში.

როგორც ცნობილია, გაცხოვე- ლებული კულტურული ცხოვრე- ბისა და რევოლუციური აზრის ცენტრი გახდა პეტერბურგი, გან- საკუთრებული ავტორიტეტი მო- იპოვა ქართველთა შორის პეტერ- ბურგის უნივერსიტეტმა, რომე- ლიც 1819 წელს დაარსდა. ახალ- გახსნილ უნივერსიტეტს ჯერ ხუ- თი წელიც არ შესრულებოდა, რომ (როგორც ადრე ითქვა) მისი კარი შეაღო კახელმა ჭაბუკმა სოლ. დოდაშვილმა, რომელიც აღტაცე-

50

„არა ერთსა და ორს ჩვენს ყმაწ-
ვილკაცს გაიტაცებს ხოლმე თავ-
გამომეტებით თავის საყვარელ
სამშობლოდან, რომ იქ, სადმე და-
ეწაფოს ცოდნის ანკარა წყაროს,
რადგანაც ახლო იგი წყარო ნეტა-
რებისა ჯერ არ სჩექეფს“, — წერ-
და ი. ჭავჭავაძე (ტ. IV, გვ. 336).

აკაკი წერეთელი თავის მოგონ-
ნებაში წერდა: „დამდეგ მაისს გა-
მოვეთხოვე დედ-მამას, იმერეთს
და დავადექი გზას. სრულიად გა-
მოუცდელს ცხოვრებაში, ბევრის
არა მცოდნეს და სრულიად არაფ-
რის მნახველს უნდა ზღვა გამევ-
ლო, ხმელეთი გადამელახა და ერ-
თი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ პე-
ტერბურგში“ (თხუთმეტტომეტუ-
ლი, ტ. VII, გვ. 77).

ნიკო ნიკოლაძე დიდი სიყვარულით იგონებდა 1861 წლის გაზაფხულს, როცა გაემგზავრა „პეტერბურგისაკენ, უნივერსიტეტში შესასვლელად“:

პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებული „ოთხი ოქროს წელი“ (1857-1861) იღლია ჭავჭავაძეს მიაჩნდა „ცხოვრების საძირკვლად, ჯხოვრის წყაროს სათავიდ“.

„იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელინადი! —
მგზნებარედ მიმართავდა იგი თა-
ნამემა მულეებს რუსეთიდან სამ-
შობლოში დაბრუნების შემდეგ, —
პირველი, რომ მთელი საუკუნეა
მისთვის, ვინც თავის ქვეყანას
მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წე-
ლინადი ცხოვრების საძირკვე-
ლია, ცხოვრების წყაროს სათავეა,
ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სი-
ნათლის შუა ბედისაგან გადებუ-
ლი, მაგრამ ყველასათვის კი არა,
მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში
წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს,
ტვინისა და გულს მოძრაობა მის-
ცეს, ფეხი აადგმევინოს. ეს ის
ოთხი წელინადია, რომელიც ჭა-
ბუკის ტვინსა და გულში გამოჰკ-
ვანდავს ხოლმე ცხოვრების კვირ-
ტსა“ (ტ. II, გვ. 10).

1857-1861 წწ. პეტერბურგის
უნივერსიტეტში ოცდათოზე
მათი ეკართველი ჭარუკი
სწავლობდა. სორედ პეტერ-
ბურგში აღიზარდა ეკართველ
სამოციანელთა შესანიშნა-
ვი პლეადა — ილია ჭავჭავა-
ძე, აკაპი ცერეთელი, ნიკო-
ლოპოლაძე, გიორგი ცერეთე-
ლი, ნიკოლოზ და ჩასარიშვი-
ლობორენიშვილი, კირილე-
ლომითეიცანიძე და ეკართუ-
ლი კულტურის სახელი გამოჩა-
ნილი მოღვაცები.

ისინი იქ ისმენდნენ გამოჩენილი რუსი პროფესორების ლექციებს, გატაცებით კითხულობდნენ უკრნალ „სოვერენიკს“, ხარბად ენაფებოდნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, პირადად ხვდებოდნენ ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლებს, რუს მეგრ

ობრებთან ერთად მონაწილეობდნენ 1861 წლის ცნობილ „სტუდენტთა მღელვარებაში“.

ყუველივე ამაზე მგზნებარედ
და დაწვრილებით მოგვითხრობს
ნიკო ნიკოლაძე თავის შესანიშნავ
მემუარებში „სტუდენტობის პირ-
ველი ღრო“, „მოგონებანი სამო-
ციან ნლებზე“ და „სხვათა შო-
რის“.

„...კალმით ვერ ავწერ იმ აღტა-
ცებას, რომელიც ჩვენ გამოვცა-
დეთ მაშინ, როცა უნივერსიტეტ-
ში მიგვიდეს, — იგონებდა იგი დი-
დი ხნის შემდეგ, — ჩვენ მაშინ
სტოლიარნის ვიზრო შესახვევში
ვცხოვრობდით, მეშჩანუაზე, და
იქიდან გაჭენებული ცხენივით
მივგათმდით, რასაკირველია ფე-
ხით, ლექციაზე, რომ აღრიან მიგ-
ვესწრო კათედრის მახლობლად
ადგილი დაგვეჭირა და პროფესო-
რის ყოველი სიტყვა ჩაგვენერა;
ლექციის დროს სულ-განაბული
ვუსმენდით პროფესორს“ (რჩეუ-
ლი, 1931 წ., ტ. 1, გვ. 96).

მართალია, ეს ბენიერება ორ
თვესაც არ გაგრძელებულა, რად-
გან სტუდენტთა მღელვარების
გამო მეფის მთავრობამ უნივერ-
სიტეტი დახურა, მაგრამ არანაკ-
ლები „უნივერსიტეტი“ აღმოჩნდა
ჩევნი ჭაბუკებისათვის სტუდენტ-
თა დემონსტრაციაში მონაწილე-
ობა, პატიმრობაში გატარებული
დრო და ჩერნიშევსკისთან შეხ-
ვებით.

1861 წლის ოქტომბერში ძალაში იყო მოვლენა მოსკოვის ადგინიანი აზრით მიმდინარეობდა აირველად მიღებული ის უშუალო მონაცილეობა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში. მაშინ ისეინ პირველად გამოიიდნენ რუს სტუდენტებით არა ერთა და ერთ მოვლენა მისამართის მიზნით. ეს იყო ევროპული მიმდინარეობის მიმდევანულობის მოვლენა.

პოლიციის მიერ დაპატიმრებულ დემონსტრაციის მონაწილეთა შორის აღმოჩნდნენ ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი, ბესარიონ ლოლობერიძე და სხვა ქართველი სტუდენტები. საპატიმროში ისინი კიდევ უზრო მეტად დაუყახ



ლოვდნენ რევოლუციურად გან-
წყობილ რუს ამხანაგებს, მათთან
ერთად განუწყვეტლად მსჯე-
ლობდნენ საჭიროობოტო საზო-
გადოებრივ-პოლიტიკურ და ლი-
ტერატურულ საკითხებზე.

„ციხიდან გამოსვლის შემდეგ (1861 წ. დეკემბერში), — მოგ-
ვითხრობს ნ. ნიკოლაძე, — მე მა-
ლე ჩერნიშევსკის ოჯახში მიმინ-
ვიეს. სტუმრების უმრავლესობას
შეადგენდნენ ქართველი სტუ-
დენტები უმაღლესი კურსებიდან,
ახოვანი ლამაზი ყმანვილები,
მშვენიერი ტანისამოსით მორ-
თულნი, წვერით, რომელიც მაშინ
მოდაში იყო, და დავარცხნილი
თმებით... პირველად მე თავს უხ-
ერხულად ვგრძნობდი, მაგრამ
თანდათან შევეჩვივი იმათ და აღ-
არ ვმორცხვობდი. სხვა ქართვე-
ლი სტუდენტების მსგავსად, რო-
მელნიც ყოველდღე იყვნენ მათ
სახლში, მეც მოვშინაურდი“ (იქვე,
გვ. 121-122).

ნ. ნიკოლაძე დიდი გატაცებით
და მღელვარებით აღნერს ჩერნი-
შევსკისთან შეხვედრებს და საუბ-
რებს პეტერბურგში და განსა-
კუთრებით პავლოვსკში, სადაც
1862 წლის ზაფხულში დასასვე-
ნებლად იმყოფებოდნენ როგორც
ქართველი სტუდენტები, ისე ჩერ-
ნიშევსკის ოჯახი.

„ჩვენი სტუდენტები, — წერს ნ.
ნიკოლაძე, — ხშირათ ნახულობ-
დნენ ჩერნიშევსკის ოჯახს, მე-
ტადრე როცა თითონ ჩერნიშევს-
კი ჩამოვიდოდა ხოლმე პეტერ-
ბურგიდან. გაიმართებოდა მაშინ-
ვე საუბარი და გამოკითხვა უკა-
ნასკნელი ამბების, რეფორმების
და პოლიტიკის შესახებ“.

ჩერნიშევსკის საუბრებიდან ქა-
რთველმა პუბლიცისტმა დასკვ-
ნა, რომ „ის ძალიან მდარე აზრი-
სა იყო მეფისა და მის მინისტრებ-
ზე“, რომ იგი აღმერთებდა ხალხს,
დიდ მნიშვნელობას აძლევდა
გლეხთა აჯანყებებსა და სტუ-
დენტთა მღელვარებას და სჯე-
როდა, რომ რევოლუცია მაღე
მოხდება.

ადვილი წარმოსადგენია, თუ
როგორ მტკიცნეულად განიცა-
დეს ქართველმა ახალგაზრდებმა

(რუს მეგობრებთან ერთად) ჩერ-
ნიშევსკის დაპატიმრება 1862
წლის ივლისში.

„მე საშინელმა სევდამ შემიპყ-
რო, — მოგვითხრობს ნ. ნიკოლა-
ძე, — (...) პეტერბურგი შემჯავრ-
და, არავითარ რევოლუციას მას-
ში მე აღარ ველოდი, უნივერსიტე-
ტი დაკეტილი იყო, საჯარო ლექ-
ციები დახურული, „სოვერემენი-
კი“ აკრძალული (...) ჩერნიშევსკი
და მისი ოჯახი აღარ იყო. დრო
იყო სახლში წასვლისა (...). ჩავა-
ლაგე ჩემს ნათელი ფერის ჩემო-
დანში ჩემი წიგნები, რომლებშიაც
იყო ეგზომ მრავალი უფრო ნათე-
ლი იდეები და იმ დღესვე გამოვუ-
დექი შორეულ გზას“.

მაგრამ პეტერბურგმა, რევო-
ლუციური იდეების ამ აკვანმა და
კულტურის უდიდესმა კერამ, პუშკინისა და ჩერნიშევსკის შე-
სანიშნავმა ქალაქმა სამუდამოდ
ნარუშლელი კვალი დატოვა თე-
რგდალეულთა გულსა და სულში.
ისინი ყოველთვის განსაკუთრე-
ბული სიყვარულითა და აღფრ-
თოვანებით, ამაღლებული და
მგზნებარე სიტყვებით იგონებდ-
ნენ იქ გატარებულ დროს.

„...წარმოიდგინე ეხლა, მკითხ-
ველო, რომ ეს პეტერბურგი ის ქა-
ლაქია, სადაც მე პირველი ახალ-
გაზრდული აღტაცება და ყმანვი-
ლური ოცნების ეშხი გამიცვნია,
სადაც პირველათ აყვავებულა ჩე-
მი გრძნობა და იმედი, სადაც პირ-
ველი ნათელი და მძღავრი შთა-
ბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინ-
სა და გულს“. ნიკო ნიკოლაძის ეს
სიტყვები კარგად გამოხატვენ
პეტერბურგში ნასწავლ ქართველ
სამოციანელთა აზრსა და გრძნო-
ბას.

თავისი რუსი მასწავლებლების
მსგავსად პეტერბურგში მოსწავ-
ლე ქართველი სტუდენტები დი-
დი პასუხისმგებლობის გრძნო-
ბით განიმსჭვალნენ საკუთარი
ხალხისა და სამშობლოს წინაშე,
სტუდენტობის დროიდანვე ჩაებ-
ნენ საქართველოს საზოგადოებ-
რივი ცხოვრებისა და კულტურის
პროგრესისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით ფართო მოლ-
განეობას ეწეოდნენ პეტერბურ-

გის უნივერსიტეტდამთავრებუ-
ლი ქართველი ახალგაზრდები
სამშობლოში დაბრუნების შემდ-
ეგ. **თერგდალეულთა თაობაში**

ილია ჭავჭავაძის მეთაურობით
საქართველოში ჩამოსვლისთა-
ნავე განმათავისუფლებელი
ბრძოლის დროშა ააფრიალა, სა-
ზოგადოებრივ-კულტურული
ცხოვრების აღორძინებისათვის
თავდადებულ შრომაში ჩაება.
ამავე დროს პეტერბურგის უნი-
ვერსიტეტში ქართველთა ახალი
და ახალი თაობები იზრდებოდა.

ცნობილი ხალხოსანი გ. მაიაშ-
ვილი წერდა:

„რაკი ჩვენი საკუთარი უნივერ-
სიტეტი არა გვაქვს, რაკი ჩვენში არ
არსებობს საკუთარი ცენტრი
გონიერივის ცხოვრებისა და ამი-
ტომ აუცილებელია და სავალდე-
ბულო ნასვლა ცივ ჩრდილოეთად,
იმას მაიც უნდა ვეცადოთ, რომ
ღალა ავიღოთ ყოველ იმისაგან,
რასაც მოგვცემს სულ სხვატომის
ახალგაზრდობასთან ყოფნა, ერ-
თად სწავლა, ერთად განათლება,
სულ სხვა ხასიათებისა და სულ
სხვა ზნე-ჩვეულების ნახვა და
განცდა“.

„რუსეთის ინტელიგენცია მე-
ტად მიმზიდველი და საყვარელი
ინტელიგენცია სხვა ინტელი-
გენციათა შორის, — განაგრძობს
იგი, — ვრცელი განათლება, პა-
ტიოსანი კაცობრივი ნატერა-
სურვილი, პირდაპირი, გულუბ-
რყვილო და პატიოსანი ხასიათი,
უნარი აღტაცებისა იმ დიდებუ-
ლის აზრითა და საქმით, რომე-
ლიც აღელვებს მთელს ეხლან-
დელს კაცობრიობას, — აი რა
არის განსაკუთრებული და ნიშან-
დობლივი მისი თვისება. რა თქმა
უნდა, აქ ჩვენ სახეში გვყავს არა
მთელი ინტელიგენცია რუსეთი-
სა, არამედ მისი უმაღლესი და უკ-
ეთესი ნაწილი. დაახლოვება ინ-
ტელიგენციის ამისთანა ნაწილთ-
ან საკეთილოა არა თუ ჩვენის ახ-
ალგაზრდობისათვის, არამედ, მე
მგონია, რომ ამ მახლობლობას
მცირედი საზოგადოებრივი მნიშ-
ვნელობა არ ექმნებოდა მთელი
ჩვენის ქვეყნისათვისაც.
„ქართველი ახალგაზრდობა სა-



მოციანისა და სამოცდაათიანის წლებისა არასდროს პრინციპია-ლურად არ დაშორებია დანარჩენ ახალგაზრდობას, იმიტომ, რომ ორივეს ერთნაირი გონიერივი და ზეობრივი ინტერესები ჰქონ-დათ, ერთნაირი სურვილი და ერ-თნაირი გაგება, როგორც თავიან-თის უფლებისა, ისე მოვალეობი-საცა. ქართველი სტუდენტობა მაშინ სრულიად და სავსებით იყო ჩარეული მთელის სტუდენტობის ცხოვრებაში. სწავლობდა და ვი-თარდებოდა სტატუსით იყო სავასთან ერთად; სტატუსით იყო გაგებას უმთავრესის საგნებისას და საზოგადოდ ქვეყ-ნისა და კაცობრიობისას” (იქვე, გვ. 115-116).

იაკობ მანსვეტაშვილსაც ხომ იმიტომ მიუწვდა გული პეტერბურგისაკენ, რომ „აქ იყო სათავე იმ დიადი მოძრაობისა, რომელ-მაც ჩვენ ჩაგვითორია და სწავლის და ცოდნის სურვილი ღრმად ჩაგ-ვინერგა გულსა და სულში. აქ იყ-ვნენ, აქ შემოქმედობდნენ ჩერნი-შევსკი, დობროლიუბოვი, პისარე-ვი, აქ დასტიროდა ნეკრასოვის მუზა რუსეთის მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ბეჭდ. იმათი მძლავრი, განწირული სულისკვე-თება დღესაც თავს დასტრიალებ-და ამ ქალაქს“.

1869 წლიდან მოყოლებული, როცა პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა თავისი „დედა-უნივერსიტეტის“ არსებობის ნახევარი საუკუნე იდლესასწაულებს თბილისში, ამის შემდეგ ყოველი წლის 8 თებერ-ვალს იკრიბებოდნენ ლირსსახსო-

ვარი თარიღის აღსანიშნავად და იხსენებდნენ „იმ ნეტარ დროს, როდესაც ს. პეტერბურლის უნი-ვერსიტეტში იმყოფებოდნენ სტუდენტებად და მეცნიერების და საზოგადო საქმეებისათვის მზად იყვნენ თითქმის თავი შეე-ნირთ“, — ასე წერდა 1873 წლს ჩვენი ცნობილი სამოციანელი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი. მისი წერილიდან ვგებულობთ, რომ იმ წლის საიუ-ბილეო სხდომაზე დამსწრეთ ერ-თსულოვნად გადაუწყვეტიათ: „ერთი სტუდენტი უთუოდ გამოვ-ზარდოთ ჩვენი ხარჯით პეტერ-ბურლის უნივერსიტეტში“.

განსაკუთრებული ზეიმით აღუნიშნავთ თბილისში საყვარე-ლი უნივერსიტეტის 75 წლისთა-ვი (1894). ზეიმზე დამსწრეთა შო-რის სამოცდაცამეტი კაცი პე-ტერბურგის უნივერსიტეტდამ-თავებული აღმოჩნდა. იუბილე-ზე შეიკრიბნენ შევერცხლილთ-მიანი მოღვაწეები. ისინი სიყვა-რულით იგონებდნენ სტუდენ-ტობის დროს, პეტერბურგის უნივერსიტეტს. ლაპარაკობდნენ რუს და ქართველ ხალხთა მე-გობრობაზე, კულტურულ თანამ-შრომლობაზე.

გაზეთმა „კვალმა“ ამ დღესას-ნაულს უძღვნა მონინავე წერილი, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნუ-ლი „პეტერბურგის უნივერსიტე-ტის ანდერძი, თვითეულ მის მო-ნაფეზზე გადაცემული... — უცხო ერთა შორის შეტანა ძმობისა, ერთობისა და სიყვარულისა, მა-თი განათლება და გათანასწორე-ბა თავის თავთან“.

ამ ანდერძს ყოველთვის დიდი შეგნებითა და მონდომებით ას-რულებდნენ ჩვენი სამოციანელე-ბი და ხალხოსნები.

რუსული მწერლობა

ზედმეტად მიგვაჩინია იმის მტკ-იცება, რომ ჩვენი სამოციანელე-ბისა და ხალხოსნების მრავალმხ-რივი შემოქმედების დაუშრეტე-ლი წყარო, უნინარეს ყოვლისა, იყო მრავალტანჯული საქართვე-ლოს რეალური სინამდვილე და რუსთაველისა და ბარათაშვილის ქვეყნის მდიდარი კულტურული ტრადიციები. მათი შემოქმედება, რომელიც ქართულ ნიადაგზე იშ-ვა და ღრმად ეროვნული, თვითმ-ყოფადი ხასიათი ჰქონდა, მრავ-ალსაუკუნოვანი ქართული ლი-ტერატურის კანონზომიერი გან-ვითარება და შემდგომი გაღრმა-ვება იყო.

მაგრამ ცნობილია, რომ არც ერ-თ ლიტერატურა არ ვითარდება სხვა ქვეყნების ლიტერატურისა-გან იზოლირებულად, რაც უფრო კულტურულია ხალხი, მით უფრო ფართო და რთულია მისი ლიტე-რატურული ურთიერთობა სხვა ხალხებთან. ეს შეეხება, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ერთ-ერთ უძვე-ლეს ხალხსაც — ქართველ ხალხს, მის კულტურას, მის გამოჩენილ შვილებს — თერგდალეულებსა და ხალხოსნებს.

ი. ჭავჭავაძემ და ა. წერეთელმა შესანიშნავად ჩამოაყალიბეს აზ-რი ლიტერატურის ეროვნულ და ინტერნაციონალურ ბუნებაზე, მის როლზე ხალხთა მეგობრობი-სა და თანამშრომლობის განმტკი-ცებაში. აკაკის რწმენით, „ყოველ დარგს ხელოვნებისას აქვს სამ-მობლო, მაგრამ განსაკუთრები-თი... განკერძოებული სამფლობე-ლო, მამული კი არა, ის ლვიძლი შვილია იმ კუთხისა და იმ ერის, სადაც პირველად თავი უჩინია“.

„ხალხთა ცხოვრებაში, — წერ-და ილია ჭავჭავაძე, — ...ბევრი ზოგადი კანონები მოქმედებენ“, მაგრამ ყველა ხალხს, გარდა სა-ერთოსი, აქვს თავისი განსხვავე-ბული თვისებები და ინტერესები,

**ქართველ სამოციანელთა და საჭერსათა
აღმართ, თითოეულგა ერა სევათა გამოცდილება
და მიღებავაში უდია უისენალოს და გამოცდილება,
მაგრამ ბრძანდ კი არ მიგაძოს სევას, მექანიკურად
კი არ გადაიღოს მაზობლის მაგალითი, არამად
მემკემადებითად, კირტიკულად მიუღვას მას და
საკუთარი პირობების გათვალისწილებით
გამოცდილების სევათა გამოცდილება-მიღებავაში
მემკალიური კულტურის განვითარებისათვის.**



თავისი სპეციფიკური, ეროვნული კულტურა, რითაც ის ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს მთელი კაცობრიობის სულიერ საგანძუროს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი რუსი მწერლები „სისხლითა და ხორცით“ ქართველებს არ ენათესავებოდნენ, მათ ჩვენთან ბევრი რამ აკავშირებდათ. „პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტიო და სხვანი ამგვარნი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილ არიან უკეთესთა რუსთავან. მათის წყალობით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველიც იყვნენ ხსენებულნი დიდბუნებიანი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი მით არიან სახელმოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარაობისა“ (ტ. III, გვ. 86).

ქართველ სამოციანელთა და ხალხოსანთა რწმენით, თითოეულმა ერმა სხვათა გამოცდილება და მიღწევები უნდა შეისწავლოს და გამოიყენოს, მაგრამ ბრმად კი არ მიბაძოს სხვას, მე-

ქანიკურად კი არ გადაიღოს მეზობლის მაგალითი, არამედ შემოქმედებითად, კრიტიკულად მიუდგეს მას და საკუთარი პირობების გათვალისწინებით გამოიყენოს სხვათა გამოცდილება-მიღწევანი მშობლიური კულტურის განვითარებისათვის.

სწორედ ასეთი დამოკიდებულება გამოიჩინეს თერგდალეულებმა რუსული ლიტერატურის მიმართ. როგორც ვიცით, მათ პეტერბურგში სწავლა მოუხდათ იმ ბობოქარ დროს, როცა რუსულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ახალი ფაზა დაიწყო. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების სარბილზე გამოვიდა რუს რევოლუციონერთა მეორე თაობა — რევოლუციონერი დემოკრატები, მრავალმილიონიანი დამონებული გლეხობის იდეოლოგები, სამოციანი წლების რაზნიჩინელების ბრწყინვალე პლეადა ჩერნიშევსკისა და დობორლიუბოვის მეთაურობით.

ახასიათებდა რა რუს რევოლუციონერ დემოკრატა თაობას, „მოაზროვნე საზოგადოებას“, ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ „ის საზოგადოება მთელი თავის ძალით მიაწყდა უშველებელ საქმეს უარყოფისას, და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვაა დროგადასული ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრანელად აკვირტებულის ახლისა, უკეთესი ნარმობადგენელი ამ საზოგადოებისა — პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტობაში, — სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლაც და დაუკინებარის ღვანლით მათ თამამმა უარმყოფელმა მიმართულე-

ბამ ფეხი კარგად განზედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალი მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი „სოვერემენიკი“.

ცნობილია, რომ რევოლუციონერ დემოკრატა მებრძოლი ორგანოს „სოვერემენიკის“ ხელმძღვანელები — ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და მათი თანამოაზრენი გადაჭრით ილაშქრებოდნენ როგორც სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ისევე იდეალისტური ესთეტიკის, „მინდა ხელოვნების“ წინააღმდეგაც.

„სამოციან წლებში, — წერდა აკაკი წერეთელი „მცირე შენიშვნაში“, — როდესაც ხელოვნებამ ისე გაიტაცა რუსეთის მწერლობა, რომ უკეთესი და უნიკიერესი წარმომადგენელნი ძირს ფეხს აღარ ადგამდნენ და მხოლოდ მიმოფრენდნენ ცის ლაჟვარდში ცხოვრებისაგან მოსხლეტილი, მაშინდელმა გამოჩენილმა მწერალმა ჩერნიშევსკიმ შენიშვნა მათ, რომ ხელოვნება მარტო უნაყოფ ხელოვნებისათვის კი არ უნდა იყოს, ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს... ამით იმას უნდოდა, რომ უკიდურესობაში ჩამდგარი ხელოვნება როგორმე გამოებრუნებია და საჭირო კალაპოტში ჩაეყენებია“.

რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის მწერნელობა და როლი ბრწყინვალედ დაახასიათა ნიკო ნიკოლაძემ. „1856-1861 წლების ლიტერატურა, — წერდა იგი, — აღძრავდა თავის მიმართ ჩვენი საზოგადოების უსაზღვრო სიმპათიას. იმ დროს, ყველა, ვინც ცხოვრობდა რუსეთში გონებრივი ცხოვრებით, ვისაც კი შესწევდა უნარი ადამიანური არსებობის კეთილშობილური იდეალებისაკენ ლტოლვისა, ლიტერატურასთან ერთად საერთო სიცოცხლით სუნთქავდა. მწერლებსა და მკითხველებს შორის არსებობდა საერთო რწმენის, საერთო მისწრაფებებისა და იმედების განუწყვეტელი კავშირი, უურნალის („სოვერემენიკის“) ახალი ნომრის გამოსვლას ყველა დიდი

არსა ილია ჭავჭავაძე აღინიშნავდა ჩასელი
 ლიტერატურის საყოველო გავლენას ქართულ
 მეცნიერებაზე, მას, სხალია, მეცნიერებაზე
 პეტერბურგის ახალი კარგადების ლიტერატურა,
 არამარტინის სამოციანელოს გამოიყენოს, მაგრამ
 ბრმად კი არ მიბაძოს სხვას, მე-

გულისფანცქალით მოელოდა, მწერლის სიტყვას ციურ მანანასა-ვით ეგებებოდნენ, — და წაკითხვის შემდეგ — ყოველი მკითხველი გრძნობდა, რომ მორალურად უფრო ჯანსაღი, ფიზიურად უფრო ახალგაზრდა გახდა, ვიდრე წინათ იყო. მკითხველის ძალები ათკეც-დებოდა, მისი მსოფლმხედველობა ფართოვდებოდა, მისი რწმენა და შეხედულებები მტკიცდებოდა, ერთი სიტყვით, იგი უკეთეს, უფრო სასარგებლო ადამიანად იქცე-ოდა. ჩვენი უსაზღვრო რუსეთის წარმოუდგენლად შორეულ კუნ-ჭულებში ცალ-ცალკე მიმოფან-ტული ადამიანები გრძნობდნენ, რომ მარტონი არ არიან, რომ არ-სებობს გონებრივი ცხოვრების ცენტრი, რომ არსებობს მრავალი გული, რომელთა ცემაც რეგუ-ლირდება მათთან საერთო მიმარ-თულებაში“.

ამ ციტატებიდან ნათელია, თუ რა მაღალ შეფასებას აძ-ლევდნენ ჩვენი სამოციანე-ლები მონიცავი რუსულ ლი-ტერატურას, რადგან ამ ლი-ტერატურის გამათავისუფ-ლები და პატრიოტული ხა-სიათი სავსებით შესაბამე-ბოდა და ენათესავებოდა მათსავი იდეალებსა და გან-ცობილებას.

...., რა დრო იყო მაშინ, რომ იცო-დე, მკითხველო, — წერდა ნიკო ნიკოლაძე, — რანაირი მოუთმენ-ლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ

დღეს, როცა საყვარელი ჟურნა-ლის („სოვერემენიკის“) ახალი წიგნი გამოვიდოდა რა აღტაცე-ბით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალველობით დავენაფე-ბოდით ჩვენ მის კითხვას, რანაი-რათ გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გუ-ლი, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება! რამ-დენი გრძელი, ბოლომოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგ-ვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების სჯაში, მათზე დავაში და რამდე-ნი შემდეგი ღამები მოუსვენრათ უწვალებივართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაო-ბას, რომელიც ამ უურნალს ჩვენ-ში მოუხდენია! ვინ დათვლის ამ ხანგრძლივი ბედნიერების, აღტა-ცების, ტვინის წვალების და გრძნობის ამაღლების დღეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოთ გულმი ჩაბეჭდილს კვალს (ტ. III, გვ. 118-119).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ილია ჭავჭავაძის აზ-რი რუსული მწერლობის მნიშვნე-ლობაზე ქართული კულტურის განვითარებისათვის., თქმა არ უნდა რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვინია წარმატების გზაზე და დიდი ზე-მოქმედება იქონია ყოველს მასზე, რაც ჩვენს სულიერს ძალლონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებაზე დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანო-

ბა“, — წერდა იგი ერთ-ერთ თა-ვის წერილში.

როცა ილია ჭავჭავაძე აღნიშ-ნავდა რუსული ლიტერატურის ნაყოფიერ გავლენას ქართულ მწერლობაზე, მას, ცხადია, მხედ-ველობაში ჰქონდა არა კლასიცის-ტურ-სენტრიმენტალური, კონსერ-ვატიულ-რომანტიკული და რეაქ-ციულ-შოვინისტური მიმართუ-ლებანი, არამედ ახალი პროგრე-სული ლიტერატურა, რომლის წა-რმომადგენლები იყვნენ პუშკინი, ლერმონტოვი და გოგოლი, ტურ-გენევი, ტოლსტოი და რევოლუ-ციონერი დემოკრატები, თერგ-დალეულებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ამ ლიტერატურის სი-დიადე, იცოდნენ, რომ იგი მჭიდ-რო იყო დაკავშირებული რუსი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომ იგი გამოირ-ჩეოდა მაღალი იდეურობით, ხალ-ხურობით, რეალიზმითა და ჭეშ-მარტი პატრიოტიზმით.

ბატონიშვილი და თვითმბყრობე-ლური რუსეთის თავისებური ის-ტორიული პირობების გამო ამ ლიტერატურაში კონცენტრირე-ბული იყო დიდი რუსი ხალხის გო-ნებრივი და სულიერი ცხოვრება, მისი საუკეთესო თვისებები: თა-ვისუფლებისმოყვარე ბუნება და მაღალი ჰუმანური იდეალები, მი-სი მეამბოხე და კეთილშობილი სული, მისი სიბრძნე და ნიჭი.

ვალ შადური,
რევოლუციამდელი ქართველი
მწერლები რუსეთის შესახებ,
1983 წ.




**«თქმა არ უდია, რესულება ლიტერატურაში
დიდი ხელმძღვანელობა გაგვინია
ნარმატების გზაზე და დიდი ზე-
მოქმედება იქონია ყოველს მასზე,
რაც ჩვენს სულიერს ძალლონეს
შეადგენს და ჩვენს გონებას,
ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და
ერთობ ჩვენს მიმართულებაზე და
დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანო-
ბა», — წერდა იგი ერთ-ერთ თა-
ვის წერილში.**



ბორის პასტერნაკი:

მე აჩსაღ მივღივარ, მე თქვენს სახლი დავაჩი!



სერგეი ესენინი, ანდრეი ბელი, ვიქტორ გოლცევი, იური ტინიანოვი, პავლე ანტონილსკი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ლეონიდ ლეონოვი, ბორის პასტერნაკი... — ეს იმ ცნობილ ადამიანთა სახელებია, რომელებიც უზომოდ შეყვარებულნი იყვნენ საქართველოზე და შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, ქართველ მეგობრებთან სტუმრად ჩამოსულიყვნენ.

ცალკე ისტორია ბორის პასტერნაკი და საქართველო. მან ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში, შემდეგ კი დევნის პერიოდში, 1959 წელს, მეორე სამშობლო პპოვა ჩვენს ქვეყანაში. იგი, საქართველოსთან და ქართველ პოეტებთან ურთიერთობით, შეიძლება ითქვას, მეორეჯერ დაიბადა (პირველი ვიზიტის შემდეგ გამოცემულ მის პოეტურ კრებულს ასეც ერქვა – „მეორე დაბადება“).

ზაზა შათირიშვილის აზრით, „შეიძლება გადაუჟარდებლად ითქვას, რომ ის, რა როლიც შეასრულა გოეთის შემოქმედებაში ითალია და რა როლსაც ასრულებს მან დელგადის შემოქმედებაში სრმხეთი, საქართველო ას-რულებს ასეთ როლს პასტერნაკის შემოქმედებაში, რო-

გორც გიორგაზიულად, ისე პოეტიკის თვალსაზრისით“.

ბორის პასტერნაკს ეკუთვნის ქართველი პოეტების შესანიშნავი თარგმანები, თუმცა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი მაინც მისეული ბარათაშვილია, უდავოდ გენიალური თარგმანი, რომელშიც ბარათაშვილის გარდა მეორე დიდი პოეტის ხმაც ისმის.

პასტერნაკს გაუმართლა ქართველ მთარგმნელებშიც. XX საუკუნისა არც ერთი დიდი რომანი არ არის ქართულად ორჯერ თარგმნილი, „ექიმ უივაგოს“ ორი განსხვავებული თარგმანი კი თითქმის ერთდროულად გამოვიდა საქართველოში, აკაკი ბრეგაძისა და ნოდარ ნონიაშვილის მიერ შესრულებული. სხვადასხვა დროს პასტერნაკის ლექსები თარგმნეს სიმონ ჩიქოვანმა, თამაზ ჩხერიელმა, მორის ფოცხიშვილმა,

ვახუშტი კოტეტიშვილმა, ირაკლი სურგულაძემ, თედო ბექიშვილმა, ტარიელ ჭანტურიამ, ჯემალ აჯიაშვილმა, ანდრო ბუაჩიძემ, ბათუ დანელიამ და სხვებმა. პასტერნაკის, რილკესა და ცვეტაევას მომწერა ნაირა გელაშვილმა გადმოაქართულა, მისი „ადამიანები და გარემოებანი“ კი — გიორგი მარგველაშვილმა.

პასტერნაკი ოთხჯერ იყო საქართველოში ნამყოფი. თავად მწერლის, ასევე სიმონ ჩიქოვანისა და სხვათა მოგონებების წყალობით, თანმიმდევრულად შეგვიძლია აღვადგინოთ პოეტის მოგზაურობის დღეები.

პირველი, ყველაზე შთამბეჭდავი ვიზიტი, 1931 წლის ზაფხულში შედგა. 13 ივლისს მან რუსული და ქართული კლასიკური ლიტერატურიდან კარგად ნაცნობი მარშრუტი გამოიარა — ჩრდილო კავკასიიდან, დარიალისა და მლეთის გავლით. 14 ივლისს, გამთენისას, იგი უკვე ტფილისში იყო, საღამოს პაოლო იაშვილსა და სხვა ცისფერყანწელებს ხვდებოდა. მეორე დღეს მცხეთას ესტუმრნენ, მოინახულეს ჯვარი, აგვისტოში კი იგი კოჯორში ისვენებდა, სასტუმრო „კურორტის“ მე-8 ნომერში. კოჯრიდან პოეტი აბასთუმანში გააქანეს, შემდეგ — ბორჯომში და ბაკურიანში, სადაც მაშინ გიორგი ლეონიძე ისვენებდა, პაოლო იაშვილი კი ბოლოს ქობულეთში მასპინძლობდა პასტერნაკს.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, პასტერნაკის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საქართველომ. მან გამოსცა წიგნი „ლექსები საქართველოზე, ქართველი პოეტები“.

ზაზა შათირიშვილის აზრით: „ალბათ, არავის არ დაუწერია საქართველოზე ისეთი რაღაცები,

რა თქმა უნდა, იყო მანდელშტამის კოე-что о грузинском искусстве, თუმცა პასტერნაკი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული იყო. როცა ვეკითხებოდი ხოლმე ჩემს უფროს მეგობრებს, რა იყო მისთვის საქართველო, მაგალითად, ალექსანდრ პიატიგორსკის, იგი მპასუხობდა: ალბათ, ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქართულ ქრონოგრამოსში, ანუ მოცალეობა და მჭვრეტელობა, შინაგანი გარინდებულობა, არისტოკრატიზმი და სიცოცხლის სიყვარული".

მოგვიანებით, როდესაც რეპრესიებს მისი მეგობრები შეეწირნენ, პასტერნაკი ბოლომდე ერთგული დარჩა მათი და ცვეტაევასთან და მაიაკოვსკისთან ერთად, ტიციანსა და პაოლო იაშვილსაც ხშირად იხსენებდა ხოლმე დიდი გულისტკივილით.

"ჩვენ ვიცით, რომ სიკვდილამდე ბალიშის ქვეშ ჰქონდა ორი წერილი, ეს იყო რილკეს წერილი და ტიციან ტაბიძის წერილი. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ „ექიმი უივაგოს“ წერა მან დაიწყო ფურცელზე, რომელიც დარჩა ტიციან ტაბიძეს, 1937 წელს, მოგეხსენებათ, ტიციანი დახვრიტეს — და აი ეს ფურცლე-



**ტიციან ტაბიძე და
ვალერიან გაფრინდაშვილი**

კური რუსული პროზა დაასრულა, შეცვალა ქვეყანა და ადამიანები, ყველაზე დიდი „სამხილი“ აღმოჩნდა 68 წლის პოეტის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, საუბარია პასტერნაკის ნობელის პრემიასთან დაკავშირებულ სკანდალზე, რომელსაც მაშინდელმა ოფიციოზმა ატომური ლიტერატურული ბომბი უწოდა. იგი აიძულეს, უარი ეთქვა ნობელზე და „პრავდაში“ გამოაქვეყნებინეს ერთგვარი მოხანიების წერილიც.

საქართველოში 1959 წლის თებერვალ-მარტის 10-დღიანი გიზიტისას მას ბევრი რამ დარჩა მოსაგონარი. პირველ რიგში ეს იყო მეგობრობა ლადო გუდიაშვილის ქალიშვილთან, რომელიც მასზე 50 წლით უმცროსი იყო და რომელსაც იგი მოსკოვში გამგზავრებისთანავე სწერდა: „...დაიხსოვეთ, რომ თქვენ ჩემი საუკეთესო მეგობრების პირველ რიგში მიგიჩინეთ ადგილი და უფლება მოგეცით, შემიბრალოთ და იფიქროთ ხოლმე ჩემზე, როგორც ძალიან ახლობელ ადამიანზე“. თბილისიდან გამომგზავრებისას კი მან დაძრული მატარებლიდან გადმოსძახა ნინო ტაბიძეს: „ნინა! მე არსად მივდივარ, მე თქვენს სახლში დავრჩი, იქ მემებეთ“.



**„ბაზტრიონის“
რედაქციისი**



მოსკოვის ქართველთა საზოგადოება

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთის ქალაქებში მრავლად იყო გაძნეული ქართველობა. ზოგი მათგანი უკვე ამ ქალაქების მკვიდრი მცხოვრები იყვნენ, უმეტესობა — დროებით ჩასული მოსწავლე-ახალგაზრდობა. თითქმის ყველგან, სადაც კი რამდენიმე ათეული ქართველი იყო, არსებობდა სათვისტომო ორგანიზაციები, რომელთა მიზანს ურთიერთშორის დახმარება, საქართველოს საზოგადოებრიობასთან კავშირი და თავისი წევრების კულტურული მომსახურება შეადგენდა. ეს სათვისტომოები ხშირად მართავდნენ საღამოებს მშობლიურ ენაზე, რომელთა საშუალებითაც ცდილობდნენ, გაეცნოთ თავისი ქვეყნის კულტურა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ამ სახით მყარდებოდა კულტურული კავშირი რუს და ქართველ ხალხებს შორის.

სათვისტომოები აქტიურ მონაწილეობას ეწეოდნენ რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში: პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ოდესაში, ყაზანში, ხარკოვში, ტომსკში, ვარშავასა და იურევში. სასწავლებლად ჩამოსული ქართველი ახალგაზრდები დიდ ინიციატივას იჩინდნენ სათვისტომოების მუშაობაში. სათვისტომოებთან დაკავშირებით განსაკუთრებით ალსანიშნავია ჩვენი კომპოზიტორების დიმიტრი არაყიშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის და კონსტანტინე ფოცხვერაშვილის მოღვაწეობა. ჩვენი მუსიკოსები აწყობდნენ ქართველ მომღერალთა გუნდებს და მხატვრულ საღამოებს ხელმძღვანელობდნენ.

ამ ორგანიზაციული ფორმებით ეროვნებათა ეს ცალკეული ჯგუფები ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ეროვნული კულტურა და ხელი შეეწყოთ მისი განვითარებისთვის. ეს სათვისტომოები მაინც დამაინც მძლავრ ძალას არ წარმოადგენდნენ, მთელი მათი ავლა-დიდება ზოგჯერ ასეული მანეთით განისაზღვრებოდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი სარგებლობა და მოსახლეობა. მოსკოვში არ იყო მართვული ახალგაზრდობა, მაგრამ მცხოვრები მოსახლეობის უმცირესობა და მართვული ახალგაზრდობის უმცირესობა მოსკოვში მდგრადი იყო.

განსაკუთრებით აქტიური იყვნენ მოსკოვში მცხოვრები ქართველობა და სასწავლებლად ჩასული ახალგაზრდობა. მოსკოვში

რამდენიმე სათვისტომო არსებობდა და ამ ორგანიზაციათა ერთგვარი მოთავე და ტონის მიმცემი მოსკოვის ქართველთა საზოგადოება იყო.

ეს საზოგადოება 1907 წელს დაარსდა მოსკოვში მცხოვრებ ინჟინერ ივანე თულაშვილის თაოსნობით (ცნობისთვის: საშუალო განათლება მიიღო მშობლიურ ქალაქ თბილისში, ხოლო 1890 წელს უმაღლესი — პეტერბურგში. დაამთავრა საინჟინრო სასწავლებელი და ნიკოლოზის სამხედრო-საინჟინრო აკადემია. დიდხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. პარალელურად ასრულებდა პრაქტიკულ სამშენებლო და არქიტექტურულ სამუშაოებს. 1921 წელს ივანე ჯავახიშვილისაგან მიიღო მოწვევა და ჩამოვიდა თბილისში. აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ჩამოყალიბებაში. როცა ამ ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, გამოცდილი თეორეტიკოსი ნლების მანძილზე განაგებდა სამშენებლო ხელოვნების კათედრას. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი).

1909 წელს შედგა საზოგადოების ახალი გამგეობა, რომლის

თავმჯდომარედ ალექსანდრე სუმბათაშვილი აირჩიეს.

სუმბათაშვილმა თავისი ავტორიტეტითა და ჩვეული აქტივობით დიდი ღვაწლი დასდო ამ საზოგადოების მუშაობას. მან შემოიკიბა მოსკოვის ქართული კოლონიის საუკეთესო აქტიური ძალები, მჭიდროდ შეაკავშირა ისინი და საზოგადოებას მუშაობის ფართო ასპარეზი შეუქმნა.

საზოგადოების მიზანი იყო მოსკოვის ქართველთა კოლონიის და განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-მატერიალურ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დაკმაყოფილება და, აგრეთვე, ქართული კულტურის მიღწევათა პროპაგანდა მოსკოველთა შორის. ამ მიზანს საზოგადოება სტიპენდიებისა და სესხების გაცემით, საღამო კონცერტების გამართვითა და სხვა საშუალებებით ახორციელებდა. გარდა ამისა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდანვე, საზოგადოებამ მოაწყო ლაზარეთი, რომელშიც დაჭრილ და ავადმყოფ ქართველ მეომრებს უწევდნენ დახმარებას. საზოგადოების სათავეში გამგეობა იდგა. ამ გამგეობაში შედიოდნენ: ა. სუმბათაშვილი (თავმჯდომარე), ექიმი მ. ზანდუკელი (თავმჯდომარის მოადგილე), ექიმი ნ. ხორავა (ხაზინადარი), ი. კობიაშვილი (მდივანი) და სხვ.



მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას, გარდა გამგეობისა, ჰყავდა აქტიური დამხმარენი — მოსკოვში მცხოვრები ქართველები, რომელთა შორის აღსანიშნავი იყო ელენე (ლოლა) ჭავჭავაძე-სუხოდოლსკაია. თავის ქმართან, ვასილ სუხოდოლსკისთან, ერთად ის დიდ დახმარებას უწევდა საზოგადოებას (ეს ის სუხოდოლსკები იყვნენ, რომლებმაც ჩვენს ცნობილ რეჟისორს, კოტე მარჯანიშვილს, საკუთარი თეატრის გახსნის საშუალება მისცეს მოსკოვში 1913 წელს, „თავისუფალი თეატრის“ სახელით). გარდა აღნიშნული პირებისა საზოგადოებას საქართველოდან მთელი რიგი პირები უწევდნენ დახმარებას.

საზოგადოების ყველა აქტივისტი უსასყიდლიდ მუშაობდა. 1914 წელს დაარსებულ ლაზარეთშიც საექიმო პერსონალი ასევე უანგაროდ და უსასყიდლიდ მუშაობდა. ლაზარეთის გამგე იყო ექიმი მ. ზანდუკელი, დაჭრილებს მომსახურებას უწევდნენ ექიმები ა. ზანდუკელი, მ. ასათიანი და ნ. ხორავა.

საზოგადოების საარსებო წყაროს სანევრო გადასახადი და შემონირულობები შეადგენდა. 1907 წლიდან ათი წლის არსებობის პერიოდში შემონირულობამ 36.000 მანეთზე მეტს მიაღწია. ამავე წლის განმავლობაში საზოგადოებამ სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტებს ერთდროული დახმარებებისა და სტიპენდიების სახით 14.832 მანეთი მისცა. ასზე მეტი სტუდენტი სარგებლობდა მუდმივი დახმარებით.

მოსკოვის ქართველთა საზოგადოება შეძლებისამებრ ეხმარებოდა საქართველოში მართვისას. ასე, მაგალითად, ის 2000 მანეთით დახმარება საქართველოს საქართველოში მართვის საზოგადოებას მოისახავდა დაზარალობდა გაიღო 1914 წელს ერთული თეატრის დამცველობისადმისა რეალიზაცია და გამომარტინირება.

ში მცენალთა სანატორიუმის ასაგებად და სხვ.

საზოგადოება 1914 წლის შემდეგ ცალკე შენობაში იყო მოთავსებული. ეს შენობა პოვარსკოი ქუჩაზე უფასოდ ჰქონდა დათმობილი სუხოდოლსკის მიერ. სახლი მოწყობილი იყო საღამო-კონცერტების გასამართავად. 1915 წლიდან საზოგადოებამ ყოველკვირეულად შემოილო საღამოების გამართვა, „ქართული ჩაის“ სახელნოდებით. ამ საღამოებს ესრებოდნენ მოსკოველი ქართველები, მოსკოვის მევიდრი რუსი საზოგადო მოღვაწენი და ამრიგად მყარდებოდა კავშირი რუს და ქართველ მოღვაწეთა შორის.

საზოგადოების მიერ მოწყობილ მთელ რიგ საღამოთა შორის შეიძლება აღვნიშნოთ რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამო, გამართული 1916 წლის 14 იანვარს. ამ საღამოზე შოთა რუსთაველზე ლექცია წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად მთარგმნელმა ცნობილმა პოეტმა კ. ბალმონტმა, ალექსანდრე სუმბათაშვილმა წაიკითხა ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანიდან, დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული იქნა ნაწყვეტები მისი ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

საზოგადოების შენობაში იმართებოდა მოსკოვში არსებულ ქართველ სათვისტომოთა და სხვა ორგანიზაციათა კრებები და ტარდებოდა მათი მრავალი საზოგადოებრივი ღონისძიება. ეს ორგანიზაციები იყო: 1. მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ი. ჭავჭავაძის სახელობის სტუდენტთა ლიტერატურული წრე, 2. მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტთან არსებული ა. წერეთლის სახელობის სტუდენტთა ლიტერატურული წრე, 3. მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქართული წრე, 4. მოსკოვის სტუდენტთა ურთიერთდამხმარე საზოგადოება.

დიდად კეთილშობილი საქმე გააქეთა მოსკოვის ქართველთა საზოგადოებამ მოსკოვში ქართველ მეომართათვის ლაზარეთის

გახსნით 1914 წელს. ლაზარეთში 20 საწოლი იყო. ნაწილს ამ საწოლებისას კერძო ქველმოქმედნი ინახავდნენ. 1916 წლის 1 იანვრამდე, 15 თვის განმავლობაში, ლაზარეთით 101 მეომარმა ისარგებლა. ლაზარეთის მოთავეთა საქმიანობა მარტო თვით ლაზარეთით არ განისაზღვრებოდა. საზოგადოების აქტივისტები ქართველ მეომრებს ეძებდნენ მოსკოვის სხვა ლაზარეთებში, ცალკე უჩენდნენ მათ ოთახებს ამავე ლაზარეთებში, უწევდნენ ყოველგვარ მომსახურებას (გაზეთების კითხვა, წერილების წერა, ტანსაცმლის შოვნა, პროტეზების დამზადება და სხვ.).

მოსკოვის ქართველთა საზოგადოების ერთ-ერთ მიზანი შეადგენდა, გაეცნო რუსულ საზოგადოებრივობისათვის ეპროტენი კულტურა, ქართული ცხოვრება. საჭიროა, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ მან საკმაო ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. საზოგადოებას უკვე კარგად იცნობდნენ მოსკოვში და ხშირად მიმართავდნენ მას საქართველოს შესახებ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გამოსარკვევად. საზოგადოება თანდათანობით ქართული კულტურისა და საზოგადოებრიობის ერთგვარ წარმომადგენლად გადაიქცა რუსეთის დედაქალაქში. მან თითქოს აღადგინა მე-18 საუკუნეში მოსკოვის ახლოს, სოფელ ვესვიატსკოეში არსებული ქართველთა კოლონიის ტრადიციები რუსულ კულტურასთან კავშირისა, ოღონდ უფრო მეტი რეზონანსითა და ეფექტურობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოების აქტიურ მომუშავეთა შორის იყო ექიმი მიხეილ ზანდუკელი. არსებითად, ის მართავდა საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას, როგორც სუმბათაშვილის მოადგილე. ვესაუბრეთ პატივცემულ მიხეილს საზოგადოების საქმიანობაზე და პირველი, რაც მისგან მოვისმინეთ — ეს იყო უდიდესი პატივისცემისა და სიყვარულის გამოთქმა ალექსანდრე სუმბათაშვილისადმი.



„ვერ წარმოიდგენთ, — გვითხრა მიხეილ ზანდუკელმა, — თუ რა ძვირფასი იყო ჩვენთვის, მოსკოვში მომუშავე ქართველებისათვის, ალექსანდრე სუმბათაშვილის მოღვაწეობა, რა დიდი გრძნობით და მონდომებით ეპყრობოდა ეს გამოჩენილი ხელოვანი ყოველივე იმას, რაც დაკავშირებული იყო საქართველოსთან, როგორ გულისტკივილს გამოთქვამდა ქართული კულტურის ყოველ დანაკარგზე. მე შევეცადე, მოსკოვის ერთ-ერთ უურნალში („რუსები ილუსტრაცია“ №16, 1915 წ.) საქართველოს შესახებ მომეთავსებინა მთელი რიგი ცნობებისა და ფოტოსურათებისა. გამოქვეყნდა დ. არაყიშვილის სტატია „საქართველოს ისტორიან“, გ. ვეშაპელის სტატია „აკაკი წერეთელი“, თარგმანები ნ. ბარათაშვილის, გ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის ლექსებისა. პირველ გვერდზე მოთავსებული იყო ალექსანდრე სუმბათაშვილის სტატია „აკაკის საფლავთან“. ვინც ამ სტატიას გაეცნობა, დარწმუნდება, თუ რა გულისტკივილით განიცდიდა სუმბათაშვილი ჩვენი დიდი პოეტის დაკარგვას და რა თბილი გრძნობებით იხსენიებდა მის ღვაწლს“.

გავეცანით ამ უურნალს. დავრწმუნდით, რომ უურნალში მოთავსებული მთელი მასალა იმისკენ იყო მიმართული, რომ რუსი მკითხველისთვის გაეცნოთ საქართველოს თავისებურება; ყველას გაეგო, რომ ეს რუსეთის ჩვეულებრივი „გუბერნია“ კი არ იყო, არამედ მხარე, თავისებური ძველი კულტურით. იმ ხანს იმვიათი იყო ასეთი მასალა რუსულ პრესაში და თუ თავსდებოდა, დიდად მადლობელი უნდა ვიყოთ ქართული კულტურის ისეთი თავდადებული პროპაგანდისტისა, როგორებც იყვნენ მიხეილ ზანდუკელი და მთელი რიგი სხვა მოსკოველი ქართველებისა — „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების“ აქტივისტები.

ალექსანდრე სუმბათაშვილის სტატია აკაკის შესახებ არ არის დიდი, მაგრამ დიდი გრძნობითაა



მიხეილ ზანდუკელი

სუმბათაშვილი აკაკის უდიდეს როლს აკუთვნებდა იმ საქმეში, რომელსაც თვითონ აქტიურად ახორციელებდა, სახელდობრ, რუსული და ქართული კულტურის ურთიერთკავშირში. სუმბათაშვილი წერდა: „ის იყო რუსეთის საუკეთესო კულტურული მისნრაფების, ასე ვთქვათ, გამტარებელი მშობლიურ წრეში, ილია ჭავჭავაძესთან ერთად. ცოცხალი მოკავშირე იყო საქართველოსი რუსული აზროვნების ცენტრებთან და ამავე დროს თვითმყოფელად გამომხატველი იყო თავისი ხალხის სულიერი ზრდისა, მისი პოეტური ოცნებებისა და იდუმალი იმდებისა“.

მიხეილ ზანდუკელი მოგვითხრობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველობისათვის იმას, რომ მოსკოვში ქართული კულტურის საქმეებს ალექსანდრე სუმბათაშვილი განავებდა: „ასეთი სახელოვანი კაცი არ სტოვებდა არც ერთ წვრილმანს, რაც საქართველოს შეეხებოდა. ცდილობდა ახლო ყოფილიყო ყველა ქართველთან, განსაკუთრებით — ახალგაზრდებთან“.

ამასვე აღნიშნავს სუმბათაშვილის შესახებ ნ. შებუევი: „წლიდან-წლამდის ალექსანდრე ივანეს ძე დიდ მონანილეობას იღებდა ქართველ სტუდენტთა ცხოვრებაში. არც ერთ მასთან მისულს ქართველ სტუდენტს ისე არ გამოისტუმრებდა, რაიმე დახმარება რომ არ გაეწია ან ალერსიანი სიტყვით არ ენუგეშებინა“ (ნ. შებუევი, „ა. სუმბათაშვილი-იუსინი“ უურნ. „მნათობი“ № 11-12, 1927 წ. გვ. 135).

მოსკოვის ქართველთა საზოგადოების გამგეობის ყოფილი წევრი, იმ დროს მოსკოვის ქალაქის თვითმმართველობაში მომსახურე იყალბე კუპრაძე ასე აგვინერს საზოგადოების საქმიანობას:


„დღიდან „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების“ დაარსებისა, მე მისი გამგეობის ერთ-ერთი წევრი ვიყავი. საზოგადოებამ თავისი მუმაბა 1918 წელს შესწყვიტა, რადგან საპატიო ხელისუფლების ვითარებაში საზოგადოება-

ბის მიერ დასახული ამოცანები სახელმწიფოს ზრუნვის საგნად გადაიქცა და კერძო ინიციატივა ამ საკითხში საჭირო აღარ იყო. მე კარგად მახსოვს თავმჯდომარის — ალექსანდრე სუმბათაშვილის აქტიური მოღვაწეობა და მისი მოადგილის — ექიმ მიხეილ ზანდუკელის თავდადებული შრომა. საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენდა ქართული კულტურის გაცნობარუსი საზოგადოებრიობისათვის. ამ მიზნით საზოგადოება მართავდა ქართულ საღამოებს, ლექციებს, შეხვედრებს ქართველ მოღვაწეებთან და სხვ. ქართულ საღამოებში მხურვალე მონანილეობას თვით სუმბათაშვილიც იღებდა და თავისთან ერთად სამხატვრო პროგრამაში მონანილეობის მისაღებად საუკეთესო არტისტულ ძალებს იზიდავდა. მე მახსოვს ცნობილი მსახიობების კინპერჩეხოვას, ნეფდანოვას, სობინოვის, შალიაშინის, კაჩალოვისა და განსაკუთრებით მცირე თეატრის მსახიობთა გამოსვლები ქართულ საღამოებზე. განსაკუთრებით უნდა ითქვას სობინოვზე, რომელიც დიდი მონდომებით გვეხმარებოდა და არასდროს უარს არ გვეტყოდა კონცერტში მონანილეობის მიღებაზე. ცხადია, ყველანი უფასოდ გამოდიოდნენ და კონცერტების შემოსავალი კი მიდიოდა „მოსკოვის ქართველთა საზოგადოებისა“ და სათვისტომოების ფონდში".

შესჩერა აპაპი ორეტელობა

დიდის ამბით დაუხვდა საზოგადოება ჩვენს დიდ მწერალს — აკაკი წერეთელს მოსკოვში ჩასვლისას, 1913 წელს და დააკავშირა მოსკოვის მონინავე საზოგადოებრიობას.

აკაკი წერეთელთან შეხვედრა „მოსკოვის სალიტერატურო-სამსატვრო წრეში“ მოეწყო, რომლის თავმჯდომარე თვითონ იყო. შეხვედრას დაესწრენ რუსეთის ლიტერატურის საუკეთესო ნარმომადგენელი. სიტყვებით გამო-



დიმიტრი არაყიშვილი

ვიდნენ რუსი მწერლები. ბრწყინვალე სიტყვა ნარმოთქვა თვით სუმბათაშვილმა. აკაკიმ საპასუხო სიტყვაში მიმართა დამსწრე სტუდენტებს და უთხრა, რომ საქართველოში უნივერსიტეტი არ გვაქს, სასწავლებლად აქ ვაგზავნით ახალგაზრდობას და მადლობელი ვართ რუსი მეცნიერებისა, რომ ქართველ ახალ თაობას გვიზრდისო. შემდეგ მოუწოდა სტუდენტებს, კარგად ესწავლათ, დაბრუნებულიყვნენ საქართველოში და შეძენილი ცოდნა მშობლიური ქვეყნის საკეთილდეოდ გამოეყენებინათ.



ალ. ცუცუნავა

ჩვენი ცნობილი კომპოზიტორი, სახალხო არტისტი დიმიტრი არაყიშვილი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მოსკოვის ქართველთა საზოგადოების მუშაობაში თვითონაც აქტიურ მონანილეობას იღებდა, ასეთი სიტყვებით იგონებს ალექსანდრე სუმბათაშვილის მოღვაწეობას:

„მიუხედავად იმისა, რომ სუმბათაშვილი თავის მშობლიურ კუთხეს, საქართველოს მოსკოვეტილი იყო და მის მეორე სამშობლოდ მოსკოვი გახდა, ის მაინც მჭიდროდ იყო და კავშირებული საქართველოს სინამდვილესთან. მუდამ დაინტერესებული იყო საქართველოს ცხოვრებით. მახსოვს, როგორი ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყო მან აკაკი წერეთელს მოსკოვში ჩამოსვლისას 1913 წელს. მახსოვს, რა გულთბილად და მონდომებით ეხმარებოდა ის მოსკოვში ჩასულ ქართველ სტუდენტებს“.

ყველა, ვისაც კი კავშირი ჰქონია მოსკოვში ალექსანდრე სუმბათაშვილთან, ლაპარაკობს ამ გულთბილობაზე.

აი რას ამბობს ჩვენი ცნობილი რეჟისორი, სახალხო არტისტი ალექსანდრე წუნუნავა:

„დიდად დასაფასებელი იყო სუმბათაშვილის მოღვაწეობა მოსკოვში ქართული კულტურისათვის. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ის საქართველოს ნარმომადგენელი იყო მოსკოვში. კერძოდ, მას დიდი წილი ედო ყველა იმ ორგანიზაციაში, რომელთა საშუალებითაც საზოგადოებრიობა ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდობას ეხმარებოდა“.

ალექსანდრე წუნუნავა 1907 წელს მოსკოვში სამხატვრო თეატრში მიიღეს სასწავლებლად. მისი სიტყვით, გამოცდებზე მოსული იყო არა ნაკლებ 500-600 კაცისა, ხოლო ვაკანსია 7-10 იყოდა თუ ბედნიერ მიღებულთა რიცხვში წუნუნავა მოხვდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ სუმბათაშვილის დახმარებით.

„არც შემდეგ მივიწყებდაო, — ამბობს ალექსანდრე წუნუნავა. — თუ შევხვდებოდი, პირველ



ყოვლისა, აუცილელად მკითხავდა „ხომ არ გიჭირს, ფული ხომ არ გინდაო“. მეთავაზიანად უარს ვეუბნებოდი დახმარებაზე, თუმცა არც თუ დალხენილი ვიყავი. ჩემთვის ისიც დიდი დახმარება იყო სუმბათაშვილის მხრიდან, სამხატვრო თეატრში რომ შევედი სასწავლებლად“.

ასეთივე მზრუნველობის შესახებ მოგვითხრობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი აკაკი ფალავა: „მოსკოვში ჩასვლისას, 1908 წელს, როდესაც ხელოვნების, კერძოდ რეჟისურის შესწავლა დავაპირე, ცხადია, როგორც ყველა ქართველმა, სუმბათაშვილს მივაკითხე. მან თავაზიანად მიმიღო. ვთხოვე, დამხმარებოდა სამხატვრო თეატრში მიღებაზე. მყისვე დაუკავშირდა სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელ ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს და მოამზადა ნიადაგი ჩემს მისაღებად. **ძალიან გამიძნელდებოდა სამხატვრო თეატრში შესვლა, რომ არა სუმბათაშვილი.** მოსკოვში მე 1915 წლამდე დავყავი. ამ წნის განმავლობაში ხშირად მიხდებოდა მოსკოვის ქართველთა საზოგადოებაში სიარული მთელ რიგ საქმეებზე და ვხედავდი, თუ როგორი მონდომებით და ენერგიით ეკიდებოდა სუმბათაშვილი ქართულ საქმეებს. მოსკოვში ყოველწლიურად იმართებოდა ქართული სალამოები, რომელთა მოწყობაში უმთავრესად სტუდენტობა იყო ჩაბმული. სუმბათაშვილი იყო ამ სალამოების სულისჩამდგმელი და მონაწილე. მი-



კოტე ანდორონიკაშვილი

სი გავლენით ამ საღამოებში საუკეთესო რუსი მსახიობები იღებდნენ მონაწილეობას“.

რეჟისორი კონსტანტინე ანდონიკაშვილი მოგვითხრობს მთელი რიგი შეხვედრების შესახებ სუმბათაშვილთან, ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, როდესაც ანდონიკაშვილი პარიზში სწავლობდა და იქიდან 1909 წელს მოსკოვში ჩავიდა.

„დაუკიდებოდა ჩემთვის ეს შეხვედრები, რადგან პირველსავე შემთხვევაში ვიგრძენი სუმბათაშვილის დიდი დაინტერესება ქართველ ახალგაზრდა ხელოვანთა სწავლა-განვითარებით. მან დაწვრილებით გამომკითხა, თუ სად და რას ვსწავლობდი, ვა-

პირებდი თუ არა სამშობლოში დაბრუნებას სამუშაოდ. მითხრა — მოსკოვში ხომ არაფერი გესაჭიროებაო. მე ვთხოვე, დამხმარებოდა, რომ დავსწრებოდი წარმოდგენებს მოსკოვის თეატრებში, კერძოდ — სამხატვრო თეატრში და ამ თავისთვის წვრილმან საქმეს სუმბათაშვილი ისე მოეკიდა, შემრცხვა კიდეც, რომ ამისათვის შევაწუხე. ამ ხანს მოსკოვში ყოფნისას დავრნმუნდი, თუ რა განსაკუთრებული ლვანლი მიუძღვიდა სუმბათაშვილს ქართული კულტურის ხელისშეწყობაში. არ დამავიწყდება სუმბათაშვილთან შეხვედრა 1916 წელს, როდესაც ის თბილისში ჩამოვიდა. ქართველმა საზოგადოებამ შესანიშნავი შეხვედრა მოუწყო სცენისა ამ სახელოვან ოსტატს. ძალიან გახარებული იყო. კერძო ბაასში ვასო აბაშიძესთან, ვალერიან გუნიასთან, ჩემთან და ქართული თეატრის მთელ რიგ სხვა მუშაკებთან, სუმბათაშვილი ბევრს გვიამბობდა თავისი სასცენო გამოცდილების შესახებ. ყველას გვამხნევებდა და სცენისადმი სიყვარულს გვინერგავდა“.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტიმა შალვა დადიანმა ალექსანდრე სუმბათაშვილის ამ მოღვაწეობის შესახებ შემდეგი გვიამბო: „მქონდა შეხვედრები რუსული სცენის ამ დიდ ოსტატთან და ქართული კულტურის თვალსაჩინო მოამაგესთან. მახსოვს 1903 წელი, როდესაც მოსკოვში ვიყავი თავისუფალ მსმენელად მოსკოვის უნივერსიტეტში. მე, მოსკოვის ქართველთა კოლონიის ერთ-ერთ წევრს, მაინტერესებდა ის საკითხები, რაც საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ყველა ამ საკითხებსა და საქმეებს იმ დროს სუმბათაშვილი უვლიდა. კერძოდ, ის დიდ დახმარებას უწევდა მოსკოვში სასწავლებლად ჩამოსულ ქართველ ახალგაზრდობას. მოსკოვში დიდად პოპულარული ყოველწლიური ქართული საღამოები მუდამ სუმბათაშვილის მოთავეობით ეწყობოდა. მიზანი ამ საღამოებისა საქველმქმედო იყო. საღამოს შემოსავა-

**ქართული საღამოების გამართვა
მოსკოვში იყო ერთ-ერთი საუკეთესო
საუკალებელი ქართული კულტურის
გაცემისა რესული საზოგადოების მიერ.
მოსკოვში დიდად კოკულარები
ყოველწლიური ქართული
საღამოები მუდამ სამართავილის
მოთავობით ეცყობოდა.**

ლი ქართველთა სათვისტომოების ფონდში მიღიოდა და აქედან კი მოსწავლე ახალგაზრდობას ეძლეოდა დახმარების სახით. სუმბათაშვილის მიერ ამ საღამოების მოთავეობა სრული გარანტია იყო, რომ შემოსავალი ბლომად იქნებოდა. სუმბათაშვილის გავლენით ამ საღამოებზე რუსული თეატრის საუკეთესო ძალები იღებდნენ მონაწილეობას, რაც, ცხადია, აუარებელ ხალხს იზიდავდა. 1903 წელს, 14 იანვარს მოსკოვში ახლადჩასული, პირველად დავესნარი ქართულ საღამოს. მოსკოვის რჩეული საზოგადოება ამშვენებდა შეკრებულებას. ვინ გინდა, რომ აქ არ იყო მაშინდელი რუსეთის ინტელიგენციდან... სუმბათაშვილი არა მარტო განაგებდა ამ საღამოს და უზრუნველყო საუკეთესო ძალების მონაწილეობა, არამედ თითონაც გამოვიდა ესტრადაზე და თავისი შეუდარებელი დიქციონა და ხმით წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, რუსულად თარგმნილი ტხორუჟესკის მიერ. აი, ამ საღამოზე გავიცანი სუმბათაშვილი. თავაზიანად მომეპყრო მე, ახალგაზრდას, გამომკითხა საქართველოს ამბეჭი, კერძოდ, ვასო აბაშიძეზე, ილია ჭავჭავაძეზე. გამაცნო ზოგიერთი მოსკოველი მოღვაწე. მიმიწვია საღამოს შემდეგ გამართულ ვახშამზე. მას შემდეგ მრავალჯერ მქონია მასთან საქმიანი კავშირი ქართული თეატრის შესახებ. მუდამ თავაზიანი, დიდი პატივისცემით მომპყრობი თავის თანამემამულეთადმი, გულწრფელი დამხმარე გაჭირვებაში — აი, ასეთი იყო სუმბათაშვილი“.



შალვა დადიანი

ნომრის შემდეგ მაყურებლები აღტაცებას გამოსთქვამდნენ და გაუთავებლად იწვევდნენ მსახიობებს. დებმა კრისტმანებმა ასევე ნარმატებით იმღერეს ოთხი დუეტი. გულთბილად იმღერა სამი რომანსი ქალბატონმა რადინაფიგნერმა. თავისი კუპლეტებით „დღიურ ჭირ-ვარამზე“ ბევრი აცინა საზოგადოება ბატონმა ოლენიმა. ბატონმა ევლახოვმა იმღერა რამდენიმე ქართული და რუსული რომანსი. ერთი სიტყვით, საკონცერტო განყოფილებამ დიდი ესთეტიური კმაყოფილება მოჰკვარა მაყურებელს. რაც შეეხება საერთო გარემოცვას, — საღამოს მოთავეებმა ამ მხრივ ყველაფერი გააქეთეს, რათა გაემართლებინათ საღამოს „ქართული“ სახელწოდება, რომ მოსკოვში შეექმნათ კუთხე, რომელიც მოგვაგონებდა საქართველოს და ქართველებს. დარბაზებში მოწყობილი იყო დამახასიათებელი კიოსკები, რომლებიც მორთული იყო ხალიჩებითა და ტროპიკული მცენარეებით. კიოსკებში ლეჩიაქებში გამოწყობილი გამყიდველები სხვათა შორის ჰყიდდნენ კოლოფებს, რომლებზეც მხატვრულად იყო ამომწვარი ქართული ტიპები. აქა-იქ დაინახვდით ჩიხა-ახალხს და ქულაჯას, — და, როგორც ყოველივე ამის დამაგვირგვინებელი, ქართული გუნდი ეროვნულ ტანსაცმლები დ.ი. არაკერივის ხელძღვანელობით, რომელმაც ძალიან მწყობრად შეასრულა რამდენიმე ხალხური სიმღერა. განსაკუთრებით მოწყობული იყო ლეკური, რომელიც საზოგადოების მოთხოვნით არაერთხელ იქნა გამეორებული. ლეკურს ჯერ ესტრადაზე ცეკვავდნენ საცეკვაო სიმღერით, შემდეგ კი — საცეკვაო დარბაზში ორკესტრის თანხლებით. მოცეკვავეთა შორის განირჩეოდა ბატონი კვალიევი. საერთოდ, საზოგადოებამ დიდი შთაბეჭდილება მიიღო საღამოსაგან და ფრიად კმაყოფილი დაიშალა.

**გრიგოლ
გუსიაშვილი,
1948 წელი**

ქართული საღამოები მოსკოვში

ქართული საღამოების გამართვა მოსკოვში იყო ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ქართული კულტურის გაცნობისა რუსული საზოგადოების მიერ.

საჭიროდ ვთვლით, აღვწეროთ ერთ-ერთი ასეთი საღამო:

გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკში“ ვკითხულობთ: „21 ნოემბერს მოს-

ცილი ფილიონ ეგალიზელი – ერისათვის თავდაღებული


ფილიმონ ქორიძე მიეკუთვნება წმიდა ილია მართლის, წმიდა გაბრიელ და ალექსანდრე ეპისკოპოსების და მათი თანამებრძოლების იმ გუნდს, რომლებმაც შეძლეს ქართული სულისა და კულტურის გადარჩენა, ალორძინება, განვითარება და ახალი სიცოცხლით შემოსვა. მან, ილია მართლისა და მისი თანამდგომელების მსგავსად, მთელი თავისი ცოდნა, ენერგია, სიცოცხლე ღვთისმსახურებასა და სამშობლოს შეალია.

კარბელაშვილებმა აღმოსავლეთ საქართველოს 2000-მდე სამგალობლო ნიმუში, ხოლო ქორიძემ და კერესელიძემ 5000-ზე მეტი დასავლურ-ქართული საგალობელი გადმოგვცეს. რომ არა ეს ადამიანები, საუკუნოდ გაქრებოდა მსოფლიო კულტურაში ჩვენი ერის მიერ შეტანილი ყველაზე დიდი სულიერი საგანძურო.

საქართველოს ეკლესიამ, მისმა წმიდა სინოდმა ფილიმონ ქორიძეს, კანონიზაციის შემდეგ, უწოდეს წმიდა ფილიონ მგალობელი, ერისათვის თავდადებული. ამ წოდებაში ჩანს მისი ღვანლის უმთავრესი არსი, ის, თუ რისთვის და როგორ იცხოვრა და როგორ მოიხვეჭა სულიერი მადლი ამ ღვთივორჩეულმა ადამიანმა.

ფილიმონ ქორიძე იყო ღრმად მორწმუნე, მშობლიური ერისა და ეკლესიისათვის თავდადებული, სიყვარულით, სიკეთითა და თავ-განწირვით აღსავსე ადამიანი. მან ეროვნულ-საეკლესიო საგანძუროს — ქართული გალობის გადასარჩენად უარი თქვა უპრეცენდენტოდ სახელოვანდანარმატებულ საოპერო მომღერლის კარიერაზე. უფლისა და მამულის სიყვარულით აღვსილმა თავისი ცხოვრება, პირადი თუ ოჯახის კეთილდღეობა შესწირა ქართული გალობის გადასარჩენას.

ფილიმონ ქორიძე იყო პირველი ქართველი პროფესიონალი მუსიკოსი, რომელმაც მიიღო სისტემური ევროპული მუსიკალური განათლება და თანაც ევროპაში — იტალიაში. ის იყო პირველი ქართველი საოპერო მომღერალი, რომელიც უდიდესი წარმატებითა და აღიარებით გამოდიოდა ევროპისა და ამერიკის საოპერო სცენებზე. იგი დიდი საოპერო მომღერლის დიდებით შეიმოსა იტალიის, მილანის ლა-სკალას თეატრში მოღვაწეობისას, XIX საუკუნის 70-80-იან წლებში, იტალიური მუსიკის იმ ოქროს ხა-



«ყრველი მამული ვალდებულია, თვისი ხელობა მოჰვირს და გარისალდოს თავის ქვეყანაში»

ნაში, როდესაც ბრწყინავდა ჯუზეპე ვერდის და სხვა იტალიელ მუსიკოსთა — კომპოზიტორთა თუ შემსრულებელთა სახელები.

გავშვობა

ფილიმონ ქორიძე დაიბადა 1835 წელს, გურიაში, სიყველ გამოჩინებულში, მღვდლის — იესე ქორიძის ოჯახში. მამა იესეს ოჯახი უფლის, სამშობლოსა და მოყვასის მიმართ სიყვარულით გამოიჩინდა. სწორედ ოჯახში მიღებულმა სულიერებამ, სარწმუნოებამ, უფლისა და სამშობლოს მხურვალე სიყვარულმა გამოატარა ფილიმონი ამქევენიური დიდებისა და ცხოვრების ფერადოვან გზებზე ისე, რომ მას არასდროს დავიწყნია თავისი სამშობლო და ეკლესია, არასოდეს დაუკარგავს სულის სიწმიდე და უფლისადმი წმიდანა. ოჯახში მიღებულმა აღზ-

რდამ ჩაუნერგა მას საქართველოსადმი ისეთი სიყვარული, რომელმაც ძალა მისცა, უარი ეთქვა „ყოველივე მსოფლიო ზრუნვაზე“ და ანგელოზებრივი მრავალხმიანობისადმი შემსგავსებული ქართული საგალობლების გადასარჩენად დაეწყო უანგარო მსახურება.

გალობის ნიჭითა და ულამაზე-სი ხმით დაჯილდოებული პატარა ფილიმონი ადრეული წლებიდანვე გამოირჩეოდა საგალობლებისა და სიმღერის სიყვარულითა და ცოდნით.

1853 წელს ფილიმონ ქორიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩაირიცხა და, როგორც გამორჩეულად ნიჭიერი მოსწავლე, სასწავლებელში უფასოდ, სასულიერო უწყების ხარჯზე მიიღეს.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი ფილიმონმა 1855 წელს დაამთავრა. პედაგოგიურმა საბ-



ჭომ მას თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად შესანიშნავი სარეკომენდაციო წერილი გაატანა.

სწავლა და მომატებები იტალიასა და ამერიკაში

ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ სრულიად შეცვალა ფილიმონ ქორიძის ცხოვრება და მომავალ დიდ მოღვაწეს სავალი გეზი დაანახვა.

ერთხელ, სტუმრად მყოფმა ფილიმონ ქორიძემ რამდენიმე იტალიელი გაიცნო, ისინი იმხანად თბილისის საოპერო თეატრის დასში მონაწილეობდნენ (იტალიიდან მონვეული დასი თბილისის ოპერაში 1851-1872 წლებში გამოდიოდა). ქართული პურობის წესისამებრ, სუფრასთან ფილიმონმა სხვა ქართველებთან ერთად რამდენიმე საგალობელი, ხალხური სიმღერა და რომანი შეასრულა. მოძღვრლის ბანმა იტალიელები განაცვიფრა და აღაფრთოვანა. „ამ ხმით თქვენ ქვეყანას დაიმონებთ“, — აღტაცებას ვერ მალავდა ოპერის იტალიელი დირიჟორი.

იტალიელები ისე დაინტერესდნენ ფილიმონის უნიკალური მუსიკალურ-ვიკალური მონაცემებით, რომ მის მოსასამენად სიონის საკათედრო ტაძარში მივიღნენ. წირვის შემდეგ ახალგაზრდა მგალობლის ხმით მოხიბლული დირიჟორი გაესაუბრა ფილიმონს და ურჩია: „არ შემიძლია თვალი არ აგიხილოთ. თქვენი ხმა დიდი და არაჩეულებრივი განძია... მკერდში სამჭედლოს საბერველი გაქვთ, ამ საბერვლის მოხმარება კი არ იცით. სერიოზულად გირჩევთ, საოპერო სიმღერა ისწავლოთ. აქ თქვენი შესაფერი მასნავლებელი არ გვეგულება. წადით იტალიაში! თქვენი ხმის პატრონს იქ საუკეთესო პროფესორები უფასოდ გასწავლიან. მაშინ დიდი მომღერალი გახდებით“.

იტალიაში წასვლა და იქ სრულ-

ყოფილი სამუსიკო განათლების მიღება ფილიმონის ოცნებად იქცა, მაგრამ არც მას და არც უმამოდ დარჩენილ მის ოჯახს ამის საშუალებები არ გააჩნდა.

1868 წელს ფილიმონი დაოჯახდა ვინებების ქალზე (სახელი უცნობია). მეუღლის ოჯახის დახმარებით ფილიმონის ოცნება ასრულდა და მან შეძლო იტალიაში, მიღანში გამგზავრება და განათლების მიღება.

იტალიელებმა გულთბილად მიიღეს იქ სიმღერის სასწავლებლად პირველად ჩასული ქართველი და ხმაც მოუწონეს. იტალიაში ქორიძის პირველ საკონცერტო გამოსვლებს დიდი ზარმატებები ჰქონდა. ამავე პერიოდში ქორიძე კოლეგების დასთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა. ამერიკაში გასტროლებმა დიდი გამარჯვებები მოუტანა ქართველ მომღერალს, მას ყველგან მქუხარე აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ.

ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ შედგა ფილიმონ ქორიძის დებიუტი მიღანის თეატრ ლასკალაში. დებიუტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

პირველი ქართველი მუსიკონი - იტალიის ყველაზე ცნობილი და აღიარებული ბანი

1870 წელს ფილიმონს გარდაეცვალა მეუღლე. ეს მძიმე განსაცელელი იყო ახალგაზრდა მომღერლისთვის. ის საქართველოში ჩამოვიდა და ერთხანს სამშობლოში დარჩა.

1872 წელს ფილიმონ ქორიძეს იწვევენ პეტერბურგში, საიმპერატორო თეატრში. რუსულმა საზოგადოებამ ფილიმონი თავიდან მოწონებით მიიღო. მაგრამ ცოტა ხანში იტალიურად მომღერალი პირველი ქართველის მიმართ კეთილგანწყობა უარყოფითი დამოკიდებულებით შეიცვალა — მას აღიარებდნენ იტალიური რეპერტუარის კარგ შემსრულებლად, მაგრამ უწუნებდნენ რუსული საოპერო მუსიკის ცოდნასა და სა-

შემსრულებლო ოსტატობას.

ამ მძიმე პერიოდში ახალგაზრდა მოღვაწისათვის ღვთისგან მოვლენილი ნუგეში აღმოჩნდა უკრანელი სენატორის ქალიშვილის, ზინაიდა ვორობეცის თანაგრძნობა და გულისხმიერება. 1873 წელს ფილიმონმა და ზინაიდამ იქორწინეს.

ეს არისტოკრატი ქალბატონი დიდად განათლებული, ღვთისმოში და სათონ ადამიანი იყო. იგი იყო კარგი პიანისტი, უცხო ენების მცოდნე, მეუღლის უერთვეულესი თანამდგომელი და შემწე, მომავალში ფილიმონის თავდადებისა და გაჭირვებული ცხოვრების მოთმინებით, სიყვარულითა და თავმდაბლობით თანამტკირთველი.

1873 ან 1874 წელს მეუღლეები კვლავ იტალიაში ჩავიდნენ. ქართველი მომღერლის არნახული წარმატების ამბავი საქართველოშიც ჩამოვიდა და არაერთხელ აღინიშნა მაშინდელი პრესის ფურცლებზე. მაგალითად, 1880 წლის 28 მარტის „დროებაში“ თარგმნილია იტალიური პრესის გამოხმაურებები ქორიძის შესახებ: „არ არის ჩვენში (იტალიაში) ისეთი თეატრი, რომელსაც დიდის ამბითა და პატივით არ მიეღოს ჩინებული ბოხი ხმის პატრონი, მომღერალი არტისტი ფ. ქორიძე და არც ისეთი უურნალი, რომელსაც არ ექიოს ის... ქორიძე ისეთი არტისტია, რომელიც თავისი ხმის ძლიერებითა და გალობის მანერით ყველა უპირველეს თეატრში პატივ-ცემულ იქნება“.

ფ. ქორიძე, საოპერო სპექტაკლებში მონაწილეობის გარდა, თავის მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად იტალიის სხვადასხვა ქალაქში მცირე კამერულ კონცერტებსაც მართავდა. 1875 წელს ქორიძებს შეეძინათ ვაჟი — მიხეილი.

საყოველთაოდ აღიარებულ მომღერალს ევროპაში გამოჩენილი ხელოვანის პატივი და დიდება არ აკლდა. პეტერბურგში და საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება, მაგრამ მას მოსვენებას მხოლოდ ერთი რამ აკარგ-



ვინებდა — სამშობლოში ყოფნის დაუკეტელი სურვილი. იტალიაში ყოფნისას ის ახერხებდა, რომ პერიოდულად ჩამოსულიყო საქართველოში და კონცერტები გაემართა. მაგ. 1880 წელს მან გამართა კონცერტები თბილისში, ქუთაისსა და ფოთში (მათ შორის რამდენიმე საქელმოქმედოც ყოფილა). ევროპაში აღიარებულ თანამოძმეს ქართველი მსმენელი აღფრთოვანებით შეხვდა.

1881-1883 წლებში ფილიმონ ქორიძე გასტროლებით მიინვიეს თბილისის საოპერო თეატრში, იგი სიხარულით დათანხმდა. ამავე წელს იგი ოჯახთან ერთად ბრუნდება საქართველოში და თბილისში სახლდება.

აი, როგორ ყვება თავად წმიდა ფილიმონი საგალობელთა გადარჩენის პროცესში თავისი ჩართვის ამბავს:

„1870-1880 წლებში ტფილისის სამღვდელოებას აღეძრა ლაპარაკი ქართული გალობის ნოტებზე დაღადალების შესახებ, რომლის განსახორციელებლადაც შეედგინათ კომიტეტი და მგალობლებიც მოეწვიათ, მაგრამ რადგანაც ვითომცდა მცოდნე კაცებს გადაეწყვიტათ, რომ ქართულის გალობის ნოტებზე დადალება შეუძლებელია, ამისთვის საქმე ჩაშლილიყო და დავინუბას მისცემოდა. 1880-1883 წლების საოპერო სეზონებში მინვეული ვიყავ მე ევროპიდან ტფილისის თეატრში. შევასრულე თუ არა ვადა სამსახურისა და დავაპირე ევროპაში წასვლა, ამ დროს მოვიდა ჩემთან რამდენი-

მე ქართველი მგალობელი და მკითხეს: „შესაძლებელია თუ არა ქართული გალობის გადაღება ნოტებზე?“ — „ძალიან ადგილად-მეთქი“, ვუპასუხე. იმათ ეჭვის თვალით შემომხედეს. „მობრძანდით ხვალ, მიგალობეტ რაც გინდათ და მაშინ შეიტყობოთ, რაც მოხდება-მეთქი“, — ვუთხარი მე.

მოვიდნენ, იგალობეს, დავაწყვენოტებზე და ვუგალობებ მათი ნათევამი და ფორტეპიანოზე გავაგონე ახლად დაწერილი გალობები. მაშინ დარწმუნდნენ, რომ ქართული გალობის ნოტებზე დანყობა შესაძლებელი ყოფილა.

რუსული და ქართული გაზეთებიც დიდი თანაგრძნობით იხსენიებდნენ ამ სასიამოვნო მოვლენას. საქმე დადგა ისე, რომ გალობის წერა ტფილისში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო ეს აღარ მოხდა. დაინერა საგალობლები დიდის სიფრთხილით, მოინონა საზოგადოებამ და სცნო მისი სინამდვილე. ცოტაოდენი დაიბეჭდა კიდეც, მაგრამ სოფელი რას ამბობს? არ სწამს. ის ჩვენებური არ იქნებაო. ხალხის ასეთმა ეჭვმა და ურნმენელობამ მაიძულა, სოფელშიც მომესმენინებინა ნოტებზე დანყობილი გალობა. სამი თუ ოთხი წელი ვიარე სხვადასხვა სოფლებში: ბევრგან გავაჩალე ნირვის გალობა, რომლის მოსმენისთანავე ხალხის სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა..“.

ფილიმონ ქორიძე. ივერია, 1899 წლის 12 ნოემბერი.

ამრიგად, ლვთის განგებითა და წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით, ფილიმონ ქორიძის გული მიეჯაჭვა ლვთის-მსახურებას, ქართულ საგალობლებს. მისი ცხოვრების მოწოდებად და მიზნად იქცა ზრუნვა ქართული საგალობლების გადარჩენაზე.

ამ საქმეში ფილიმონის თანამდგომლები, წმიდა ილია ჭავჭავაძესთან და წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსთან ერთად, იყვნენ დიმიტრი ყიფუანი, აკაკი წერეთელი, მელიტონ ბალანჩივაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ილია კიკაველიძე, ალექსანდრე ბერიძე და დიდი მგალობლები — მელქისედეკ ნაკაშიძე, მღვდელი (შემდგომში არქიმანდრიტი) ნესტორ კონტრიძე, ივლიანე წერეთელი და სხვები.

ქართული საგალობლების ნოტირებას ფილიმონი 1882 წელს შეუდგა. ფილიმონმა გადაწყვიტა, მგალობელ-მომდერალთა გუნდი ჩამოყალიბებინა, რათა მის მიერ ჩანერილი საგალობლები შეესრულებინა, გაევრცელებინა და ხალხისათვის შეეყვარებინა. მართლაც, ჩამოყალიბდა ასეთი გუნდი, რომელთან ერთად შრომას ფილიმონი გაასკეცებული ენერგიითა და გატაცებით შეუდგა.

ქორიძების ოჯახში იმდენად ხშირად უღერს საეკლესიო გალობა, რომ ერთ-ერთ მოგონებაში აკაკი წერეთელი მათ სახლს ეკლესიას, ხოლო იქ მყოფ სასულიერო პირებს ხატებს შეადარებს.

ამრიგად, ცხოვრება ადამიანისა, რომელსაც ელოდებოდა იტალიის ნამყვანი თეატრი, სრულიად შეიცვალა — ევროპული საოპერო კარიერა დაივიცხადა და თავისი სამობლოს გაშირნა ულებელი მცველად იქცა. წმიდა ფილიმონი ხედავდა გალობის საქმის განუზომელ მნიშვნელობას და მასთან შედარებით თავისი საოპერო კარიერის განსხვავებულ ღირებულებას.

ამის შესახებ იგი აღნიშნავდა: „საოპერო ასპარეზმა დროებით კმაყოფილება მომცა: ვამაყობდი, რომ მე, ქართველმა კაცმა,

გაზეთი «დროება»:

„არ არის ჩვენი იტალიაში! ისეთი თეატრი,
რომელსაც დიდის აგანთა და კატივით
არ მიეროს ჩინებული ბოლი ხმის კატრონი,
მომარტინი არტისტი ფ. ქორიძე და არც ისეთი
ერთა რომელსაც არ ექვნის ის... ქორიძე
ისეთი არტისტია, რომელიც თავისი ხმის
ქლიარებითა და გალობის მარატით ყველა
უკირველას თეატრში კატივშემულ იქნება“.

ჩვენი ქვეყანა ვასახელე, ტაშს
მიკრავდნენ, წერდნენ — სახე-
ლოვანი კაცი ხარო.

შემდეგ კი დავფიქრდი და და-
ვინახე, რომ გამოჩენილი მომ-
ლერლის წარმატება და ბედიც
დოროებითია, წარმავალია. დღეს
ხელით მატარებენ, მადიდებენ.
მოვკედები — ჩემი ხსენებაც გაქ-
რება, ჩემი კვალიც არ დარჩება
ჩემს ქვეყანას, შთამომავლობას
ვერაფერს დავუტოვებ. ჩემი
დღევანდელი მუშაობა კი საზო-
გადო მოღვაწეობაა, შინაარსით
სავსე, ჩემი ქვეყნისათვის სასარ-
გებლო და საჭირო. ჩემი ნამუშე-
ვარი ჩაწერილი და დაბეჭდილი
არასოდეს არ წაიშლება და ჩვენს
ქართულ მუსიკას მაღლა აიყ-
ვანს, სხვა ქვეყნების მუსიკას გა-
დააჭარბებს“.

ყრმობიდანვე მის გულში არსე-
ბულმა მაღლმა და სიყვარულმა
ფილიმონი მამულისა და ეკლესი-
ისათვის თავდადებისა და ღვთივ-
სათონ მოღვაწეობის გზაზე დაა-
ყენა.

ფილიმონ ქორიძემ ქართველ
სამღვდელოებას მიმართა თხოვ-
ნით — ფინანსური შემნება აღ-
მოეჩინათ საგალობლების ჩაწე-
რისა და გამოცემის მამულიშვი-
ლური საქმისათვის.

1884 წელს ფილიმონ ქორიძე თა-
ვისი გუნდით ქუთაისში ჩადის.
გაბრიელ ეპისკოპოსმა მას დიდი
და საგანგებო დახვედრა მოუწყო,
რომელშიც მონაწილეობდნენ და-
სავლეთ საქართველოს რჩეული
პირები და მათ შორის, გამოჩენი-
ლი სრული მგალობლები — ჯაბა
და ტელემონ გურიელები, ანტონ,
გიორგი და დავით დუმბაძეები,
დიმიტრი ჭალაგანიძე მარტვილი-
დან, ვასილ და არისტო ქუთათე-
ლაძეები ხონიდან, დიდი მგალო-
ბელი ასლან ერისთავი რაჭიდან,
მგალობელი კანდელაკები ნიკორ-
წმიდიდან, შოთაძეები გელათი-
დან, კანდელაკები ჯრუჭიდან, წე-
რეთლები საჩხერიდან და სხვები.

1887 წელს ფილიმონმა გადას-
ცა წმიდა გაბრიელს აღთქმული
400 საგალობლისაგან შემდგარი
კრებული. გალობის აღდგინების
საქმისათვის თანხების შესაგროვებლად

**1887 წელს ფილიმონი გადასცა წმიდა
გაბრიელს აღთქმული 400 საგალობლისაგან
შემდგარი კრებული. გალობის აღდგინების
საქმისათვის თანხების შესაგროვებლად
ფილიმონი საქველმოქმედო კოცესისას
მართავდა, სადაც ასრულებდა
ქართულ საგალობლის სისტემას
და ეკლილი ხალხის დიდი სიყვარუ-
ლითა და პოპულარობით სარგებ-
ლობდა, ამიტომ კონცერტებზე
ბევრი მსმენელი მოდიოდა.**

ვებლად ფილიმონი საქველმოქ-
მედო კონცერტებსაც მართავდა,
სადაც ასრულებდა ქართულ სა-
გალობლებს, სიმღერებს და ევ-
როპულ საოპერო მუსიკასაც. ფი-
ლიმონი ხალხის დიდი სიყვარუ-
ლითა და პოპულარობით სარგებ-
ლობდა, ამიტომ კონცერტებზე
ბევრი მსმენელი მოდიოდა.

მოღვაწეობის ეპლიანი გზა

გალობის აღმდგენელ კომიტე-
ტთან ხელშეკრულებით გათვალ-
ისწინებული სამუშაოს დასრუ-
ლების შემდეგ ფილიმონ ქორიძე
ოჯახითურთ კვლავ ქუთაისში
რჩება. იგი საეკლესიო საგალობ-
ლების ნოტიორებას განაგრძობს,
ხელმძღვანელობს ქუთაისის სა-
სულიერო სასწავლებლის გუნდს.

ღვაწლმოსილი ხელოვანი, დიდი
მგალობელი და ლოტბარი შემო-
სავლის გარეშე რჩება. უსახსრო-
ბის გამოისახოვდება მისი მეუღლე სიმ-
ღლერისა და ფორტეპიანოზე დაკ-
ვრის სწავლებას შეუდგნენ. თუმ-
ცა, ფილიმონი აქაც მისთვის ჩვე-
ული უანგარობით მოქმედებდა —
მოსწავლეთა უმრავლესობას უს-
ასყიდლოდ ამეცადინებდა, თუკი
სადმე ძლიერი და ლამაზი ხმის
მქონე ახალგაზრდას შეხვდებო-
და, უმაღ სიმღერის სწავლას სთა-
ვაზობდა: „ისწავლე, უფასოდ გა-
სწავლი, ოღონდ ისწავლე“.

ქალბატონ ზინაიდას მეუღლე-
ზე ბევრად მეტი მოწაფე ჰყავდა
და გაკეთილების ჩასატარებლ-
ად დილიდან საღამომდე ქუთაი-
სის სხვადასხვა ოჯახში ჩადიოდა.

უკრაინელი დიდებულისა და სე-
ნატორის ქალიშვილი, ქმრისა და
მისი სამშობლოს მიმართ სიყვა-
რულით აღვსილი, უდრტვინვე-
ლად და პროტესტის გარეშე ეწე-
ოდა ღვთის განგებით მათ ოჯახ-
ზე დაკისრებულ უღელსა და მო-
ვალეობას. მომქანცველმა შრო-
მამ და გაჭირვებამ მისი ჯანმრ-
თელობა საგრძნობლად შეარყია. 1889 წლის სუსხიან ზამთარს ორი
თვის მძიმე ავადმყოფობის შემ-
დეგ ზინაიდა ვორობეცი გარდა-
იცვალა.

ფილიმონმა ოჯახის შესანახად
სცადა მოსწავლეების აყვანა, მაგ-
რამ სევდისაგან დაუძლურებულ-
მა მუშაობა ველარ შეძლო. გაჭირ-
ვების გამო, მისი მცირენლოვანი
ქალიშვილი ვალენტინა მეუღლის
ოჯახმა კიევში წაიყვანა აღსაზრ-
დელად, ხოლო ვაჟიშვილი მიხეი-
ლი, მეოთხე კლასის მოსწავლე,
გიმნაზიის პანსიონში სახელმწი-
ფოს ხაჯვზე ცხოვრობდა.

მიუხედავად ყველაფრისა, ფი-
ლიმონს არასდროს უნანია არჩე-
ული გზა. მეგობრების რჩევით,
1890 წელს ფილიმონი თბილისში
ბრუნდება. პიროვნული ტრაგე-
დიით დათრგუნული ფილიმონი-
სათვის დიდი მაღლი აღმოჩნდა
მაქსიმე შარაძისა და წმიდა ექვ-
თიმეს გაცნობა. წიგნის კითხვასა
და გალობის სწავლას მოწყურე-
ბული უანგარო, ანთებული ახალ-
გაზრდების ხილვამ მას გული გა-
უხარა. მაქსიმემ და ექვთიმემ ფი-
ლიმონს ევროპული სამუშაო
დამწერლობისა და გალობის მას-
წავლებლობა სთხოვეს და საცხო-
ვრებელ ბინასა და გასამრჯელო-



საც შეჰქმდირდნენ. შექირვებულმა, მაგრამ გულგაუტეხელმა მოღვაწემ სიხარულით მიიღო მათი შემოთავაზება და ერთ თვეში 12 ახალგაზრდას წოტის კითხვა და გალობა შეასწავლა.

1890 წელს მაქსიმე შარაძემ და წმიდა ექვთიმე აღმსარებელმა ილია ჭავჭავაძის დახმარებით შეიძინეს სტამბა სასულიერო ლიტერატურის საპეჭდად, ხოლო

1891 წელს — ნოტების შრიფტი. მრავალი წლის მანძილზე ეს იყო ამიერკავკასიაში პირველი სანოტო სტამბა, რომელიც კეთილ საქმეებს, ლვთის სადიდებელი და მამულის სასარგებლო ლიტერატურის გამოცემას ემსახურებოდა.

საგალობლებისა და სიმღერების ჩანერის საქმეს ფილიმონი სიცოცხლის ბოლომდე უდიდესი პასუხისმგებლობითა და თავდადებით ეკიდებოდა. მისი მოღვაწეობის შედეგად დიდი რაოდენობის უძვირფასესი მუსიკალური საუნჯე შეგროვდა.

1894 წელს მაქსიმე შარაძე და წმიდა ექვთიმე სთხოვენ წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსს, გამოუგზავნოს მათ ქორიძის მიერ ნოტირებული საგალობლები სტამბაში დასაპეჭდად და გამოსაცემად, რადგანაც „ეს უძვირფასესი და უდიდესი ნაშრომი შეიძლება დაიღუპოს. უმორჩილესად გთხოვთ, ნება დაგვრთოთ საკუთარი სახსრებით დავაპეჭდინოთ ისინი და ამით დავაზღვიოთ ყოველგვარი შემთხვევისაგან“. წმიდა მღვდელმთავარი ამ თხოვნას სიხარულითა და ლოცვა-კურთხევით დათანხმდა. ქუთაისში ჩანერილ საგალობლებს დაემატა გურიაში ჩანერილი ნოტირებული საგანძურო და 1895-1911 წლებში ქართული საეკლესიო საგალობლების 6 კრებული დაიბეჭდა:

1895 წელს ქართული გალობა, ლიტურღია იოანე ოქროპირისა; **1901** წელს საგალობელნი პირველშენირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა; **1899** წელს მიცვალებულის საგალობელი; **1904** წელს აღდგომის საგალობლები; **1908** წელს სადღესასწაულო განიცადები; **1911** წელს სადღესასწაულო საგალობელნი წირვისა.

საგალობლელთა კრებულების გამოცემა ფილიმონ ქორიძეს „როგორც ბავშვს, ისე ახარებდა“.

ქორიძემ შეადგინდა და „ძმობასთან“ ერთად გამოსცა „სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის“.

80-90-იან წლებში ფილიმონი მრავალ საგაზეთო პუბლიკაციასა და სტატიას წერს, რომლებშიც ქართული გალობის აწყობა თუ წარსულის, მისი ისტორიისა და თეორიის შესახებ ფასდაუდებელ ცნობებს გვთავაზობს.

1895 წელს ფილიმონი კვლავ გურიაში მიემგზავრება საგალობლების ჩასანერად. აქ იგი საგალობელთა და სიმღერათა ნოტირების პარალელურად, აყალიბებს ოზურგეთის საკრებულო ტაძრის გუნდს. ქორიძის მუშაობით აღფრთვანებული და შთაგონებული გურულები 1897 წელს ქმნიან გალობის აღმდგენელ კომიტეტს, რომელსაც ცნობილი მგალობელი, სიმონ გუგუნავა, დაუყენეს თავკაცად. კომიტეტმა მიზნად დაისახა საგალობლებისა და ხალხური სიმღერების შეკრება და მათი ხუთხაზიანი ნოტაციით ჩანერა, ასევე მგალობელ-მომღერალთა გუნდების შედგენა და გალობის გასავრცელებლად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ღვთისმსახურებებზე და კონცერტებზე გალობა. ცხა-

დია, მუშაობის მთელი სიმძიმე ფილიმონ ქორიძეს უნდა ეტვირთა. კომიტეტის წევრი, ოზურგეთის მოურავი ნიკოლოზ თავდგირიძე წერდა: „ფილიმონ ქორიძის-თანა გულმოდგინე, ბეჯით და თვით მისი სპეციალობით გატაცებულ მშრომელს ჩვენ სხვას ვერსად ვიშვით, ამისთვის დრო არის, შემწეობა აღმოვუჩინოთ ამ თავდადებით მოღვაწე კაცს და მოვახმაროთ ის ჩვენ საერთო საქმეს“.

ფილიმონ ქორიძის შემოქმედებითი მუშაობის შედეგებმა ყოველგვარ მოღოდინს გადააჭარბა. მოკლე დროში (1896-1899 წლებში) გურიის სხვადასხვა კუთხეში საგალობლებისა და სიმღერების ჩანერის გარდა, იგი მთელ დასავლეთ საქართველოს მოივლის და მგალობელ-მომღერალთა მრავალ გუნდს ჩამოაყალიბებს. თავდადებული და სახელმოვანი ლოტბარის მიერ ხშირად უსასყიდლოდ მომზადებული გუნდები მსახურობენ ოზურგეთის, ხონის, სუფსის, სამტკრედიის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ბათუმის საკრებული ტაძრებში. ამის გარდა, ფილიმონ ქორიძე ოზურგეთში, ქუთაისში და მარტვილში აარსებს მგალობელთა და ეთნოგრაფიულ გუნდებს. თავისი გუნდებით იგი 1897 და 1898 წლებში თბილისში მართავს კონცერტებს. თბილისელი მსმენელი აღფრთოვანებით ხვდება დიდი ლოტბარის მიერ მომზადებულ ქოროს.

ფილიმონს აღიარებენ, როგორც სახელმოვან მოღვაწეს, „დასელოვნებულ ლოტბარს, მოგზაურ არტისტს“, ქართული გალობა-სიმღერის გადამრჩენებს, ნიჭიერ პედაგოგს — მას როტლი სამუსიკ ქმნილებების მარტივი სწავლების საოცარი უნარი ჰქონდა. ფილიმონის აღზრდილთა შორის იყო მრავალი გამორჩეული მგალობელი და ლოტბარი.

ფილიმონი მზრუნველი მამა იყო არა მხოლოდ საკუთარი შვილების, არამედ ყველა მოსწავლისათვის. იგი ხშირად შუამდგომლობდა და აწუხებდა თავისი მოს-

**ქორიძემ შეადგინდა და
«ქართასთან» ერთად გამოსცა
«სახელმდღვანელო ნოტირებული საგანძურო
მისი კანონის შესწავლისათვის».**

ნავლენების გამო სახელმწიფო თუ საგანმანათლებლო აპარატის სხვადასხვა წარმომადგენელს სხვადასხვა თხოვნით.

სიცოცხლის ბოლო ათწლეულებში დიდი მოღვაწის ცხოვრება უსახსრო და მატერიალურად შეჭირუებული იყო. ფილიმონის მიერ ორგანიზებული კონცერტების მცირე შემოსავალი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მგზავრობას, საგალობლებისა და სიმღერების ჩაწერას ძლივს ჰქონიდა.

იგი ზოგჯერ კერძო მოსწავლეებისაგან აღებული გასამრჯელოთი ირჩენდა თავს, ზოგჯერ კი დღიური სარჩო სხვადასხვა ოჯახებში როიალის ამნიყობად მუშაობით მოუპოვებია.

გამოუცნობია ადამიანის პედი — იტალიის გამორჩეული მაესტრო თბილისა თუ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ინსტრუმენტების აწყობით ირჩენს თავს, ქართული მუსიკალური საუნჯის გადამრჩენელი ლუკმა პურის მოსაპოვებლად იბრძვის. ასეთი გარემოებები ფილიმონ ქორიძის მოღვაწეობის კიდევ ერთი ეკლიანი გვირგვინი იყო. ქვეყნიურ სახელთან და დიდებასთან ერთად, მან მატერიალური კეთილდღეობაც დათმო, გაჭირვებაც უნდა ეგემა, შიმშილიც, გაჭირვების გამო ოჯახის მწუხარებაც და ამ ყველაფრის მიუხედავად, ერთხელ შეყვარებული და აღებული ჯვარი არ დაუთმია — სიცოცხლის ბოლომდე ქართული გალობის გადარჩენას ემსახურა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ფილიმონ ქორიძე განსაკუთრებით ზუნავდა დაუფიქსირებელი საგალობლების ჩაწერაზე. ის კარგად ხედავდა, რომ დაკარგვის საფრთხე ხალხურ სიმღერაზე მეტად (რომლის მცოდნე და შემსწავლელი მრავალი იყო) ძველ სამგალობლო მემკვიდრეობას ემუქრებოდა: „ხალხური სიმღერები იციან, არ დაიკარგება და ეს (საგალობლების ჩაწერის საქმე) მოსასწრებია, დაიკარგება“, — დარღობდა იგი. მის თვალწინ მიღიოდნენ ძველი დიდი მგალობლები,

**უმარისი საგალობლებით აღტახება
სიცოცხლის პოლოგი გაცყვა ღია
ერი არ გახდეს, რომელიც არტეა
იარმაგვილი ისესებადა, ყოველი
იმარტინის შემდეგ აღტახებული
აგრძელება: «ოკ, დართი აგაზა
უმარისი არაფარი შეუქმნია».**

საკუთარი ხანდაზმულობაც აფიქრებდა: „მე ცას ხომ ვერ გამოვეკერები. დღეს ბევრი არ არის, ვინც ამას გააკეთებს და ჩაწერსო“, — ამბობდა იგი, ამიტომ 1904 წლიდან იგი ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას მხოლოდ საეკლესიო გალობის სფეროში განაგრძობს. ამ პერიოდში სხვადასხვა მგალობლისაგან თბილისა და ოზურგეთში იწერს საგალობლებს. უმშვენიერესი საგალობლებით აღტაცება სიცოცხლის ბოლომდე გაჰყევა დიდ მოღვაწეს, რომელიც, როგორც არტემ ერქომაიშილი იხსენებდა, ყოველი ნიმუშის ჩაწერის შემდეგ აღტაცებული ამბობდა ხოლმე: „ოკ, ღმერთს ამაზე მშვენიერი არაფერი შეუქმნია“.

ფილიმონ ქორიძემ იცოდა, რომ ქართული საეკლესიო საგალობლების სანოტო ჩანაწერები უდიდეს სულიერ განძს წარმოადგენდა და მათ ადგილსამყოფელს არავის უმხელდა, საკუთარ შვილსაც კი — „წამოგცდება სადმეო“, — ეტყოდა თურმე. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ფილიმონი ხელნაწერების შენახვასა და მოვლა-პატრონობას ანდობდა, მისი მოსწავლე, წმიდა ექვთიმე კერქელი გახლდათ. ექვთიმე ფილიმონ ქორიძის მიერ ჩაწერილ საგალობლებს გალობდნენ მისი მეგობარი მელქისედეკ ნაკაშიძე და მოსწავლეები — არტემ ერქომაიშვილი, ვარლამ სიმონიშვილი, დიმიტრი პატარავა, სამუელ ჩხილევიშვილი და სამსონ ჭანუყვაძე.

სიცოცხლის ბოლოს ფილიმონ ქორიძეს ამუდიდესი საგანძურის ბედზე ფიქრი არ ასვენებდა: „მეშინია, მთელი ეს განძი ჩემს შეძეგ სადმე სარდაფში ან რომე-

ლიმე მუზეუმის თაგვების სახრავი არ გახდეს“, — ამბობდა იგი.

დიდმა მოღვაწემ საგალობლების გამოცემა გადაწყვიტა. ვინაიდან, საქართველოში ეს ვერ ხერხდებოდა, ამ საკითხზე მოღაპარაკებას იტალიელებთან ანარმოებდა.

ეს იყო ფილიმონის უკანასკნელი საქმე — იტალიელებს დაუკავშირდა, და თვითონ აპირებდა ნოტების იტალიაში წალებას, რადგანაც ეშინოდა, ფოსტას გზაში არ დაეკარგა. დიდი მგალობელი ძალზე დაიმედებული ყოფილა, უხაროდა: „ხელნაწერებს დამიბეჭდავენ და მზა-მზარეულს ჩვენს ქვეყანას მივართმევო“.

ევროპაში ნასვლის წინ ფილიმონი ბახმაროში გაემგზავრა. სამწუხაროდ, ცხენით მგზავრობისას ძველი უნაგირისაგან დაშავებულა, სისხლი მოსწამვლია და სულრაღაც ორ დღეში გარდაცვლილა 1911 წლის 12 ივლის.

ფილიმონ ქორიძე ბახმაროდან ჩამოსვენებისთანავე ოზურგეთში ხის ეკლესიაში დაუსვენებიათ. მის „მშვიდ სახეს ოდნავ ჭალარა, გრძელი წვერი ამშვენებდა“. დასაფლავების დღეს ფილიმონის მიერ ჩაწერილ საგალობლებს გალობდნენ მისი მეგობარი მელქისედეკ ნაკაშიძე და მოსწავლეები — არტემ ერქომაიშვილი, ვარლამ სიმონიშვილი, დიმიტრი პატარავა, სამუელ ჩხილევიშვილი და სამსონ ჭანუყვაძე.

კვირას, 17 ივლისს ღვაწლმოსილი მამულიშვილი ეკლესიის სიახლოეს მდებარე სასაფლაოზე დიდი პატივით დაუკრძალავთ.



რატომ პარალელური სტალინი პირს «ბათუმის» დაღვენა?

„სტალინის პიროვნების კულტის“ თემაზე დღესაც კამათობენ. მხარეთა არგუმენტები ურთიერთგამომრიცხავია. ოდიოზური ნიკიტა ხრუშჩინი ტყავიდან ძვრებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ იოსებ ბესარიონის ძე ყოველმხრივ ხელს უწყობდა და წაახალისებდა მისი კულტის დანერგვას ადამიანების შეგნებასა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნიკიტას ცილისწამება იყო უსაზღვრო და ბოროტი. სკუპ XX ყრილობისთვის ნარდენილ მოხსენებაში ისე აუშვა აფრები, რომ აბსურდის მწვერვალებს ასცდა.

ამ უვიცმა კაცმა, რომელსაც ცხოვრებაში ერთი წიგნიც არ ნაეკითხა, სტალინს დააბრალა, რომ მან (სტალინმა) დასაბეჭდად გამზადებულ ბიოგრაფიაში ჩაამატა გვერდები, რომლებშიც თავის თავს უწოდებდა ხალხთა ბელადს, უბადლო მხედართმთავარს, მარქსიზმის უპირველეს თეორეტიკოსს, გენიალურ მეცნიერსა და ა.შ.

ავადმყოფური ბოდვა!

პიროვნების კულტი, უნინარეს ყოვლისა, სწორედ სტალინისთვის იყო მიუღებელი. ცნობილია არაერთი ფაქტი, როცა მან აღკვეთა მისი განადიდების მცდელობა თავგასული მლიქვნელების მხრიდან. მაგალითად, აკრძალა სახელმწიფო ჯილდოდ სტალინის ორდენის დადგენა, გამარჯვებისა და დიდების ორდენების ესკიზებში თავისი პროფილი კრემლის ერთ-ერთი კოშკის გამოსახულებით შეაცვლევინა. ხოლო, როცა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მისი სახელის მინიჭება დააპირეს, განაცხადა: „ქვეყნის მთავარმა უნივერსიტეტმა შეიძლება ატაროს ერთადერთი სახელი — ლომონოსოვისა“.

ისტორიული ფაქტი, რომელსაც დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ, იმ თემატიკიდანაა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „სტალინი და პიროვნების კულტი“.

77 წლის წინათ გამოჩენილმა რუსმა მწერალმა მიხეილ ბულგარიმა დაამთავრა ჭაბუკი სტალინის რომანტიკული რევოლუციონერობის პერიოდის ამსახველი პიესა „ბათუმი“.

ამ დროისთვის, როგორც ლიტერატურათმცოდნები წერენ, ბულგაროვი უკვე აღიარებულია კლასიკოსად: „ოსტატი და მარგარიტა“, „რბოლა“, „მოლიერი“, „თეთრი გვარდია“... „ბათუმია“ კი მზის სინათლე მხოლოდ 1977 წელს იხილა: ამერიკულმა გამომცემლობა „არდისმა“ ამ წელინადს გამოსცა იგი პირველად.

„ბათუმი“ ნახევრადდისიდენტურ ნანარმოებად იყო ჩათვლილი და მის გამოცემაზე საბჭოთა კავშირში არავინ დაფიქრებულა.

სტალინმა ამ პიესის დადგმა მიზანშეულობრივად მიიჩნია, თუმცა, მიაკციეთ ყურადღება, ჩათვალა, რომ ნაციონალი „ძალიან კარგია“.

პიესაში ბულგაროვი სტალინს გუნდრუკს არ უკმევს, რეალისტურად და პატიოსნად მოვითხრობს ერთი ჭაბუკის შესახებ, რომელიც ცარიზმთან ბრძოლაში ლიდერად ჩამოყალიბდა.

მწერლის ცოლი ელენა ბულგარიმა თავის დღიურში ჩაწერს: დარეკა ფადეევმა — „მხატვი მივიდა მთავრობა, გენერალურმა მდივანმა, ნემირვიჩს (ნემირვიჩ-დანჩენკოს) რომ ესაუბრებოდა, თქვა, რომ პიესა „ბათუმი“ ძალიან კარგ ნანარმოებად მიაჩნია, მაგრამ მისი დადგმა არ შეიძლება“.

რატომ აკრძალა სტალინმა ამ პიესის დადგმა?



პაუსს ამ შეკითხვაზე მკითხველი დღნავ მოგვიანებით მიიღებს.

მანამდე კი — როგორ იქმნებოდა „ბათუმი“?

ზოგიერთი საარქივო მასალის მიხედვით, სტალინზე პიესის დანერის იდეა მიხეილ ბულგაროვს ჯერ კიდევ 1927 წელს გაუჩნდა, „დიადი გარდატეხის“ წელიწადს. ამ დროს ბულგაროვს ენერგიულად დევნიან: მის პიესებს იღებენ თეატრების რეპერტუარიდან, ნანარმოებებს არ აქვეყნებენ, სამაგიეროდ გაზეთებში რეგულარულად იბეჭდება ერიტიკული წერილები, რომლებშიც მისი შემოქმედება მინასთანაა გასწორებული.

ბულგაროვი, გვარნმუნებენ მისი შემოქმედების მკვლევარები, ბელადის თემატიკაზე წერას, უპირველეს ყოვლისა, თავის დასაცავად აპირებს, მაგრამ პრაქტიკულად ვერაფერს აკეთებს, რადგან ძნელი აღმოჩნდება ამ არაერთგვაროვანი, ურთულესი პიროვნების რეალობასთან დაახლოებული სახის შექმნა. თავის დროზე ბულგაროვმა სტალინი



მეცნიერებული და დაუნდობელ მმართველად აღიქვა, რომელიც მუდმივად ეპრეზის მოწინააღმდეგეთა დაჯგუფებებს საკუთარი გენერალური ხაზის დასაცავად.

ვერც იმას იტყოდა, რომ სტალინი ტირანი იყო, ვერც ხელისუფლებას გაელაქუცებოდა მისი (ხელისუფლების) კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

მუშაობას მხოლოდ მაშინ შეუდგა, როცა ჩამოუყალიბა იდეა, ნარმოებინა არა ძალაუფლების მნიშვნელზე მდგარი სტალინი, არამედ რევოლუციური გზის დასაციის.

1939 წლის 24 ივნისს ელენა ბულგაკოვა თავის დღიურში წერს: „პიესა დამთავრებულია! ნარმოუდგენელი სამუშაო შეასრულა — 10 დღეში დაწერა მეცხრე სურათი, ჩასწორა, რედაქტორის ხელით დახვეწა მთელი პიესა — მნიშვნელოვანი შესწორებები შეიტანა“.

და წარუდგინა თეატრს.

„პიესით ყველა იყო აღფრთოვანებული: პარტიული მუშაკები, თეატრის მოღვაწენი, მსახიობები, მეგობრები. პიესა მოეწონა ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკოსაც (მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის (მხატვი) მუდმივ დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს). პიესა დასკვნისთვის გაგზავნეს „ზევით“, თეატრმა დაიწყო სერიოზული მზადება დადგმის განსახორციელებლად... გადაწყვიტეს მიევლინებინათ ბრიგადა თბილისა და ბათუმში, სადაც ვითარდებოდა ახალგაზრდა სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული მოვლენები. მე წავიკითხე „ბათუმი“. ბელადების სიჭაბუკის ამსახველი პიესებიდან და რომანებიდან იგი ყველაზე უკეთესია“. ეს ციტატაც ბულგაკოვის ცოლის დღიურიდანაა.

მკითხველს გარკვეული წარმოდგენა რომ შეექმნას პიესაზე, გაგაცნობთ მოკლე შინაარსს.

პირველი მოქმედება. პიესა იწყება თბილისის სასულიერო სემინარიიდან სოსო ჯულაშვილის



გარიცხვის სცენით. ერთ-ერთ ეპიზოდში სოსო თანაკლასელს უყვება, რომ ბოშა ქალმა უნინასწარმეტყველა, დიდი ადამიანი გახდებით.

რევოლუციურ მოღვაწეობაში ჩაბმული სტალინი არალეგალურ მდგომარეობაზე გადადის. მოქმედება მთავრდება საახალწლო სუფრით, რომელთანაც რევოლუციონერები შეკრებილან. ამასობაში ცეცხლი გაუჩნდება როტმილდის ქარხანას. სოსო მუშებს მოუწოდებს, ჩაექრონ ხანძარი იმ მიზნით, რათა შემდგომ ხელფასების გაზრდა მოითხოვონ.

მეორე მოქმედება. 1902 წლის 8-9 მარტის მუშათა დემონსტრაციაა ბათუმში, რომელიც დაცხრილა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. გუბერნატორი და ადგილობრივი ხელისუფლება წარმოდგენილია, როგორც ბოროტი, მოუქნელი, უჭვურ და არაფრისმაქნისი ადამიანების კრებული.

მესამე მოქმედება. ჯულაშვილისა და მის ამხანაგებს აპატიმრებენ და ციხეში ჩასვამენ. საპყრობილებიც კი მამაცურად იქცევა სოსო, იცავს სიმართლეს და მოითხოვს სამართლიან მოპყრობას მუშების მიმართ, რაც გარკვევით წარმოჩნდება სცენაში, როცა გუბერნატორს მუშათა მოთხოვნებს წარუდგენს.

მეოთხე მოქმედება. ნიკოლოზ II ხელს აწერს სამი წლით აღმოსავ-

სტალინი მუშათა პათომის დემონსტრაციაზე

ლეთ ციმბირში ჯულაშვილის გადასახლების განაჩენს. იმპერატორის უარყოფითი სახე იქმნება მისი ხასიათის სხვადასხვა თვისების დისონანსური წარმოდგენით: ერთი მხრივ, მორნმუნე და ქვეშევრდომთა მიმართ გულმოწყალეა, მეორე მხრივ, ტირანი, რომელსაც გული სწყდება, რომ ბათუმის მუშათა დემონსტრაციის მონაწილეებიდან მხოლოდ 14 ადამიანი დაიღუპა, ჩივის, რომ რუსეთში ძალიან რბილი კანონებია. მოქმედება მთავრდება სტალინის (ჯულაშვილის) მოულოდნელი დაბრუნებით ძველ მეგობრებთან — ნატაშასთან, პორფილესა და სილვესტრთან: სტალინი გადასახლებიდან გამოიქცა.

...დიდი ზარ-ზეიმით გააცილეს ბულგაკოვი რკინიგზის სადგურში...

მატარებლის გასვლიდან ორი საათის შემდეგ სადგურ სერპუხოვში ვაგონში მოიტანეს დეპეშა: „გამგზავრება აუცილებელი აღარ არის“. იქ, „ზევით“ პიესის დადგმაზე უარი თქვეს.

სტალინმა არ მიიჩნია მიზანშეწონილად, თუმცა — მოინონა. რა მოხდა?

მოინონა და აკრძალა(!). ამ კურიოზულ სიტუაციას ანალიტიკოსები სხვადასხვაგვარად განმარტავენ.

ვარაუდის დონეზე, ცხადია. ზოგი მიიჩნევს, რომ **კლასობ**-



რივი პრძოლის გახსენება, რომელმაც სამკვდრო-სასი-ცოცხლოდ გახსლიჩა რუსე-თის საზოგადოებრივობა, კერძოდ, მისი როლის გახსე-ნება ამ უმცვავეს დაპირის-პირებაში, სტალინია მოცე-მულ მომენტში მავნედ და ზიანის მომთანად ჩათვალა. კლასობრივი პრძოლის ნიში-ერად, მაღალმხატვრულად წარმოდგენას, შესაძლოა, საპროტა საზოგადოებრივ-ბის დეზინტეგრაცია გამო-ეცვია. „იმ დღეებში პატრიოტიზ-მის სულისკვეთებით ხალხის აღ-ზრდაზე, რომლის წიაღშიც ჯერ არ დამცხრალიყო კლასობრივი ბრძოლის შინი, მუშაობდა ხე-ლოვნების ყველა დარგი, უზინა-რეს ყოვლისა, კინო“. სწორედ კი-ნოფილმებს დაეკისრა იდეოლო-გიური ამინდის შექმნა საბჭოთა კავშირში. მათ შორის, **ივან პი-რიევის** „მედორე ქალი და მწყემ-სი“ (1941 წელი) მიმართული იყო ეროვნული ერთიანობის იდეის განსამტკიცებლად; სამშობლოს-თვის თავის განწირვისა და მამა-ცობის გრძნობის აღსაზრდელად — **სერგეი ეიზენშტეინის** „ალექსანდრე ნეველი“ (1938 წე-ლი) და **ვსევოლოდ უზლოვკი-ნის** „სუვოროვი“ (1940 წელი).

ზემოთ თქმული ერთ-ერთია არ-გუმენტების წყებიდან.

მეორე „კავკასიელ რევოლუცი-ონერ სოსოს იმხანად ბევრი რამ ჰქონდა ბათუმზე უფრო სერიო-ზული... სტალინისტებს სჭირდე-ბოდათ სტალინი-ტიტანი და არა (ჭაბუკი) სოსო, რომელიც ქართ-ველ მუშებთან ერთად მღერის

„მრავალუმიერს“. არ შეიძლებო-და ისეთი პიროვნების, როგორიც სტალინი იყო, წარმოსახვა რო-მანტიკოს ჭაბუკად. არ შეიძლე-ბოდა მოგონილ სიტუაციებში მი-სი ჩაყენება, მოგონილი სიტყვე-ბით მისი ალაპარაკება“.

ადრეული „კავკასიური“ პი-რიევის სტალინის პიოგრა-ფიიდან დღესაც ყველაზე უფრო შეუსწავლელია, — ამ-ტკიცებენ ანალიტიკოსები. აქ „პირი თეთრი ლაქაა და მითი“. მიიჩნევენ, რომ პო-ლოგდა სარმაზუნო არ არის ლეგანდა, თითოეს ჯუღაშ-ვილი კამოსთან ერთად ძარ-ცვავდა ბაკებს; აპსოლუტუ-რი სიცრუეა იმის მტკიცება, რომ იგი მეცის ოხრანებას-თან თანამშრომლობდა და ა.შ.

ეგებ, იმიტომ არ დათანხმდა სტალინი „ბათუმის“ დადგმას, რომ გაურკვევლობა უფრო მეტ გაურკვევლობას წარმოქმნიდა — გაჩნდებოდა პასუხისმგებელი შეკითხვები?

ერთიც, — საერთაშორისო ვი-თარება, როცა მეორე მსოფლიო ომი დაწყებულია და საბჭოთა კავშირის ჩაბმა ამ სისხლიან და-პირისპირებაში გარდუვალი ხდე-ბა. ბიოგრაფიული ლირიკის დე-მონსტრაცია თეატრალური ხე-ლოვნების ტიტანების მიერრუსე-თის უპირველეს დრამატულ თე-ატრში (მხატვი) სრულიად უადგი-ლო, ხალხისთვის გაუგებარი და მიუღებელი იქნებოდა.

პირობითად ასე შეიძლება დაჯ-გუფდეს ანალიტიკოსების მოსაზ-რებები „ბათუმის“ აკრძალვის

ასახსნელად.

და არც ერთი სიტყვა იმის თაობაზე, რომ პირველი, ვინც „სტალინის პიროვნე-ბის კულტის“ წინააღმდეგ იღაშერებდა, იყო იმსეპ პე-სარიონის ეს სტალინი. „პა-თუმის“ ფარგი ამის ერთ-ერ-თი დადასტურებაა.

არაფერი განსაკუთრებული, გამორჩეული, ზეადამიანური — ნორმალური პოზიცია, საკუთარი თავის რეალისტურად შემფასებე-ლი კაცის: „ყველა ბავშვი და ყველა ახალგაზრდა ერთნა-ირია. საჭირო არ არის ახალ-გაზრდა სტალინზე აიესის დადგმა“, — ასე აუხსნია პე-ლად მხატვის სცენაზე „პა-თუმის“ განხეორციელებაზე უარის თქმა.

ამ პოზიციას ამყარებს ისტორი-ული ფაქტები, რომლებიც განათ-ლებული მკითხველისთვის, დიდი ხანია, ცნობილია: სტალინმა მი-ზანშენონილად არ ჩათვალა, რომ იმ პერიოდში უკვე სახელმოხვე-ჭილ მნერალს, ბატონ **პრესტან-ტინე გამსახურდის** გაეგრძე-ლებინა მისი (სტალინის) ცხოვრე-ბის ამსახველ რომანზე მუშაობა, რომლის პირველი ნაწილი „ბელა-დის“ სახელწოდებით საქართვე-ლოში გამოიცა.

ასევე, მხარი არ დაუჭირა შესა-ნიშნავი პოეტის — **გიორგი ლე-ონიძის** პოემის გაგრძელებას, რომლის პირველ ნაწილს „ბავშ-ვობა და ყრმობა“ (უდავოდ შესა-ნიშნავი ნაწარმოებია) სტალინუ-რი პრემია მიენიჭა.

კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადს“, თვალსაჩინო პირზაი-კოსის შედევრების რიგში, სამწუ-ხაროდ, ვერ დააყენებს მიუკერ-ძოებელი მკითხველი.

P.S. ცნობისთვის: „ბათუმი“ დაიდგა მხოლოდ ერთხელ, თა-ნაც პირველი რედაქციით, სა-ხელწოდებით „მოძღვარი“. 1991 წელს სპექტაკლი დადგა რეჟი-სორმა კურგინიანმა გორკის სა-ხელობის მხატვი. დადგმა გრო-ტესკული ხასიათისა იყო და აიკ-რძალა.

არგაზ სახეაღიძე

«ყველა ბავშვი და ყველა ახალგაზრდა ერთნაირია. საჭირო არ არის ახალგაზრდა სტალინზე პირს დადგმა» — ასე აუხსნია გალაზე მხატვის სცენაზე «ბათუმის» განხეორციელებაზე უარის თქმა.



ქველი თბილისი



დიდუბის ერთ-ერთი ღირსშესანიშნობაა ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც 1189 წელს თამარ მეფემ და დავით სოსლანმა დაინერეს ჯვარი. დიდუბის ეკლესიას ღმრთისმშობლის ხატი თამარ მე-

ფემ შესწირა. 1760 წელს ეკლესია ლეპების შემოსევისას დაზიანებულა, 1795 წელს კი — აღა მაჰმად ხანის ლაშქარს დაუნგრევია.

1880-84 წლებში მღვდელ პეტრე იმაძისა და დეკანოზ ბესარიონ

ზედგინიძის ძალისხმევითა და მეცნიატ გიორგი ქართველიშვილის შემწეობით, დიდუბის ღმრთისმშობლის ეკლესია ხელახლა ააშენეს. განახლებულ ეკლესიას გუმბათი 1889 წელს დაადგეს. მისი არქიტექტურა ე. წ. რუსული სტილის ნიმუშია.

„ეკლესია აშენებულია სხვადასხვა პირთა შემწირველთა სამუალებითა და საფასით. ხოლო და გულის მოდგინება ყოფილა დეკანოზის იმნაძისა, მღვდელი ზედგენიძისა და აზნაურ გიორგი ქართველიშვილისა“, — წერდა იმ დროის გაზეთი „დროება“.

ეკლესიის ინტერიერის მოხატვა, რომელიც ალექსანდრე ბანძელაძეს ეკუთვნის, 1979 წლის აგვისტოში დაიწყო და 1991 წელს დასრულდა.

დიდუბის გაშლილი ველები კი ოდითგანვე ცხენოსნობისთვის გამოიყენებოდა. XIX საუკუნეში აქ ხშირად იმართებოდა ჯირითი, ალლუმები. 1848 წელს დიდუბეში გამართულა პირველი ოფიციალური შეჯიბრი დოლში.

დავით
აღმაშენებლის
გამზირზე
მდებარე ეს
უნიკალური
სახლი
XIX საუკუნის
პოლოსაა
აგებული.
ეს ისტორიული
შენობა დღეს
რეაბილიტაციისა და
რესტავრაციის
პროცესშია.
თავის
ისტორიულ-
არქიტექ-
ტურულ
იერ-სახეს ის
2016 წლის
პოლოსთვის
დაიბრუნებს.





გადამ პოზარჯიანცის სახლი

დანიელ ჭონქაძის ქუჩა უნინ გუდოვიჩის სახელით მოიხსენიებოდა. ეს ქუჩა ძველ თბილისშიც და ახლაც ერთ-ერთ პრესტიულ უბნად ითვლება. დანიელ ჭონქაძის 12-ში უზადო გემოვნების მქონე კომერსანტი ბოზარჯიანცი ცხოვრობდა. ამ სახლს თბილისელები „მადამ ბოზარჯიანცის სახლს“ უწოდებდნენ.

არსებობს ლეგენდა, რომ ამ სახლის საძირკველში ბრილიანტებია ჩაყრილი — ბოზარჯიანცები და მათი მეგობრები ფაეტონებიდან ყრიდნენ ძვირფას თვლებსა და ბრილიანტებს სახლის ფუნდამენტში. ისინი თვლიდნენ, რომ ბრილიანტები ბედნიერების მომტანი იყო. **1915 წელს** ეს სახლი თბილისის საუკეთესო სახლების კონკურსში მეორე ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედალი მიიღო. ის საუკეთესო ფასადის მქონე სახლად აღიარეს.

ეს სახლი, ავსტრიული და აღმოსავლური სტილის დაცვით, ქართველებისა და ბელგიელების აშენებულია. იმ დროისათვის საქართველო სპარსეთის და მთლიანად

აღმოსავლური სტილის გავლენას განიცდიდა. სახლის ფანჯრები ბროლის მინითაა გაწყობილი, შემორჩენილია ულამაზესი თაღი, რომელიც უზარმაზარ დარბაზს გაუყვება. თუმცა ახლა სახლი კორპუსადაა გადაკეთებული და დარბაზიც გადატიხრულია.

ბოზარჯიანცები ვაჭრები იყვნენ, სანამ სახლის აშენებას გადაწყვეტიდნენ, ცნობილნი იყვნენ იმითაც, რომ თამბაქოს ანარმობდნენ. თამბაქო შემოჰქონდათ თურქეთიდან და აქ ყიდდნენ. იმ პერიოდში ილია ჭავჭავაძეს ბანკი უკვე დაარსებული ჰქონდა. ვიკით, რომ პირველი ქართული ბანკის დამაარსებლების, მათგან კი, უპირველესად, ილია ჭავჭავაძის მიზანი იყო არა გამდიდრება, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივი ლონისძიების, საჭიროების ფინანსური მხარდაჭერა, ეროვნული საქმის კეთება, რასაც აღნიშნული საფინანსო ინსტიტუტი, ილიას ძალისხმევით, წარმატებით ახერხებდა. ბანკთან შეიქმნა საგანგებო ფულადი ფონდი „საერთო-სასარგებლო კაპი-

ტალის“ სახელწოდებით. ბოზარჯიანცის დაზღვეული ჰქონდა ილიას ბანკში ის ჯიხური, რომელშიც თამბაქოს ყიდდა. ცოტა-ხანში კი მან ჯიხურს ცეცხლი წაუკიდა და გადაწვა. მოგვიანებით ბანკმა ფული ოქროს მონეტების სახით აუნაზღაურა, რის შედეგადაც ბოზარჯიანცი ძალიან გამდიდრდა და არქიტექტორებს ამ სახლის აშენება დაუკვეთა, მაგრამ სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ მასში ცხოვრება ბოზარჯიანცის დიდხანს არ დასცალდა. 1917 წელს მისმა ოჯახმა ევროპას მიაშურა.

ბოზარჯიანცი იყო თბილისში პირველი, რომელსაც ჰყავდა ავტომობილი და მას პარიზიდან ჩამოსული მძღოლი ემსახურებოდა. ავტომობილის სადგომი კი სახლის ეზოში დღემდეა შემორჩენილი. ეს სახლი გამორჩეულია იმითაც, რომ იქ არაერთი მხატვრული ფოლმის ეპიზოდია გადაღებული, მათ შორის „დათა თუთაშხია“, „მეტიჩარა“, „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაულვება“ და „ტიფლისი“.



აცხისძეი

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ან როგორც მას საქართველოში უნიფერსული პირი და ლოკალური ხატის უძილესი სიცოდეა. ამ სასწაულმოქმედი ხატის შექმნა უშუალოდ უფალს ჩვენსას, იესო ქრისტეს, უკავშირდება, როცა განკაცებული ლმერთი ჯერ კიდევ ადამიანთა შორის ცხოვრობდა და მათ სასწაულებით აჯილდობდა.

ქალაქ ედესას მთავარი, სახელად ავგაროზი უკურნებელმა სენმა შეიძყორ. ექიმებმა მისი გადარჩენის იმედი დაკარგეს. მაშინ ავგაროზმა შეირიცა აფრინა იესო ქრისტესთან და მისწერა, რომ, თუ ამ სწაულებისაგან განკურნავდა, მის ყოველ წებას აღასრულებდა და, ურიებისაგან დევნილს, თავის სამეფოში მოსვენებით აცხოვრებდა.

იესო ქრისტემ საპასუხოდ ლოცვა-კურთხევის წერილი გამოუგზავნა, რომელიც წერდა, რომ მისვლას ვერ შეძლებდა, რადგან თავისი დიდი საქმე ჯერ ისევ აღასრულებელი ჰქონდა. მაშინ პატიორზმა, რომელსაც იესოზე საუბარი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა და ეს აუთანელ ტკივილებს უმსუბურდა, კარის მხატვარი გამზადების სახი და ესათან და მისთვის მოეთანა. გევრს ეცადა მხატვარი, მაგრამ მაცხოვრის სახის ტილოზე გადატანა ვერ შეძლო, მაგინ იესომ გას ტილო გამოართვა, სახიზე მიიღო მაცხოვრის სახის სასწაულებრივად აღიბეჭდა. გახარებული მხატვარი მოციქულ თადეოზთან ერთად მაშინვე ავგაროზისაკენ გაემართა. ქალაქ იეროპოლისს რომ მიუახლოვდნენ, მგზავრებს დაულამდათ და ლამე ქალაქის განაპირას მცხოვრებ მექოთნის ოჯახში გაათიეს, ხოლო ხატი, იმის შიშით, რომ არ დაზიანებულიყო, ორ გამომწვარ კეცს შორის ჩასვენეს.

შუალამისას ზეციდან ჩამოეშვა და ხატს დაადგა ცეცხლის სვეტი, რომელმაც ქალაქის გამგებლის ყურადღებაც მიიქცია. მას ხატის შექმნის ისტორია უამბეს, ხოლო როცა იგი კეცებიდან ამოასვენეს, ნახეს, რომ მაცხოვრის ხატი ზემო კეცზეც გადასულიყო. ქალაქის გამგებელმა ის კეცი თავის სასახ-

ლეში წაასვენა.

VI საუკუნეში მაცხოვრისხა-ტიანი კაცი მონიუზიტური მცვალებლობის მიმდევართა ტაძარში მოსვდა. იქ იგი ნახა ცილი ანთონ მარტომავრი ერთად ამას დამატებით სიცოდე მის დიდი სიცოდეში მაცხოვრის საუკუნეში მოისახებოდა. იგი იგი ნახა მცვალებლობის მოციქულმა თადეოზმა ედესაში წაასვენეს. ქალაქის მახლობლად მან უკეე სასწაული მოახდინა — განკურნა კუტი ჭაბუკი, რომელიც მოწყალებას ითხოვდა. მეფემ ეს ამბავი რომ შეიტყო, სასწაულმოქმედ ხატს თავისი კარისკაცები შეაგება, რომლებმაც იგი დიდი პატივით შეასვენეს მასთან. ავგაროზი, რომელიც უკეე ექვენი წელი იყო საწოლზე მიჯაჭული, ემთხვია თუ არა ხატს, მყისვე განიკურნა. ამ სასწაულით გაკვირვებული მეფეცა და მისი ქალაქის მცხოვრებიც უფალს ადიდებდნენ. **პატიორზი და მისი ცოლ-მვილი, რომელმაც ძრის ტკივილი იყო აღასრულებრივად აღიბეჭდა.**

რაც შეეხება ხელთუქმნელი ხატის პირველ პირს, იგი მხატვარმა და მოციქულმა თადეოზმა ედესაში წაასვენეს. ქალაქის მახლობლად მან უკეე სასწაული მოახდინა — განკურნა კუტი ჭაბუკი, რომელიც მოწყალებას ითხოვდა. მეფემ ეს ამბავი რომ შეიტყო, სასწაულმოქმედ ხატს თავისი კარისკაცები შეაგება, რომლებმაც იგი დიდი პატივით შეასვენეს მასთან. ავგაროზი, რომელიც უკეე ექვენი წელი იყო საწოლზე მიჯაჭული, ემთხვია თუ არა ხატს, მყისვე განიკურნა. ამ სასწაულით გაკვირვებული მეფეცა და მისი ქალაქის მცხოვრებიც უფალს ადიდებდნენ. **პატიორზი და მისი ცოლ-მვილი, რომელმაც ძრის ტკივილი იყო აღასრულებრივად აღიბეჭდა.**

ამის შემდეგ ერთი საუკუნეც არ იყო გასული, რომ ამ მხარეს უკეე არაბები შემოესივნენ. მათი ხელყოფისაგან რომ დაეცვათ, პერძებმა ხელთუქმნელი ხატი ედესიდან კონსტანტინეპოლში დიდი ლიტანიობით გადააბრაანეს და წმინდა სოფიას ტაძარში დაასვენეს.



დელში დაკრძალეს და წინ დიდი კელაპტარი დაუნთეს.

გადომცემით, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თაყვან-საცემად ედესაში მოციქულთა სწორი ცილი ნინოც მისულა გაიანესა და რიცხიმესთან ერთად. გავიღა კიდევ ხანი და 539 წელს ეცესაზე ხოსრო მეცის მათა უშანებრი საკარსელ-ეპარქიაშრომის გაიღია. კალაქის ეპისკოპოსის ის ადგილი, სადაც ხატი იყო დაკრძალული, სიზმარში ეცვენა, კედელი გამანგრივის და ხატი გადმოასვანეს. სწორებ ამ ძროს საკარსელებრის პარაზი დიდი არა-ულობრივი გამოსავალი გაიცინა, უკან გაბრუნებული იყო აღასრულებრივი გამოსავალი გადატანა, სამოცხოვრის მაცხოვრის სახის სასწაულებრივად აღიბეჭდა.

ამის შემდეგ ერთი საუკუნეც არ იყო გასული, რომ ამ მხარეს უკეე არაბები შემოესივნენ. მათი ხელყოფისაგან რომ დაეცვათ, პერძებმა ხელთუქმნელი ხატი ედესიდან კონსტანტინეპოლში დიდი ლიტანიობით გადააბრაანეს და წმინდა სოფიას ტაძარში დაასვენეს.

VIII-IX საუკუნეებში, როცა ბიზანტიის ხატმებრძოლების მწვალებლობამ მოიცვა და ხატებს განადგურების საფრთხე დაემუქრა, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი კლარჯეთში, კერძოდ, ანჩის საეპისკოპოსი ტაძარში გადმოასვენეს, რომელიც მდინარე ჭოროხის ხეობაში იდგა. ანჩიში, მეფიდან დაბატული და უკანასკნელი მდაბიოთი დამთავრებული, მთელი ქართველი ერი მიდიოდა დიდებული ხატის თაყვანისაცემად და მისგან წყალო-



პის მისაღებად. 1194 წელს თამარ მაცხოვე, რომა თურქები დაა-მარცხა, ურიცხვი თვალ-მარგალითი შესწირა ეკლესიებს ხატების შესამყრებად. გაშინ ანის ეპისკოპოსმა იოანე რკინაელგა მაცხოვე ხელთუემ-ხელი ხატის შემკრაც სთხო-ვა. თამარის ბრძანებით ხატი სახელგანთემულგა ოსტატგა პეტა მარიამგა მოჭედა დიდი ხელოვნებით, რასაც ხატის არშიაზე მიწერილი წარწერა გვამცენობს.

კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ (1453 წ.) ოსმალებმა საქართველოს სამხრეთ რეგიონებსაც შემოუტიეს. ქართველები საკუთარ მინა-ნებალს მამაცურად იცავდნენ, მაგრამ მტერი რიცხობრივად გაცილებით აღემატებოდა მათ და ამიტომ ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მოინევდა წინ, ქვეყნის სიღრმეში... ზედიზედ ნადგურდებოდა წინაპართა ჯაფით აშენებული ტაძრები და იქ დაცული სიმდიდრე. მდგომარეობას ართულებდა ღალატიც ქართველთა მხრიდან, რომლებიც მდგომარეობის შესანარჩუნებლად მაპ-მადიანდებოდნენ. თავზევით ძალა აღარ იყო და სამღვდელოება იძულებული შეიქნა, ხატები და ჯვრები, საეკლესიო სამკაულები და წიგნები გამოერიდებინა, რათა ბარბაროსი დამპყრობლების გასაქელად არ ქცეულიყო.

ამ დროს გადმოასვენეს მაცხოვრის ხელთუემნელი ხატი ახალციხეში, საიდანაც იგი ჯერ სოფელ ჭალაში, იოთამ ამილახვრის ოჯახში, მოხვდა. იოთამის ვაჟს, ღვთისმოყვარე გივი ამილახვარს, ხატის განახლებისთვის დიდად უზრუნია. 20 წლის შემდეგ ხატი ხელახლა შეუმკიათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დომენტის ბრძანებით, რომელიც ვახტანგ მეუქვესის ძმა იყო. კათოლიკოს-პატრიარქ დომენტის ბრძანებით, მაცხოვრის ხელთუემნელი ხატი ამილახვართა ოჯახიდან თბილისში ჩამოასვენეს და საკათალიკოსო ტაძარში დაბრძანეს. ამის შემდეგ ამ საკათედრო ტაძარს, რომელიც VII საუკუნეში აშენდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე, ანისხატის ტაძარი ენოდა.



ავგაროზი იღებს
ხელთუემნელ ხატს
თადეოზისაგან

მაცხოვრის ხელთუემნელი ხატის სადიდებლად, რომელსაც იმის გამო, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ანის ტაძარში ესვენა, ანისხატი ენოდა, ქართველებს მრავალი საგალობელი შეუქმნიათ. ეს საგალობლები გვიდასტურებენ ჩვენი წინაპრების განსაკუთრებულ მოკრძალებას ამ სასწაულმოქმედი ხატის წინაშე, რომელიც მის მოსავთ ცოდვათა შენდობასა და დიდ წყალობას ანიჭებდა. თუ რწმენით და სასოებით შევევედრებით, იგი კვლავაც ღირს გვყოფს, რათა ხილულსა თუ უხილავ მტრებთან ბრძოლაში მფარველად გვექმნეს ქართველებს.

* * *

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ისტორიული თბილისის ზემოუბანში, მდებარე ანისხატის ტაძარი VI საუკუნის დასაწყისში, ქვეყნის დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანისთანავეა აგებული, როცა ქართლში ვახტანგ გორგასლის შვილი, დაჩი უჯარმელი მეფობდა. ანისხატის ეკლესია იმ ეპოქიდან შემორჩენილი ერთადერთი ნაგებობაა. ტაძარი ტუფის თლილი ქვებით ნაგები სამნავიანი

ბაზილიკაა. იგი ადრეული საუკუნეების არქიტექტურული ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს და მხატვრული გადაწყვეტით ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლს — ბოლნისის სიონს უახლოვდება.

ტაძარმა თხუთმეტსაუკუნოვან ქარტეხილს გაუძლო და ჩვენამდე მრავალჯერ აღდგენილმა და გადაკეთებულმა მოაღწია. აგებიდან ერთი საუკუნის შემდეგ ხანგრძლივი ომის შედეგად თბილისი ბიზანტიელთა და ხაზართა გაერთიანებულმა ლაშქარმა აიღო. ამ დროს ტაძარი ისე დაზიანებულა, რომ 634 წელს ქართლის კათოლიკოს ბაბილას ლამის თავიდან აუგია.

1664 წელს ქართლის კათოლიკოსმა დომენტი III-მ თბილისელი ვაჭრისაგან შეიძინა სამცხიდან, ანჩის მონასტრიდან, ჩამოტანილი ბექა ოპიზრის მიერ მოჭედილი მაცხოვრის ხელთუემნელი ხატი (1555 წელს კლარჯეთი ისმალთა ხელში გადავიდა და VI საუკუნეში დაარსებული ანჩის საეპისკოპოსოც გაუქმდა). ხატის ახალ ადგილსამყოფელად საკათოლიკოსო ტაძარი, ყოვლადწმიდა მარიამის შობის ეკლესია შეირჩა. სწორედ ამ დროიდან დამკვიდრდა მისი ახალი სახელი — ანჩისხატის ეკლესია.

არაბთა ბატონობის პერიოდში ანჩისხატი იყო საქართველოში ერთადერთი ტაძარი, რომელშიც ღვთისმსახურებს ეძლეოდათ ზარების დარეკვის უფლება. 1683 წელს ეკლესია მოხატეს ნიკოლოს კათალიკოსის მეთაურობით.

1755 წელს ტაძართან საერო სკოლა და სასულიერო სემინარია ჩამოყალიბდა. სემინარიამ 1795 წლამდე, აღა-მაპმად-ხანის შემოსვამდე, იარსება. ამ დროს ეკლესია ძალიან დაზიანდა. 1814 წელს ტაძარი თავიდან მოუხატავთ. 70-იან წლებში მას ყალბი გუმბათი დაადგეს და დასავლეთიდან მრავალსართულიანი სამრეკლო მიაშენეს. ანჩისხატის ეკლესიას რესტავრაცია 1958-64 წლებში ჩაუტარდა და შენობას დაუბრუნდა ისეთი სახე, როგორიც დომენტი კათოლიკოსის დროს ჰქონდა. ათას ხუთასი წლის ანჩისხატის ეკლესია დღესაც მოქმედია.



დარიგებანი მართლმადიდებლური ოჯახის გასახე

გახსოვდეს: როგორც თვითონ ექცეოდი მშობლებს, ისე მოგექცევიან შვილები! პრობლემა, რომელსაც ჰქვია გაუცხოება მშობლებსა და შვილებს, ახალგაზრდობასა და უფროს თაობას შორის, სათავეს ოჯახის ტრადიციის რღვევიდან იღებს.


როდესაც ცოლსა და ქმარს შორის არ არის თავდადებული წრფელი სიყვარული, იწყება გამუდმებული უთანხმოება და ოჯახის რღვევა; როდესაც ოჯახი ირლვევა, ინგრევა მომავალი თაობის ფსიქია, სულიერება, შესაბამისად, ინგრევა მომავალი თაობაც, ამიტომ ოჯახზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ქრისტეს მიერ საყვარელნო! გახსოვდეთ, რომ სულიერი განწმენდის გარეშე თავისუფლებას სიკეთე არ მოაქვს! ქრისტე ვერ შეიცნეს ფარისევლებმა და მწიგნობრებმა, რადგან მისგან ამქვეყნიურ თავისუფლებას მოელოდნენ. რომაელების ბატონობის ქვეშ მყოფ ეპრაელებს ქრისტე ასწავლიდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, სულიერი განწმენდისთვის უნდა ეზრუნათ. ეს კარგად ჩანს დღევანდელი საქართველოს პრესისა და ტელევიზიის ზოგიერთ მაგალითზეც. მარტო გარეგნული პირობებით ადამიანი ვერასდროს გახდება თავისუფალი და ვერც სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებს. მაგალითად, სოლომონ მეფეს აურაცხელი სიმდიდრე ჰქონდა და ყველა გულისწადილს ისრულებდა, მაგრამ ღვთის შეწევნით მიხვდა, რომ ყოველივე ამაოა; მხოლოდ ღმერთია მპურნალი. თუკი მატერიალურ კეთილდღეობას სჭირდება ბეჯითი შრომა და ზრუნვა, მითუმეტეს სჭირდება იგი სულს. სულიერ საკითხებზე უცომელი პასუხი შეიძლება მიიღო მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. აირჩიე სულიერი მოძღვარი, რომელიც დაგეხმარება საკუთარი მანკიერების შეცნობაში. საკუთარი ცოდვის განცდა კი გაგათავისუფლებს ამპარტავნებისგან (სხვაზე უმჯობესად თავის წარმოდგენისგან). ამპარტავნება წარმოშობს დაცინვას, განკითხვას, ზიზღს, სიძულვილს... ღვთის შვილობა თუ

გინდა, უნდა გძულდეს მხოლოდ ბოროტება, ბოროტების ჩამდენი ადამიანი კი უნდა გებრალებოდეს, მისი გამოსწორებისათვის უნდა ლოცულობდე, ევედრებოდე ლმერთის. გახსოვდეს, ერთი ადამიანიც რომ გძულდეს, განს ლოცვას ღმერთი არ შეისხებ!

...როდესაც გაიგნებ, რომ ყოველი ნამი განი ცხოვრებისა და გაიგნებ, განადები მადლიერებით მლოცველი; გააზირებისას — მდაპლად ითხოვ, დალენებისას — აჩებ და ადიდებ ღმერთს. გახსოვდეს, სანამ მხოლოდ ღმერთზე არ დაამყარებ იმედს და სავსებით არ მიენდობი მის ნებას, ვერასოდეს გაეძები თავისუფალი! იკითხე წმინდა წერილი (ძველი და ახალი აღთქმა), წმინდანთა ცხოვრება და მათი დარიგებანი, რათა მოგემატოს რწმენა და სიყვარული ღვთისა... ღმერთი გუშინ და დღეს ერთი და იგივეა. ჭეშმარიტება არ იცვლება დროის ან მატერიალური პირობების მიხედვით.

